ბუზები

დრამა სამ მოქმედებად

შარლ დიულენს

მადლიერებისა და მეგობრობის ნიშნად

ფრანგულიდან თარგმნა მზია ბაქრაძემ

პიესა რედაქტირებულია თინა კოპლატაძის მიერ

მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

მოქმედი პირნი

იუპიტერი
ორესტე
ეგისთე
პედაგოგი
პირველი მცველი
მეორე მცველი
უზენაესი ქურუმი

ელექტრა
კლიტემნესტრა
ერინია
ახალგაზრდა ქალი
ბებერი ქალი

ხალხი – კაცები და ქალები
ერინიები, მსახურნი
სასახლის მცველნი

პიესა პირველად დაიდგა „სიტეს“ თეატრში, დამდგმელი რეჟისორი შარლ დიულენი.

პირველი მოქმედება

მოედანი არგოსში. ბუზებისა და სიკვდილის ღმერთის იუპიტერის სახესისხლიანი და თეთრთვალება ქანდაკება.

სურათი პირველი

შავოსანი დედაბრები მწკრივად შემოდიან და ქანდაკების წინ ზედაშეს ასხამენ. სცენის სილრმეში, ძირს, ზის იდიოტი. შემოდიან ორესტე და პედაგოგი, შემდეგ იუპიტერი.

ორესტე – ჰეი, კეთილო ქალებო!

ქალები წივილ-კივილით შემოტრიალდებიან.

პედაგოგი – ხომ არ გვეტყოდით...

ქალები მიწას აფურთხებენ და ნელინელ უკან იწევენ

პედაგოგი – მოითმინეთ, ჩვენ გზააბნეული მგზავრები გახლავართ. ერთი რამ გაგვაგებინეთ მხოლოდ...

ქალები გარბიან, ხელიდან ლარნაკები უცვივათ.

პედაგოგი – დამპალო ბებრუხუნებო. რას გარბიხართ, თქვენი სილამაზით მოვიხიბლები თუ რა? ო, ჩემო ბატონო, მოგზაურობაც ამას ჰქვია. რომელმა ეშმაკმა ჩაგაგონათ აქეთ წამოსვლა, ვინ მოთვლის რამდენი მშვენიერი ქალაქია საბერძნეთსა და იტალიაში, ქალაქები, განთქმულნი საუცხოო ღვინოებით, სტუმართმოყვარე ფუნდუკებითა და ხალხმრავალი ქუჩებით. ამ ყეყეჩებს კი თავი ისე უჭირავთ, თითქოს პირველად ხედავენო ტურისტს. ამ გადახრუკულ ქვეყანაში ათასჯერ ვიკითხე გზა და ათასჯერვე მხოლოდ შიშით და ძრწოლვით მოცული შეყვირება თუ მძიმე თქარათქური მომესმა. ოჰ, ეს გავარვარებული უკაცრიელი ქუჩები, მთრთოლვარე ჰაერი და მზე... რა არის მზეზე უფრო შესაზარი?

ორესტე – მე აქ დავიბადე...

პედაგოგი – ასე ამბობენ. მე რომ მკითხოთ ამაში საამაყო არაფერია.

ორესტე – აქ დავიბადე; გზა კი უცხო გამვლელივით უნდა გეკითხო. აბა ერთი იმ კარზე დააკაკუნე.

პედაგოგი – ნეტა რისი იმედი გაქვთ? ვითომ გამოგეპასუხებიან? ერთი შეხედეთ ამ სახლებს და მითხარით რასა ჰგვანან. ფანჯრები სადღაა? ეტყობა ფანჯრები ბნელი და ჩახურული ეზოებისაკენ მიუქცევიათ, ხოლო ქუჩებს კი თავიანთ უკანალებს უშვერენ. (*ორესტეს უესტი*). კარგი, დააკაკუნებ, თუმცა რისი იმედი უნდა გქონდეს.

აკაკუნებს. სიჩუმე. კვლავ აკაკუნებს. კარი ოდნავ იღება.

ხმა – რა გნებავთ?

პედაგოგი – ბევრი არაფერი; ვერ მიგვასწავლით სად ცხოვრობს...

კარი უმალ იხურება.

პედაგოგი – ეშმაკსაც წაუღიხართ! კმაყოფილი ბრძანდებით, ბატონო ორესტე? იქნებ გვეყო. ისე კი, თუ ძალიან გსურთ, ყველა კარზე შემიძლია დავაკაკუნო.

ორესტე – არა, თავი დაანებე.

პედაგოგი – შეხედეთ, აქ ვიღაც ყოფილა (*უახლოვდება იდიოტს*). ბატონო ჩემო!

იდიოტი – ჰმ...

პედაგოგი – (*თავს უკრავს*). ბატონო ჩემო!

იდიოტი – ჰმ...

პედაგოგი – ვერ მიგვასწავლით ეგისთეს სახლს?

იდიოტი – ჰმ...

პედაგოგი – არგოსის მეფის, ეგისთეს სახლს გეკითხებით.

იდიოტი – ჰმ...

სცენის სიღრმეში იუპიტერი ჩაივლის.

პედაგოგი – ბედი არ გვწყალობს. როგორც იქნა კაცი არ გაგვირბის, მაგრამ რად გინდა, იდიოტია (*იუპიტერი ისევ ჩაივლის*). უყურე ერთი, სადამდე მოგვყვა.

ორესტე – ვინ?

პედაგოგი – ეგ წვეროსანი.

ორესტე – რა არ გელანდება.

პედაგოგი – გეუბნებით, ეს-ეს არის ჩაგვიარა.

ორესტე – გეშლება.

პედაგოგი – შეუძლებელია! ჩემ სიცოცხლეში ასეთი წვერი მხოლოდ ერთხელ მინახავს. იგი იუპიტერის ბრინჯაოს ქანდაკებას ამშვენებს პალერმოში. შეხედეთ, აი, მიდის, ნეტა რას აგვეკიდა?

ორესტე – ალბათ ჩვენსავით მოგზაურობს.

პედაგოგი – მაგას პირველად დელფოსის გზაზე შევხვდით. როცა იტალიაში გემზე ავედით, მისი წვერი გემბანს გადაჰფარებოდა უკვე. ნოპლიში ერთთავად ფეხებში გვედებოდა და ნახე, ერთი, აქაც როგორ გვიტრიალებს? თქვენ რა, უბრალო დამთხვევა გგონიათ? (*ხელით იგერიებს ბუზებს*). ეს კია, არგოსის ბუზები არგოსელებზე უფრო სტუმართმოყვარენი ყოფილან. დახედეთ ერთი ამას (*იდიოტის თვალზე მიუთითებს*). ისე დახვევიან ბუზები, თითქოს ტკბილი ნამცხვარიაო, ის კი ანგელოსებს ულიმის, ალბათ სიამოვნებს თვალს რომ უწუწნიან; მართლაც თვალიდან აჭრილი რძის მსგავსი რაღაც თეთრი სითხე სდის; კმარა, ბუზებო, გეყოთ. (*ბუზებს იგერიებს.*) გიხაროდეთ, ახლა თქვენ დაგასხდნენ; აკი ჩიოდით, საკუთარ ქვეყანაში უცხო ვარო; ეს ბუზები კი დღესასწაულს გიმართავენ, თითქოს გიცნესო (*ბუზებს იგერიებს.*) კმარა, დაწყნარდით, დაწყნარდით, გვეყო ამდენი აღტკინება. ნეტა საიდან მოაწყდა ამდენი? ეს ოხრები ჭრიალებზე უფრო ხმამაღლა ბზუიან, ტანით კი ლამის ჭრიჭინები დაჯაბნონ.

იუპიტერი – (*მათკენ მიდის.*) ოდნავ შესუქებული ხორცის ბუზები არიან და მეტი არაფერი. 15 წელია, რაც ამ ქალაქისაკენ ლეშის მყრალი სუნი იზიდავთ. მას აქეთ სუქდებიან. კიდევ 15 წელი და ალბათ ბაყაყებს დაემსგავსებიან.

სიჩუმე.

პედაგოგი – ვისთან გვაქვს პატივი საუბრისა?

იუპიტერი – დემეტრიოსი მქვია, ათენიდან მოვდივარ.

ორესტე – მგონი, ხომალდზე შეგნიშნეთ ამ თხუთმეტიოდე დღის წინათ.

იუპიტერი – მეც დაგინახეთ.

სასახლიდან საშინელი ღრიალი მოისმის.

პედაგოგი – ოჰო, ეს ამბავი კარგს არაფერს მოასნავებს. ბატონო ჩემო, მგონი უმჯობესია აქაურობას გავეცალოთ.

ორესტე – გაჩუმდი.

იუპიტერი – ნურაფრისა შეგეშინდებათ. დღეს მიცვალებულთა დღეა. ეს ღრიალი ცერემონიალის დაწყებას გვაუწყებს.

ორესტე – თქვენ ეტყობა, არგოსს კარგად იცნობთ.

იუპიტერი – ხშირად ჩამოვდივარ ხოლმე. რომ იცოდეთ, აქ ვიყავი მეფე აგამემნონის დაბრუნებისას, როცა ბერძნების გამარ-

ბერძენმა ფილოტმა ნოპლისთან ჩაუშვა ღუზა. გალავნის კედლებიდან თეთრი აფრები ჩანდა. (*ბუზებს იგერიებს.*) მაშინ აქ ერთ ბუსხსაც ვერ ნახავდით. არგოსი პროვინციის ერთი პატარა ქალაქი იყო, მზეზე მოწყენილად მთვლემარე. მეორე დღეს სხვებთან ერთად სამთვალთვალო კოშკზე ავედი და დიდხანს ვადევნებდი თვალს სამეფო კორტეჟს, რომელიც ველზე მოემართებოდა. საღამოს ზანს კი გალავანზე დედოფალი კლიტემნესტრა გამოჩნდა ეგისთეს თანხლებით. არგოსის მკვიდრთა დაინახეს ჩამავალი მზით განათლებული მათი სახეები. მათ ისიც შენიშნეს, როგორ დაიჩარნეს ისინი ქონგურებზე და დიდხანს გასცქეროდნენ ზღვას. არგოსელებმა გაიფიქრეს „უბედურება მოხდებაო", მაგრამ არაფერი უთქვამთ. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ეგისთე კლიტემნესტრას საყვარელი იყო. მაგ არამზადას იმდროიდანვე შავნაღვლიანობა სჭირდა. მგონი, დაგღალეთ?

ორესტე – ბევრი ვიარე ამ პაპანაქება სიცხეში. განაგრძეთ.

იუპიტერი – აგამემნონი გვარიანი კაცი იყო, მაგრამ ერთი შეცდომა მოუვიდა: საჯაროდ სიკვდილით დასჯა აკრძალა. ვაგლახ! ერთი ლაზათიანი ჩამოხრჩობა პროვინციაში ხალხს ართობს და სიკვდილის გრძნობას უჩლუნგებს. აქაურები გაყუჩდნენ, რადგან მოწყენილები იყვნენ და სიკვდილით დასჯის ნახვა უნდოდათ. არც მაშინ დაუძრავთ ხმა, მეფე ქალაქის კარიბჭეს რომ მოადგა. როცა კლიტემნესტრამ თავისი მშვენიერი, სუნამოპკურებული მკლავები გაუწოდა, მაშინაც დუმდნენ. არადა ერთი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა, მხოლოდ ერთი სიტყვა, მაგრამ ისინი დუმდნენ და თითოეულ მათგანს თავგაჩეხილი გვამი ედგა თვალწინ.

ორესტე – თქვენ, თქვენც არაფერი გითქვამთ?

იუპიერი – მერედა ეს გაშფოთებთ, ჭაბუკო? ფრიად მოხარული ვარ. ეტყობა, კეთილი ყმაწვილი ბრძანდებით. არა, მეც არაფერი მითქვამს. აქაური არა ვარ და რატომ ჩავერეოდი. რაც შეეხება არგოსელებს, როცა მეორე დღეს განგმირული მეფის ღრიალი ჩაესმათ, ისევ გაჩუმდნენ, წამწამებით დაიბურეს ვნებით აღვსილი თვალები და მთელი ქალაქი ალერსით მოთენთილი ქალივით გაინაბა.

ორესტე – ქვეყანას კი მკვლელი განაგებს. 15 წელია ბედნიერად გრძნობს თავს. მე მეგონა, ღმერთები უფრო სამართლიანი იყვნენ.

იუპიტერი – აბა, აბა, აგრე აუგად ნუ ახსენებთ ღმერთებს. განა ყოველთვის დასჯაა საჭირო? განა არ აჯობებდა ამ არეულობის მეოხებით ზნეობრივი წესრიგი დაემყარებინათ?

ორესტე – მერედა რა ქნეს?

იუპიტერი – რა და ბუზები დაახვიეს ქალაქს.

პედაგოგი – ვითომ რაო?

იუპიტერი – ბუზი სიმბოლოა. რაც ბუზებმა გააკეთეს, ახლავე თვალნათლივ დაგანახებთ. ხედავთ იქ, ბებერ ცხრაფეხას კედელს რომ აკვრია და პატარა შავი თათებით დაცოცავს? კედლის ხვრელებში მოფუსფუსე შავი და ბრტყელი ფაუნის კარგი ნიმუშია. დავახტები ქვეწარმავალს, ხელს დავტაცებ და მოგიყვანთ. (*ხელს ავლებს ბებერ ქალს და ავანსცენაზე გამოჰყავს*). აი, ჩემი ნადავლი. შეხედეთ რა საზიზღარია, რას ახამხამებ თვალებს, განა მიჩვეული არა ხარ მზისგან გავარვარებულ მახვილებს? ანკესზე წამოგებულ თევზივით არ ფართხალებს? მითხარი, ბებრუხუნავ, შენ ალბათ 12 ვაჟიშვილი გეყოლება მკვდარი. თავიდან ფეხებამდე ჩაშავებულხარ. მიდი, ამოიღე ხმა და შეიძლება გაგიშვა კიდეც. რატომ ატარებ ძაძას?

ბებერი ქალი – ეს ხომ არგოსული სამოსია.

იუპიტერი – არგოსული? ჰო, გასაგებია. მეფის გამო ატარებ ძაძას, მოკლული მეფის გამო, არა?

ბებერი ქალი – გაჩუმდი, ღვთის გულისათვის, გაჩუმდი.

იუპიტერი – ხანი არ უნდა გაკლდეს და უთუოდ გაიგონებდი იმ საშინელ ღრიალს, ქალაქის ქუჩებში მთელი დღე რომ გაისმოდა. შენ რა ჰქენი?

დედაბერი – ჩემი კაცი ყანაში იყო, აბა რა უნდა მექნა. კარი გადავრაზე.

იუპიტერი – ოღონდაც და არაფერი გამომრჩესო, ფანჯარა გამოაღე და სუნთქვაშეკრული ფარდას ამოეფარე. მუცელში კი რაღაც უცნაურმა ღიტინმა შეგაწუხა.

დედაბერი – გაჩუმდი!

იუპიტერი – იმ ღამეს ალბათ ბოლომდე შესვი სიყვარულის ფიალა. დიდი დღესასწაული იყო, არა?

დედაბერი – ოჰ, ბატონო, ეს... საშინელი დღესასწაული იყო.

იუპიტერი – წითელი დღესასწაული, მისი მოგონება ჯერაც არ წაშლილა თქვენი მეხსიერებიდან.

დედაბერი – ბატონო, თქვენ მიცვალებული ხართ?

იუპიტერი – მიცვალებულიო? გაიარე, გაიარე სულელო, რა შენი საქმეა ვინა ვარ. თავს მიხედე, ცოდვები მოინანიე და იქნებ ზეცამ პატიება მოგაგოს.

დედაბერი – ო, ცოდვებს ვინანიებ, ბატონო, რომ იცოდეთ, როგორ ვინანიებ. ჩემი ქალიშვილი სინანულის გზას ადგას და სი-

ძე ხომ ყოველ წელს თითო შესანირ ზვარაკს კლავს. შვილიშვილი შეიდი წლისა მყავს და ისიც სინანულში გავზარდეთ. ძალიან დამ-ჯერია და კარგად ესმის პირველი ცოდვის სიმძიმილი.

იუპიტერი – კარგი, გამეცალე ბებერო მძორო, და ეცადე სინანულში ჩაძაღლდე. ეს თუ გიხსნის. (*დედაბერი გარბის.*) ან მაგრად ეცდები, ბატონებო, ანდა სწორედ ეს გახლავთ ძველებური ცოდვის სამდეილი ღვთისმოსაობა, რომელსაც შიში ასაზრდოებს.

ორესტე – თქვენ ვინა ხართ?

იუპიტერი – ჩემი ამბავი რა საკითხავია. ჩვენ ღმერთებზე ვლაპარაკობდით. მაშ ეგისთეს მეხი უნდა დასცემოდა?

ორესტე – უნდა დასცემოდა... დასწყევლოს ღმერთმა, აბა რა ვიცი, რა უნდა დამართოდა; ანდა რაში მეკითხება. მე აქაური არა ვარ. ეგისთეც სინანულის გზას დაადგა?

იუპიტერი – ეგისთე? ძალიან გამიკვირდებოდა. ანდა რა მნიშვნელობა აქვს ამას. მის სინანულს მთელი ქალაქი ინანიებს. სინანული ხომ წონით იზომება (*სასახლიდან შემზარავი ყვირილი მოისმის.*) გესმით, აქაოდა, მეფე აგამემნონის სასიკვდილო ღრიალი არ დაგვავიწყდესო, მჭახეხმიანი მეხრე შეარჩიეს, რათა ყოველ წლისთავზე სასახლის დიდი დარბაზი გააყრუოს ისეთივე ღრიალით (*ორესტეს ზიზღნარევი ყესტი*). თუმცა ეს არაფერია; ვნახოთ რას იტყვით ცოტა ხნის შემდეგ, როცა მიცვალებულებს გამოუშვებენ. 15 წლის წინათ, სწორედ დღევანდელ დღეს მოკლეს აგამემნონი. ეჰ, არგოსის უდარდელი ხალხი კაი მაგრა შეიცვალა იმ დროიდან და რომ იცოდეთ, რა ახლოს მივიტანე გულთან მათი სატკივარი.

ორესტე – თქვენს გულთან?

იუპიტერი – მოიცა, მოიცა, ჭაბუკო, მე ჩემთვის ვლაპარაკობდი. უნდა მეთქვა: ღმერთის გულთან-მეთქი.

ორესტე – რას ბრძანებთ, განა იუპიტერს მოსწონს სისხლით მოთხვრილი კედლები, აუარება ბუზი, სასაკლაოს სუნი, პაპანაქება სიცხე, უკაცრიელი ქუჩები, ღმერთის ქანდაკება, რომელსაც მკვლელის გამომეტყველება აქვს, დაშინებული ლარვები თავიანთ სახლებში რომ გამოკეტილან და მკერდში ხელებს იბაგუნებენ – ეს ყვირილიც მოსწონს, ეს აუტანელი ყვირილი?

იუპიტერი – ასე ადვილად ნუ განსჯით ღმერთებს, ჭაბუკო, მათ თავიანთი მძიმე საიდუმლოებაც ეყოფათ.

სიჩუმე.

ორესტე – აგამემნონს ქალი ჰყავდა, მგონი ელექტრა ერქვა.

იუპიტერი – დიახ, იგი არგოსში ცხოვრობს, ეგისთეს სასახ-

ლეში, აი იქ.

ორესტე – ოჰ, ეგ ეგისთეს სასახლეა? – რას ფიქრობს ელექტრა...

იუპიტერი – ეჰ, იგი ბავშვია. აგამემნონს ვაჟიც ჰყავდა, ორესტე ერქვა. ამბობენ მოკვდაო.

ორესტე – მოკვდაო! დალახვროს ღმერთმა...

პედაგოგი – ცხადია, ბატონო ჩემო, თქვენც კარგად იცით, რომ მოკვდა. ნოპლის მცხოვრებლებმა გვიამბეს, დიდი ხანი არ იყო გასული აგამემნონის მოკვლის დღიდან, რომ ეგისთემ ისიც მოაკვლევინაო.

იუპიტერი – ზოგს კი ეგონა, ცოცხალიაო. მკვლელებს შესცოდებიათ და ტყეში დაუტოვებიათო. ამბობენ, ათენის მდიდარმა ბურჟუებმა აიყვანეს და გაზარდესო. მე, ჩემდათავად, ვისურვებდი, რომ მკვდარი იყოს.

ორესტე – თუ შეიძლება გვიბრძანეთ, რად ფიქრობთ ეგრე?

იუპიტერი – წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი ქალაქის კარიბჭეს მოადგეს.

ორესტე – მერე?

იუპიტერი – ჰოდა, რომ შემხვედროდა, ვეტყოდი: ჭაბუკო... ჭაბუკს დავუძახებდი, რადგან თუ ცოცხალია, თქვენი ხნისა უნდა იყოს; სიტყვას მოჰყვა და ვინ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?

ორესტე – ფილები მქვია და კორინთოდან გახლავართ. გონების სავარჯიშოდ ვმოგზაურობ მონასთან ერთად, რომელიც ჩემი მასწავლებელი იყო.

იუპიტერი – კეთილი და პატიოსანი, ჰოდა მე ვეტყოდი: ჭაბუკო, წადით აქედან. რა დაგრჩენიათ აქ? თქვენი უფლებები გინდათ დაიბრუნოთ? ეტყობა ფიცხი და გულმაგარი ხართ, ბრძოლაში კარგი მეთაური იქნებოდით; ეგ არ სჯობია? რად გინდათ ცოცხალ-მკვდარი ქალაქის გამგებლობა, ბუზები რომ დასეგვიან და ტანჯავენ. მართალია, აქაურები დიდი ცოდვილები არიან, მაგრამ ახლა სინანულს მისცემიან. დაანებეთ თავი, გაეცალეთ აქაურობას, ჭაბუკო, პატივი ეცით მათ მძიმე წამოწყებას. თქვენ ვერ გაიზიარებთ მათ სინანულს, რადგან მათ დანაშაულში წილი არ გიდევთ, ხოლო თქვენს ქედმაღლურ სიწმინდესა და არგოსელებს შორის ღრმა უფსკრულია; თუ ცოტათი მაინც გიყვართ ამ ქალაქის მკვიდრნი, წადით, თუ არა იცოდეთ, დაკარგავთ მათ: შუა გზაზე რომ გააჩეროთ, ერთი წამითაც რომ დაავიწყოთ სინანული, ყველა მათი დანაშაული ისე მიეყინებათ ტანზე, როგორც გაციებული ქონი. სინდისი სუფთა არა აქვთ და

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი KUTAISI STATE UNIVERSITY

ემინიათ – ხოლო შიშსა და ბინძურ სინდისს ღმერთების ნესტოებისათვის სასიამოვნო ოხშივარი ასდის. დიახ, ღმერთისათვის სასურველი არიან ცოდვილნი სულნი; თქვენ კი გსურთ უზენაესი წყალობა ააცილოთ ხალხს, სამაგიეროს რას მისცემთ: მშვიდ დაგინყებას, პროვინციების საშინელ სიმყუდროვეს და მოწყენილობას, ბედნიერების მოწყენილობას. ბედნიერი მგზავრობა, ჭაბუკო, ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ. ქალაქისა და სულების ნესრიგი მყარი არაა: როგორც კი შეეხებით, უბედურებას გამოინვევთ (*თვალს უსწორებს*). საშინელი უბედურება დაგატყდებათ თავს.

ორესტე – მართლა? ამის მეტს ვერას მეტყვით? მე კი, მე რომ ვეოფილიყავი იმ ჭაბუკის ადგილზე, იცით რას გიპასუხებდით (*თვალს თვალში უყრის, პედაგოგი ახველებს*). აბა, რა ვიცი, რას გიპასუხებდით. იქნებ მართალიც ბრძანდებოდეთ. აბა, რა მესაქმება ამ ქალაქში.

იუპიტერი – სწორი ბრძანებაა. ნეტავი ორესტეც ასეთი გონიერი იყოს. გზა მშვიდობისა. საქმეს უნდა მივხედო.

ორესტე – მშვიდობა თქვენდა.

იუპიტერი – ხო მართლა, იცით აბეზარი ბუზები თავიდან როგორ უნდა მოიცილოთ? შეხედეთ ამ გუნდს, თავს რომ დაგტრიალებთ. მე მაჯას ავამოძრავებ, მერე მკლავს ავიქნევ და ვიტყვი: „აბრახას გალა გალა, ცე-ცე“ და ნახავთ როგორ დაცვივდებიან მინაზე და მუხლუხოებივით დაიწყებენ ცოცვას.

ორესტე – იუპიტერის მზემ! საკვირველია სწორედ!

იუპიტერი – დიდი არაფერი, ცოტა ადამიანური ნიჭი. თავისუფალ დროს ბუზებს ვწვრთნი ხოლმე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

სურათი მეორე

პედაგოგი – ფრთხილად იყავით. ამ კაცმა იცის, ვინცა ხართ.

ორესტე – ნამდვილად კაცი კია?

პედაგოგი – ეჰ, ბატონო ჩემო, გული მომიკალით და ეგაა! რა ფუჭად ჩაუვლია თქვენს წვრთნას და იმ ხალისიან სკეპტიციზმს, მე რომ გიქადაგებდით. „ნამდვილი კაციაო“, ეშმაკმა დალახვროს! არსებობენ მხოლოდ კაცები და თავის სატეხად ეგაც გვეყოფა. ეგ წვეროსანი ეგისთეს რომელიმე ჯაშუში იქნება ალ-

ბათ.

ორესტე – მოეშვი შენს ფილოსოფიას. მაგან არაერთხელ გადამყარა ბოროტებას.

პედაგოგი – ბოროტებას? ნუთუ გონების თავისუფლებას კაცთათვის ზიანი მოაქვს? როგორ შეიცვალეთ! ოდესღაც ჩემგან დაფარული არაფერი გქონდათ. ბოლოს და ბოლოს არ მეტყვით რა ფიქრები გიტრიალებთ თავში? რატომ მომიყვანეთ აქ, რას აპირებთ?

ორესტე – განა გითხარი, რამეს ვაპირებ-მეთქი? წავიდეთ. გაჩუმდი. (*სასახლეს უახლოვდება.*) აი, ჩემი სასახლე. აქ დაიბადა მამაჩემი. აქ მოკლეს იგი ერთმა კახპამ და მისმა აღვირახსნილმა კურომ. მეც აქ დავიბადე. სამი წლისა ვიქნებოდი, ეგისთეს ბრგე კაცებმა სადღაც რომ გამაქრეს. ალბათ ეს კარები გავიარეთ. ერთ იმათგანს ხელებში ვეჭირე, თვალები დაჭყეტილი მქონდა და ალბათ ვტიროდი. აღარაფერი მახსოვს. მე ვხედავ დიდ, უცხო შენობას, პროვინციული ქედმაღლობა რომ დაჰკრავს. ამ სასახლეს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ.

პედაგოგი – აღარაფერი გახსოვთ? უმადური ბრძანებულხართ, ჩემო ბატონო. სულ იმის ცდაში ვიყავი, არაფერი დაგვიწყებოდათ: არცერთი მოგზაურობა, არცერთი უცხო ქალაქი, მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის განკუთვნილი არქეოლოგიის გაკვეთილები; ჩემი ცხოვრების ათი წელი შევალიე ამას და თქვენ არაფერი გახსოვთ? ადრე თქვენს თავში იმდენი სასახლე და ტაძარი ირეოდა, რომ გეოგრაფ პავზანიუსისა არ იყოს, საბერძნეთის გზამკვლევის დაწერას შეძლებდით.

ორესტე – სასახლეები! მართალი ხარ. სასახლეები, კოლონები, ქანდაკებები! იმდენი ქვით მაქვს თავი გამოტენილი, რატომ არ დავმძიმდი ნეტა? ეფესოს ტაძრის 387 საფეხურის შესახებ რატომ არაფერს ამბობ? თითოეულ საფეხურს ცალ-ცალკე დავადგი ფეხი და ყველა მახსოვს. მეჩვიდმეტე მგონი გაბზარული იყო. ოჰ, ძაღლიც კი, ბებერი ძაღლი, ცეცხლთან რომ თბება და პატრონის შემოსვლაზე საამო წკავილით წამოიწევს – თავის პატრონს მაინც ცნობს. მე კი რა უნდა ვიცნო, ან რა გავიხსენო. რა მაბადია?

პედაგოგი – კულტურას რას უშვრებით, ბატონო? ის ხომ თქვენ გეკუთვნით. სიყვარულით შევკონე იგი თქვენთვის ერთ თაიგულად და შიგ ჩავაქსოვე მთელი ჩემი სიბრძნე და მდიდარი გამოცდილება. ადამიანთა აზრები რომ გაგეცნოთ და მრავალი სახელმწიფო გამოგევლოთ, თავიდან წაგაკითხეთ ყველა წიგნი და

განსწავლეთ, რა ცვალებადია ადამიანთა ზნე-ჩვეულებანი. ამჟამად თქვენ ახალგაზრდა, მდიდარი და ლამაზი ქაბუკი ხართ, განსწავლული, ვითარცა ბრძენი, უოჯახო, უსამშობლო, უხატო, ხელობის არმქონე, ყოველგვარი რწმენისაგან და მოვალეობით ნაკარნახევი მოქმედებისაგან თავისუფალი, მოკლედ თქვენ უზენაესი ადამიანი ხართ; შეგიძლიათ ასწავლოთ ფილოსოფია ან არქიტექტურა დიდ სუნივერსიტეტო ქალაქში და მაინც წუწუნებთ.

ორესტე – არა, არ ვწუწუნებ? ვინ მომცა წუწუნის ნება? ქარმა იცის, ობობას ქსელს მოგლეჯს ხოლმე, მიწას კარგა მანძილით დააშორებს და ჰაერში ააფრიალებს. შენგან მონიჭებული თავისუფლება ამ ქსელს ჰგავს. მეც ამ ქსელივით მსუბუქი ვარ და ჰაერში გამოკიდული. ვიცი ბედმა გამიმართლა და ძალიანაც მიხარია. (*პაუზა*). ზოგ ადამიანს დაბადებით დაჰყვება მოვალეობის გრძნობა. მას არჩევანი არა აქვს. იგი წინასწარ დასახულ გზაზე დგას და ამ გზის ბოლოს მოქმედება ელის, მისი საკუთარი მოქმედება. მიდის ეს ადამიანი და შიშველი ტერფებით მტკიცედ ებჯინება მიწას, კენჭები კი ფეხებს უკაწრავენ. რაო, შენ გგონია, ცუდია შენი გზა-სავალი თუკი იცი? არიან გულჩათხრობილებიც, რომლებიც გულის სიღრმეში ამაღელვებელი და მიწიერი სურათების სიმძიმეს გრძნობენ. მათთვის ცხოვრება ნირშეცვლილია, რადგან ბავშვობაში, ხუთი თუ შვიდი წლისანი რომ იყვნენ... მოკლედ ისინი უზენაეს ადამიანებს არ განეკუთვნებიან. შვიდი წლისამ უკვე ვიცოდი, რომ გარიყული ვიყავი. ხმა და სუნი, სახურავებზე წვიმის შხაპუნი, სინათლის ლიცლიცი ტანზე ოდნავ შემეხებოდა და უმალ მცილდებოდა. უკვე ვიცოდი, რომ ისინი მე არ მეკუთვნოდნენ და არც მოგონებებად დამრჩებოდნენ. მოგონებები იმის საქმეა, ვინც სახლებს, საქონელს, მოსამსახურეებსა და ყანებს განაგებს. მე კი, ო, მადლობა ღმერთს, თავისუფალი ვარ. ო, რარიგ თავისუფალი! რა საოცარი სიცარიელეა ჩემს სულში (*სასახლეს უახლოვდება*). მე აქ უნდა მეცხოვრა. არცერთი შენი წიგნი წაკითხული არ მექნებოდა, შეიძლება კითხვაც არ მცოდნოდა. უფლისწულმა ხომ იშვიათად იცის წერა-კითხვა. სამაგიეროდ, ამ კარებში ათიათასჯერ შევიდოდი და გამოვიდოდი. ბალღობაში მისი საგდულებით ვითამაშებდი, მივებჯინებოდი; ისინი ჭრიალით გამიწევდნენ წინააღმდეგობას და ხელებით მათ სიმკვრივეს შევიგრძნობდი. წლები რომ გავიდოდა, ღამღამობით ფარულად გავაღებდი კარს და გოგოებთან გავიქცეოდი. ჩემი სრულწლოვანების დღეს კი მონები ყურთამდე გააღებდნენ კარს და, ცხენზე ამხედრებული, კარიბჭეს გადავლახავდი. ხის ძველო კარო! თვალდახუჭული

მოვახერხებდი შენს გაღებას. ქვემოთ რომ ნაკაწრი გაქვს, ჩემი ნახელავია, შემთხვევით გავკაწრე იმ დღეს, მახვილი რომ მანდეს პირველად. (*გვერდზე მიდგება*). ადრინდელი დორიული სტილია, არა? რას იტყვი ოქროს ინკრუსტაციებზე? ასეთები დოდონაში ვნახეთ. კარგი ნახელავია. კეთილი, ეს სასახლე ჩემი არაა, არც კარია ჩემი. ჩვენ აქ არაფერი გვესაქმება. აღსრულდეს ნება შენი.

პედაგოგი – ძლივს არ მოხვედით გონს? ნეტა რას მოიგებდით, აქ რომ გეცხოვრათ? თქვენც საშინელი სინანულის გზას დაადგებოდით.

ორესტე – სამაგიეროდ, ეს სინანული ჩემი იქნებოდა. ჩემი იქნებოდა ეს მცხუნვარება, თმის ფერი რომ გამიბაცა; ბუზების ბზუილიც ჩემი იქნებოდა. ახლა, სასახლის ერთ ჩაბნელებულ ოთახში შიშველ-ტიტველი ვიქნებოდი, დარაბის ნასვრეტიდან შევხედავდი მოწითალო სინათლეს, ოთახიდან ფეხს არ მოვიცვლიდი, ვიდრე მზე არ ჩავიდოდა და ვიდრე ჰაერში არგოსული შემოღამების სურნელი არ დაიღვრებოდა. ეს შემოღამება სხვათა მსგავსიც იქნებოდა და მთლად უჩვეულოც; ისიც ჩემი იქნებოდა. წავიდეთ, აღმზრდელო, ნუთუ არ გესმის, რომ საცაა ეს პაპანაქება მზე ჩვენც აგვაშმორებს.

პედაგოგი – ოჰ, ბატონო ჩემო, რა სიმშვიდე მომგვარეთ. ბოლო ხანებში, უფრო ზუსტად, იმ დროიდან, რაც თქვენი დაბადების ამბავი გამცნეთ, ვხედავდი, როგორ იცვლებოდით დღითიდღე და ძილი გამიკრთა. ვშიშობდი...

ორესტე – რა გაშინებდა?

პედაგოგი – ვაი, თუ განმირისხდეთ.

ორესტე – არა, თქვი.

პედაგოგი – როგორც არ უნდა ჩაუნერგო შეგირდს სკეპტიკური ირონია, სულელურ აზრებს მაინც ვერ ასცდება-მეთქი, ვშიშობდი, ვაითუ ეგისთეს ტახტიდან ჩამოგდებას და მის ადგილზე დაბრძანებას მოინადინებდით.

ორესტე – (*ნელა*) ეგისთეს ჩამოგდებას? (*პაუზა*). მერწმუნე, კეთილო კაცო, უკვე გვიანაა. ძალიან კი მინდა ვწვდე ამ წყეულ არამზადას წვერში და მამაჩემის ტახტიდან ჩამოვათრიო. მაგრამ აბა რისთვის! განა რა უნდა გავაწყო ამ ხალხთან? მე არ მინახავს მათი არცერთი ბავშვის დაბადება და არც მათი ქალების ქორწილებს დავსწრებივარ. წილი არ მიდევს მათ სინანულში და ერთის სახელიც კი არ ვიცი. განა მართალი არ იყო წვეროსანი, მეფეს იგივე მოგონებები უნდა ჰქონდესო, რაც მის ქვეშევრდომებს. დავეხსნათ ამათ, ჩემო კარგო. ფეხაკრეფით გავეცალოთ აქა-

ურობას. ნეტავი ისეთი რამ გამაკეთებინა, რაიც მათ შორის ცხოვრების უფლებას მომანიჭებდა; დანაშაულსაც არ დავერიდებოდი, ოღონდ შემეძლოს ჩემად ვაქციო მათი მოგონებები, მათი შიში და იმედი; მაშინ გულის სიცარიელე შემევსებოდა... თუნდაც დედის სიყვდილის ფასად...

პედაგოგი – ბატონო ჩემო!

ორესტე – დიახაც. თუმცა ეს მხოლოდ ოცნებაა და სხვა არაფერი. წავიდეთ, ცხენებს თუ ვიშოვით, სპარტამდე ჩავაღწევთ. იქ კი მეგობრები მყვანან.

სურათი მესამე

ივივენი, ელექტრა

ელექტრა – (*ხელში ყუთი უჭირავს, იუპიტერის ქანდაკებას უახლოვდება, ისე რომ მათ ვერ ამჩნევს*). – ნაგავო! მიყურე, რამდენიც გინდა მიყურე! ნუ გგონია, შემაშინებს შენი ჟოლოს წვენით მოთხვრილი მრგვალი თვალები. რაო! ამ დილას გეახლნენ არა – წმინდა ქალები, შაოსანი ბზრიალები? შემოგიარეს ალბათ უხეში ფეხსაცმლის ბაკუნით. უთუოდ გეამა, საფრთხობელავ, შენ ხომ ის ბებრები გიყვარს. რაც უფრო ემსგავსები მიცვალებულებს, მით უფრო გეძალება მათი სიყვარული. ფერხთით წაგიქციეს ზედაშე, დღეს ხომ შენი დღესასწაულია; ცხვირში მეცა მათი კაბების შმორი. ნესტოებში ისევ და ისევ სასიამოვნო სუნი გიღიტინებს. (*ქანდაკებას ეხახუნება*). ჰოდა, ახლა ნახე, რა სუნი ამდის, იყნოსე ცოცხალი ხორცის სუნი. ახალგაზრდა ვარ და ცოცხალი, შენ კი ეს შიშის ზარს გცემს. მეც შენთან მოვდივარ, მსხვერპლი უნდა შემოგწირო დღეს, რაკი მთელი ქალაქი ლოცულობს. შენი იყოს ეს ნაფცქვენები, ღუმელის ნაცარი, მატლიანი ხორცის ნარჩენები. ამ დაობებული ჰურის ნაჭრებს ღორი პირს არ დააკარებს, შენ ბუზებს კი ალბათ მოეწონებათ. ბედნიერი დღესასწაული ყოფილიყოს, ბედნიერი და უკანასკნელი! მე არც ისე ღონიერი ვარ, რომ მინას დაგანარცხო. შემიძლია მხოლოდ შეგაფურთხო, ესაა და ეს. მაგრამ ის, ვისაც ველი, მოვა და თან დიდ მახვილს მოიტანს, დაცინვით შემოგხედავს, აი ასე, დოინჯს შემოიყრის, ცოტა უკან გადაიხრება, შემდეგ კი ქარქაშიდან მახვილს ამოიღებს და გაგაპობს, აი ასე! ჰოდა, იუპიტერის ორი ნახევარი

აქეთ-იქით გაგორდება; ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ; ყველა დაინახავს, რომ ის თეთრი ხისა ყოფილა. მიცვალებულთა ღმერთი ხომ მთლიანად თეთრი ხისაა. ხოლო მის სახეზე სისხლი, საშინელება და მუქმწვანე თვალები მხოლოდ საღებავია, არა? თვითონაც კარგად იცი, რომ შიგნით სულ თეთრი ხარ, სულ თეთრი, ჩვილივით. ისიც იცი რომ მახვილის ერთი მოქნევა ორად ისე გაგაპობს, რომ წვეთი სისხლიც კი არ დაიღვრება. თეთრი ხე, ჯიშიანი თეთრი ხე ხარ, ცეცხლი მშვენივრად რომ ეკიდება. (*ორესტეს შეამჩნევს*). ოჰ!

ორესტე – ნუ გეშინია.

ელექტრა – სრულებითაც არ მეშინია, რისი უნდა მეშინოდეს? ვინა ხარ?

ორესტე – უცხო ვარ.

ელექტრა – კეთილი იყოს შენი მობრძანება. ყველაფერი, რაც ამ ქალაქისათვის უცხოა, ძვირფასია ჩემთვის. რა გქვია?

ორესტე – ფილები მქვია და კორინთოდან ვარ.

ელექტრა – რაო, კორინთოდან? მე ელექტრა მქვია.

ორესტე – ელექტრა! (*პედაგოგს*) – დაგვტოვე.

სურათი მეოთხე

ელექტრა – ეგრე რად მიყურებ?

ორესტე – ლამაზი ხარ. აქაურებს არ ჰგავხარ.

ელექტრა – ლამაზი? მართლა ლამაზი ვარ? კორინთელი ქალებივით ლამაზი?

ორესტე – დიახ.

ელექტრა – აქ ეგ არასოდეს მსმენია. არ უნდათ ჩემი სილამაზე ვიცოდე. თუმცა რაში მჭირდება, მე ხომ მხოლოდ მოახლე ვარ.

ორესტე – მოახლეო?

ელექტრა – მოახლეთა შორის უკანასკნელი მოახლე. ვრეცხავ მეფისა და დედოფლის თეთრეულს. ჭუჭყიან და ტურტლიან თეთრეულს. ვრეცხავ საცვლებს, პერანგებს, რომლებშიც მათი გახრწნილი სხეულებია გახვეული, ღამის პერანგს, რომლითაც კლიტემნესტრა იმოსება, როცა მეფესთან წვება. თვალებს ვხუჭავ და ისე ვრეცხავ, ვრეცხავ, რაც ძალი და ღონე მაქვს, ჭურჭელსაც ვრეცხავ, არა გჯერა? დახედე ჩემს ხელებს. ხედავ როგორი უხე-

ში და დამსგდარი ხელები მაქვს? რა უცნაურად ჭუტავ თვალებს. განა ჩემი ხელები მეფის ასულის ხელებს ჰგავს?

ორესტე – საწყალი ხელები. მართლაც რომ არ ჰგვანან მეფის ასულის ხელებს. კიდევ რას გაკეთებინებენ?

ელექტრა – კიდევ... ყოველ დილას სანაგვე ყუთსა ვცლი. სასახლიდან მოვათრევ და შემდეგ... ხომ ნახე, რასაც ვაკეთებ. ეს ხის მამაკაცი – იუპიტერია, სიკვდილისა და ბუზების ღმერთი. იმ დღეს უხენაეს ქურუმს, მის თაყვანისსაცემად მოსულს, კომბოსტოს ნაფცქვენებზე ფეხი დაუსხლტა და კინაღამ ჭკუიდან შეიმადა. ხომ არ დამაბეზღებ?

ორესტე – არა.

ელექტრა – თუ გინდა, დამაბეზღე, რას დავეძებ. მეტი რაღა უნდა მიყონ. მცემონ? უკვე მცემეს. ჩამკეტონ მაღალ კოშკში? ურიგო არ იქნება. მათ სახეებს მაინც აღარ დავინახავ. საღამოობით, როცა სამუშაოს ვათავებ, წარმოიდგინე, მასაჩუქრებენ ხოლმე: უნდა მიაუხლოვდე თმაშელებილ, სქელ და ძონძროხა დედაკაცს; მას მსუქანი ხელები აქვს, დედოფლის ქათქათა ხელები, რომელთაც ოფლის სუნი ასდით. ხელებს მხრებზე მადებს, ტუჩებით ჩემს შუბლს ეხება და მეუბნება: „ღამე მშვიდობისა, ელექტრა“. და ასე მეორდება ყოველ საღამოს. ყოველ საღამოს ჩემს კანზე ამ ცხელი და გაუმაძღარი ხორცის შეხებას ვგრძნობ. მაგრამ მაგრად ვდგავარ, არც ერთხელ არ დავცემულვარ. ეს დედაჩემია, გესმის? კოშკში რომ ვყოფილიყავი, ველარ მაკოცებდა.

ორესტე – გაქცევაზე არასოდეს გიფიქრია?

ელექტრა – სითამამე არ მყოფნის. მეშინია, მარტომ აბა სად უნდა ვიხეტიალო?

ორესტე – მეგობარი არა გყავს, რომ გამოგყვეს?

ელექტრა – არა, სულ მარტოკა ვარ. აქაურები გეტყვიან მუნიანი და ჭირიანიაო. არც მეგობრები მყავს.

ორესტე – როგორ, არც ძიძა გყავს, რომელსაც შენი დაბადება ახსოვს და რომელსაც ცოტათი მაინც უყვარხარ?

ელექტრა – არა, არც ძიძა მყავს; დედაჩემს ჰკითხე: ყველაზე გულსათუთნიც კი გამირბიან.

ორესტე – მაშ მთელი სიცოცხლე აქ უნდა გაატარო?

ელექტრა – (*შეჰკივლებს*) – ოჰ, როგორ თუ მთელი სიცოცხლე? არა, მისმინე, მე რაღაცას ველი.

ორესტე – რაღაცას თუ ვიღაცას?

ელექტრა – ამას ვერ გეტყვი! აჯობებს შენი ამბავი მითხრა. შენც ლამაზი ხარ, იცი? დიდხანს დარჩები აქ?

ორესტე – დღესვე უნდა წავსულიყავი, ახლა კი...

ელექტრა – ახლა კი რა?

ორესტე – არ ვიცი.

ელექტრა – კორინთო ლამაზი ქალაქია?

ორესტე – ძალიან ლამაზია.

ელექტრა – ძალიან გიყვარს იქაურობა? გეამაყება, რომ კორინთელი ხარ?

ორესტე – დიახ.

ელექტრა – მე კი მეჩოთირება მშობლიური ქალაქით ვიამაყო. იქნებ ამიხსნა რატომ?

ორესტე – რა გითხრა... არ ვიცი, აბა, როგორ აგიხსნა.

ელექტრა – ჰო, არ შეგიძლია (*პაუზა*). – გამიგონია, კორინთოში ბევრი გრილი მოედანია და ამ მოედნებზე საღამოობით ქალაქის მკვიდრნი სეირნობენო.

ორესტე – მართალია.

ელექტრა – მართლა ყველა გარეთაა? ყველა სეირნობს?

ორესტე – ყველა.

ელექტრა – ქალ-ვაჟნი ერთად დადიან?

ორესტე – დიახ, ერთად დადიან.

ელექტრა – ისინი ერთმანეთს ესაუბრებიან? ერთმანეთთან ყოფნა სიამოვნებთ და იქაურობას მათი სიცილი აყრუებს ხოლმე?

ორესტე – ჰო-მეთქი.

ელექტრა – ალბათ სულელი გგონივართ? იცი რა? მიჭირს წარმოვიდგინო სეირნობა, სიმღერები, ღიმილი. აქაურები შიშით არიან შეპყრობილნი. მე კი...

ორესტე – შენ?

ელექტრა – მე კი სიძულვილით. მთელი დღე რას აკეთებენ კორინთელი ქალები?

ორესტე – ირთვებიან, მერე მღერიან, ან ქნარზე უკრავენ; საღამოობით კი ან მეგობრებთან მიდიან, ან მეჯლისზე.

ელექტრა – საზრუნავი არაფერი აქვთ?

ორესტე – როგორ არა, მაგრამ ერთობ პატარა საზრუნავი აქვთ.

ელექტრა – მითხარი ერთი, კორინთელებმა სინანული იციან?

ორესტე – დროდადრო, არც ისე ხშირად.

ელექტრა – მაშ გულის კარნახით მოქმედებენ და მერე აღარც ფიქრობენ, ეს რა ჩავიდინეთო.

ორესტე – დიახ, ასეა.

ელექტრა – უცნაურია (პაუზა). ერთიც უნდა გკითხო. შენ პასუხს იმას შეეუნახავ, ვისაც ველი. დავუშვათ, რომ კორინთელ ჭაბუკს, ერთ-ერთ იმათგანს, ვინც საღამოობით ქალიშვილთან ერთად იცინის, მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, მამა მოკლუდი დახვდეს; დედა მკვლელის საწოლში მონებივრე, და კი მონად ქცეული; როგორ გგონია, კორინთელი ჭაბუკი გაიქცევა? რევერანსებით დაიხევს უკან და მეგობრებს მიაშურებს ვულის საოხად, თუ მახვილს იშიშვლებს, მკვლელს შეებმება და იქამდე არ მოუმვება, სანამ თავს არ გაუჩეხს?

ორესტე – ვერ გეტყვი.

ელექტრა – როგორ თუ ვერ მეტყვი.

კლიტემნესტრას ხმა – ელექტრა!

ელექტრა – ჩუმად!

ორესტე – ვინ არის?

ელექტრა – დედაჩემია, დედოფალი კლიტემნესტრა!

სურათი მეხუთე

ორესტე, ელექტრა, კლიტემნესტრა.

ელექტრა – რა, ფილებ, გეშინია?

ორესტე – ასჯერ ვეცადე მისი სახე წარმომედგინა და ბოლოს დავინამდვილე; დავინახე მოდუნებული და დაღლილი, ფერუმარილით გათხუპნული სახე, მაგრამ ამ უსიცოცხლო თვალებს არ მოველოდი.

კლიტემნესტრა – ელექტრა, მეფე გიბრძანებს სადარბაზოდ გამოეწყო, შავ კაბას ჩაიცვამ და სამკაულებს გაიკეთებ. რაო, რად დახარე თვალები, რად მიაკარი იდაყვები გამხმარ თეძოებს, რაო, სხეული გაწუხებს? რა ხშირად მეჩვენები ეგეთი. მაგრამ იცოდე, ამ მაიმუნობით ვერ მომატყუებ. ეს წუთია სარკმლიდან სულ სხვა ელექტრა დავინახე, თამამი, ლაღი, თვალელვარე ელექტრა. თვალს გამისწორებ თუ არა, მაღირსებ პასუხს?

ელექტრა – ჭურჭლის მრეცხავი გჭირდებათ, რომ დღესასწაულს სახეიმო იერი მიეცეს?

კლიტემნესტრა – თავი დაანებე ტაკიმასხარობას, შენ მეფის ასული ხარ, ელექტრა, და როგორ ყოველთვის ხალხი წელსაც გელის.

ელექტრა – მართლა მეფის ასული ვარ? და ეს წელიწადში ერთხელ გაგონდებათ? აქაოდა ხალხს მაგალითი მივცეთო, ჩვენი ოჯახი უნდა გამოვაჩინო, მეფის პირმშვენიერი ასული, რომელიც ჭურჭელს რეცხავს და ღორებს უვლის. ეგისთე ხელებს მომხვევს მხრებზე, წელსაც ისევე ღიმილით მომადებს ტუჩებს, ყურში კი მუქარის სიტყვებს ჩამჩურჩულებს.

კლიტემნესტრა – შენზეა დამოკიდებული, როგორ მოგეპყრობა ეგისთე.

ელექტრა – დიახ, საამისოდ თქვენი სინანული უნდა გადმომედოს და ღმერთებს პატიება ვთხოვო იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩამიდენია. დიახ, ეგისთეს ხელებს უნდა ვემთხვიო და მამა დავუძახო. ფუი, ფრჩხილების ძირში მას ჯერაც სისხლი აქვს მიმხმარი.

კლიტემნესტრა – ნება შენია. დიდი ხანია ჩემი სახელით აღარაფერს გიბრძანებ. მეფის ბრძანებებს გადმოგცემ მხოლოდ.

ელექტრა – რა ფასი აქვს ჩემთვის ეგისთეს ბრძანებებს. ის თქვენი მეუღლეა და არა ჩემი.

კლიტემნესტრა – ყური დამიგდე, ელექტრა! როგორც ვხედავ, საკუთარი თავის დაღუპვაც გინდა და ჩვენიც. ისე კი რა უნდა გირჩიო, თუკი საკუთარი სიცოცხლეც ერთ დილას გავატიალე. გძულვარ, შვილო ჩემო, მაგრამ იცი, რა უფრო მაღელვებს? მე მგავხარ: შენნაირი წაგრძელებული სახე მქონდა, ნაღვლიანი თვალები, სისხლი მიდუღდა და სასიკეთო არაფერი გამოვიდა აქედან.

ელექტრა – სულაც არ მინდა თქვენ გგავდეთ. თქვი, ფილებ, ხომ გვხედავ, გვერდი-გვერდ ვდგავართ, თქვი, განა ვგავართ ერთმანეთს?

ორესტე – რა მოგახსენოთ. მისი სახე თითქოს სეტყვაგადავლილი ყანაა. შენსაზე კი ქარიშხლის ნიშნები მოჩანს: ერთ მშვენიერ დღეს ვნება გადაბუგავს და ძვალზე დაიყვანს შენს სახეს.

ელექტრა – ქარიშხლის ნიშნებიო? ეგრე იყოს. მაგაში გეთანხმები. დაე, აღსრულდეს შენი სიტყვები.

კლიტემნესტრა – შენ კი, ასე რომ აკვირდები ხალხს, თვითონ ვინა ხარ? დამაცადე შემოგხედო. აქ რას აკეთებ?

ელექტრა – კორინთელია, მოგზაურობს, ფილები ჰქვია.

კლიტემნესტრა – ფილები, აჰ!

ელექტრა – შეგეშინდათ სხვა სახელი არ გავიგონოო?

კლიტემნესტრა – შემეშინდა? თავი რომ დავკარგე, სანაცვლოდ ის მოვიგე, რომ იმ დროიდან აღარაფრის მეშინია... მომი-

ახლოვდი, უცხოელო. კეთილი იყოს შენი მობრძანება. რა ახალგაზრდა ხარ. რამდენი წლისა იქნები?

ორესტე – თვრამეტის.

კლიტემნესტრა – მშობლები ცოცხლები გყავს?

ორესტე – მამა მომიკვდა.

კლიტემნესტრა – დედაშენი? ჩემი ხნისა იქნება ალბათ. ეტყობა, უფრო ახალგაზრდა გეჩვენება, ვიდრე მე ვარ. არაფერს ამბობ? შენ როცა მასთან ხარ, ალბათ ჯერ კიდევ იცინის და მიყვარს ხოლმე. გიყვარს? მიპასუხე. რას აყოვნებ? რად მიატოვე?

ორესტე – სპარტაში, როქის სპაში უნდა ჩავეწერო.

კლიტემნესტრა – მოგზაურები, როგორც წესი, ოცი ლიეს მანძილზე არ ეკარებიან ჩვენს ქალაქს. შენ არ გაგაფრთხილეს? ბარეულებმა კარანტინში მოგვათავსეს. ჭირად მიიჩნევენ ჩვენს სინანულს და ეშინიათ არ გადაგვედოსო.

ორესტე – ვიცი.

კლიტემნესტრა – გითხრეს, რომ თხუთმეტიოდე წლის წინათ ჩადენილი დანაშაული მოუნანიებელ მძიმე ტვირთად გვაწევს მხრებზე?

ორესტე – მითხრეს.

კლიტემნესტრა – რომ დედოფალი კლიტემნესტრა ყველაზე დიდი დამნაშავე იყო, რომ მისი სახელი ყველასაგან დაწყევლილია.

ორესტე – მითხრეს.

კლიტემნესტრა – და მაინც მოხვედი? უცხოელო, მე დედოფალი კლიტემნესტრა ვარ.

ელექტრა – არ შეიცოდო, ფილებ, დედოფალი ჩვენი ეროვნული თამაშით – საჯარო აღსარების თამაშით ერთობა. აქ, წესად აქვთ, – თითოეული თავის ცოდვას საქვეყნოდ გაყვირის. ხშირად, უქმე დღეს, რომელიმე ვაჭარი დახურავს თუ არა თავის დუქანის რკინის დარაბას, ქუჩაში მუხლს მოიდრეკს, თავზე ნაცარს დაიყრის და ღრიალებს, მკვლელი, გარყვნილი და უსინდისო ვარო, მაგრამ არგოსელებს ეს უკვე მოეყირჭათ. თითოეულმა ზეპირად იცის სხვების ცოდვები, დედოფლისა კი განსაკუთებით აღარავის ართობს! მისი ცოდვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელმწიფოებრივი დონის ოფიციალური დანაშაულია. ვერ წარმოიდგენ, როგორ გაეხარდა შენი დანახვა, ახლად მოსული ჭაბუკის, რომელმაც არაფერი იცის, მისი სახელიც კი არ გაუგონია. საგანგებო შემთხვევაა. ახლა ეჩვენება, რომ პირველად ამბობს აღსარებას.

კლიტემნესტრა – გაჩუმდი, ყველას აქვს უფლება სახეში მომაფურთოს, მეძავი და დამნაშავე მიწოდოს, მაგრამ ჩემი სინანულის განსჯის უფლება არავის არა აქვს.

ელექტრა – ხედავ ფილებ, ასეთია თამაშის წესი. ხალხი შეგვევედრება განაჩენი გამოუტანო, მაგრამ ფრთხილად იყავი და სასჯელი დაადე მხოლოდ იმ შეცდომათა გამო, რასაც თვითონ აღიარებენ. სხვა ცოდვა კი არავის ეხება და უკმაყოფილო დარჩებიან, რომ აღმოუჩინო.

კლიტემნესტრა – 15 წლის წინათ საბერძნეთის ულამაზესი ქალი ვიყავი. შეხედე ჩემს სახეს და განსაჯე, როგორ ვევნე და ვეწამე. არაფერს ვაჭარბებ. პირდაპირ გეტყვი: ბებერი კაცის სიკვდილს არ ვინანიებ. როცა დავინახე, რომ აბაზანაში სისხლისაგან იცლებოდა, სიხარულით ავმღერდი, ცეკვა დავიწყე. დღესაც კი, აგერ 15 წელი გავიდა მას შემდეგ, სიამოვნებისაგან მაჟრჟოლებს, როცა მაგონდება. მაგრამ მე ვაჟი მყავდა, შენხელა იქნებოდა ახლა. როცა ეგისთემ იგი როქის სპას გადასცა, მე...

ელექტრა – დედაჩემო, თქვენ ქალიც გყავდათ, მგონი. ჭურჭლის მრეცხავად აქციეთ იგი და ეს ცოდვა ძალიან არ უნდა გტანჯავდეთ.

კლიტემნესტრა – შენ ნორჩი ხარ, ელექტრა; იმას, ვისაც ბოროტება არ ჩაუდენია, ადვილად შეუძლია სხვები განსაჯოს. მაგრამ მოთმინება იქონიე: ერთ მშვენიერ დღეს შენც დაგაწვება ტვირთად გამოუსწორებელი დანაშაული, ყოველ ნაბიჯზე მოგეჩვენება ჩამომცილდაო, მაგრამ ჩადენილის სიმძიმე არ შეგიმსუბუქდება. მოულოდნელად თვალწინ დაგიდგება ხოლმე მუქი, შავი, წმინდა კრისტალი – შენი დანაშაული. ვერაფერს მიხვდები და იტყვი: ეს მე არა ვარ, ეს მე არ გამიკეთებიაო. ასგზის უარყოფილი, ის ტვირთი მაინც შენთან იქნება, არ მოგცილდება, რომ სულ უფრო მეტად დაგამციროს და გაგატიალოს. დაბოლოს მიხვდები, რომ შენი ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია და ამქვეყნად ისღა დაგრჩება, სიკვდილამდე ცასა და ქვეყანას აუწყო შენი დანაშაული. ასეთია სინანულის კანონი, სამართლიანია იგი თუ უსამართლო. მაშინ ვნახავთ, რა დაემართება შენს ახალგაზრდულ ამპარტავნებას.

ელექტრა – ჩემს ახალგაზრდულ ამპარტავნებას? ეტყობა თქვენ ახალგაზრდობას უფრო მეტად მისტირით, ვიდრე თქვენს დანაშაულს. ჩემი ახალგაზრდობა უფრო გძულთ, ვიდრე ჩემი უმანკოება.

კლიტემნესტრა – ის, რაც შენში მძულს, ეს ჩემი თავია; შენი

ახალგაზრდობა კი არ მძულს, ელექტრა, არამედ ჩემი ახალგაზრდობა.

ელექტრა – მე კი თქვენ, სწორედ თქვენ მძულხართ!

კლიტემნესტრა – ვაი სირცხვილო! როგორ ვლანძღავთ ერთმანეთს, თითქოს დედა-შვილი კი არა, მეტოქენი ვიყოთ. და მაინც დედა ვარ შენი. მე არ ვიცი ქაბუკო, ვინა ხარ, ან რისთვის მოსულხარ ჩვენთან, მაგრამ შენი აქ ყოფნა საბედისწეროა. ელექტრას ეძულვარ, ვიცი, მაგრამ მთელი 15 წელი ჩუმად ვიყავით და მხოლოდ თვალი თუ გაგვცემდა ხოლმე. მოხვედი, ხმა გაგვეცი და აჰა, კბილებგადმოყრილი ძაღლებივით ვიღრინებით. ქალაქის ნესის მიხედვით, უნდა შეგიპატიჟოთ, მაგრამ რა დასამალია, მინდა, რომ წახვიდე. შენ კი, შვილო ჩემო, ასლო და კვალო ჩემო, არ მიყვარხარ, ეს მართალია. მაგრამ იცოდე, რომ მარჯვენას მოვიჭრი, ვიდრე ზიანს მოგაყენებ. შენ ეს კარგად იცი და ჩემი სისუსტით სარგებლობ. მაგრამ არ გირჩევ ეგისთეს წინააღმდეგ წამოწიო შენი შხამიანი თავი: ჯოხის ერთი მოქნევით გველს ორად აპობს. დამიჯერე, გააკეთე, რასაც გიბრძანებ, მერე სანანებელი არ გაგიხდეს.

ელექტრა – შეგიძლია უთხრათ მეფეს, რომ დღესასწაულზე არ გამოვჩნდები. იცი, ფილებ, რას აკეთებენ? ქალაქის შემაღლებაზე გამოქვაბულია, რომლის ძირი ჩვენმა ახალგაზრდებმა ვერ იპოვეს. ამბობენ, ჯოჯოხეთს უერთდებაო. უზენაესმა ქურუმმა დიდი ლოდით ჩახერგა. ჰოდა, დამიჯერებ? წელიწადში ერთხელ, ხალხი ამ გამოქვაბულის წინ იკრიბება, ჯარისკაცები გვერდზე დააგორებენ შესასვლელის ჩამხერგ ლოდს და ჯოჯოხეთიდან ამოსული ჩვენი მიცვალებულნი, როგორც ამბობენ ხოლმე, ქალაქში დაეხეტებიან. თავიანთი ადგილები აქვთ სუფრასთან განკუთვნილი; მათ საწოლებსა და სკამებს სთავაზობენ. თვითონ მჭიდროდ სხდებიან, მიცვალებულებისათვის კი ადგილებს ტოვებენ. ყველაფერი მათთვისაა; ისინი კი მთელ ქალაქს შემოირბენენ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მოთქვამენ ხოლმე ცოცხლები: „ჩემო პატარა მიცვალებულო, ჩემო პატარა მიცვალებულო, შენი წყენა არ მინდოდა, მაპატიე“. მეორე დილას, მამლის ყივილზე, მიცვალებულნი მიწისქვეშეთს უბრუნდებიან, გამოქვაბულს ისევ ლოდით გადახურავენ და გაისამდე აღარაფერი მოხდება. არ მინდა ამ ბავშვურ თამაშში მონაწილეობა. ეს მათი მიცვალებულნი არიან და არა ჩემი.

კლიტემნესტრა – ნებით თუ არ წამოხვალ, მეფის ბრძანებით ძალით წაგიყვანენ.

ელექტრა – ძალით!.. ჰა, ჰა, ძალით? ძალიან კარგი. კეთი-

ლო დედა, დაარწმუნე მეფე, რომ მის ბრძანებას შევასრულებ. გამოვჩნდები დღესასწაულზე და რახან ხალხს ჩემი ხილვა სურს, იმედს არ გავუცრუებ. შენ კი, ფილებ, გემუდარები, გადადე შენი წასვლა, დაესწარი ჩვენს დღესასწაულს. იქნებ, ისეთი რამ ნახო, გაგეცინოს კიდეც. ნახვამდის, წავალ, მოვირთვები.

კლიტემნესტრა – (*ორესტეს*) – წადი აქედან. დარწმუნებული ვარ, რომ უბედურებას მოგვიტანდ. ნუ გვიწყენ, შენთვის არაფერი დაგვიშავებია. წადი, დედის სახელს გაფიცებ, წადი!

გადის.

ორესტე – დედის სახელს.

შემოდის იუპიტერი.

სურათი მეექვსე

იუპიტერი – თქვენმა მსახურმა მაცნობა, გამგზავრებას აპირებსო. ქალაქში ცხენებს ეძებსო, მაგრამ ამაოდ; მე კი შემიძლია ორი შეკაზმული ცხენი გიშოვოთ.

ორესტე – წასვლა გადავიფიქრე.

იუპიტერი – (*ნელა*) – აღარ მიდიხართ? (*მცირე ხანს ჩუმადაა; შემდეგ ცოცხლად*). მაშ, არც მე მიგატოვებთ. ჩემი სტუმარი იქნებით. ქალაქის განაპირას საკმაოდ კარგი სასტუმროა და იქ ერთად მოვთავსდეთ. არ ინანებთ, თუ დამემგზავრებით. ჯერ ერთი – აბრახას, გალლა, გალლა, ცე, ცე – ბუზებს მოგაცილებთ. მეორე – ჩემი ხნის კაცი კარგი მრჩეველია, მამობას გაგიწევთ, თქვენ კი თქვენს ამბებს მომიყვებით. ხანდახან ასეთი შეხვედრა უფრო სასარგებლო აღმოჩნდება, ვიდრე ჰგონიათ ხოლმე. გაიხსენეთ ტელემაქე, მეფე ულისეს ვაჟი. ერთ მშვენიერ დღეს მას მოხუცი კაცი, მენტორი შეხვდა. ეს იყო და ეს. მას აქეთ მენტორი აღარ მოშორებია. იგი მის ბედს მიეჯაჭვა და ყველგან დაჰყვებოდა. იცით კია, ვინ იყო ეს მენტორი?

ლაპარაკში გაიყოლიებს და ფარდა ეშვება.

მეორე მოქმედება

სურათი პირველი

მთიანი ადგილი. პატარა მოედანი. მარჯვნივ გამოქვაბულია. შესასვლელი დიდი შავი ლოდით არის დახურული. მარცხნივ ტაძრისაკენ ამავალი საფეხურები მოჩანს.

სცენა პირველი

ბრგო, შემდეგ იუპიტერი, ორესტე და პედაგოგი.

ქალი – (*იჩოქებს თავისი პატარა ბიჭის წინ*). – რა დაემართა შენს ყელსახვევს? უკვე მესამეჯერ ვნასკვავ (*ხელით უწმენდს*). ესეც ასე, ახლა სუფთა ხარ. აბა შენ იცი, ჭკვიანად იყავი და როცა გეტყვიან, სხვებთან ერთად იტირე.

ბავშვი – ისინი იქიდან უნდა ამოვიდნენ?

ქალი – ჰო.

ბავშვი – მეშინია.

ქალი – უნდა გეშინოდეს, ჩემო კარგო. ძალიანაც უნდა გეშინოდეს. შიში შეიქმს პატიოსნებას.

I მამაკაცი – ეტყობა, დღეს კარგი დღე დაუდგებათ.

II მამაკაცი – საბედნიეროდ. იმედია, მზის მცხუნვარების შეგრძნების უნარი არ დაუკარგავთ. შარშან წვიმდა და ისინი... თავზარდამცემნი იყვნენ.

I მამაკაცი – თავზარდამცემნი!

მეორე – ვაგლახ!

III მამაკაცი – როცა ცოცხლებს შეგვეშვებიან და თავიანთ ხვრელებს დაუბრუნდებიან, აქ ამოვცოცდები, ამ ლოდს შევხედავ და გუნებაში ვიტყვი: ესეც ასე, წლევანდელი ყველაფერი მორჩა და გათავდა.

V მამაკაცი – მართლა? ჩემთვის ეგ ვერაფერი შელავათია. ხეაღიდანვე ერთი ფიქრი ამეკვიატება: გაისად ნეტა როგორებიღა იქნებიან-მეთქი? რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ბორიტდებიან.

II მამაკაცი – გაჩუმდი, ბედშავო, ვაითუ რომელიმე მათგანი კედის ერთ-ერთი ნაპრალიდან უკვე ამოძვრა და ჩვენს შორის ფრინის... ზოგიერთი მიცვალებული დანიშნულ დროზე ადრე ამოდა ხოლმე, ხომ იცი...

შემკრთალნი უყურებენ ერთმანეთს.

ახალგაზრდა ქალი – ბარემ ახლავე დაიწყებოდეს. რას უცდიან სასახლისანი? თუმცა იმათ რა ენაღვლებათ. მე თუ მკითხავ, ყველაზე მძიმე ეს ლოდინია. აქ დავყუდებულვართ, ფეხმოკეცილულად, ამ გაგანია სიცხეში და თვალი ვერ მოგვიცილებია ამ შაავ ლოდისათვის. ისინი კი იქ არიან ქვას ამოფარებულნი. ჩვენსავით იცდიან და უხარიათ, რომ ბოროტებას მოგვაგებენ.

მოხუცი ქალი – კარგი ერთი, კახპავ! ვიცით, რაც გაშინებს. მაგის კაცი შარშან გზაფხულზე მოკვდა. ეგ კი, კაი ათი წელი იქნება, რქებს ადგამდა.

ახალგაზრდა ქალი – დიახაც, რომ ვღალატობდი, მაგრამ მიყვარდა და ზრუნვა არ მომიკლია. არასოდეს დაეჭვებულა და, როცა კვდებოდა, თვალებში შემომცქეროდა მადლიერი ძაღლივით. ახლა კი ყველაფერი იცის, სიამტკბილობა ჩააშხამეს, ვძულვარ და თვითონაც წვალობს. მალე მისი უხორცო სული მომეხვევა და ისე მაგრად ჩამეკონება, როგორც არცერთი ცოცხალი არ ჩამკრობია. ბენვივით ყელზე შემოხვეულს ჩემთან წავიყვან. მე გემრიელი კერძები მოვუმზადე, ნამცხვრები, ის, რაც წინათ უყვარდა. მაგრამ მის გულღვარძლიანობას ვერაფერი მოალბობს. ამ ღამეს კი... ამ ღამეს ის საწოლში ჩამიწვება.

I მამაკაცი – ეგ ქალი მართალს ამბობს. დალახვროს ეშმაკმა. რასა იქმს ეგისთე? რას აპირებს? გავბეზრდი ამდენი ლოდინით.

II მამაკაცი – დაიწყე ისევ ნუწუნი, რა გგონია, ეგისთეს ჩვენზე ნაკლებად ეშინია? თქვი, თუ კაცი ხარ; ისურვებდი მის ადგილას ყოფნას და აგამემნონთან პირისპირ შეხვედრას?

ახალგაზრდა ქალი – საზარელია, საზარელი ეს ლოდინი! ასე მგონია, თითქოს თანდათან ყველანი შემომეცალეთ! ჯერ ლოდი არ დაუძრავთ და ყოველი ჩვენგანი, წვიმის წვეთივით მარტომყოფი, თავისი მიცვალებულის ტყვეა.

შემოდის იუპიტერი, ორესტე და პედაგოგი.

იუპიტერი – აქეთ წამოდით, აქედან უკეთ დავინახავთ.

ორესტე – მაშ, ესენი არიან არგოსელები, მეფე აგამნენონის ერთგული ქვეშევრდომნი?

პედაგოგი – რას გვანან ეს საცოდავები. ხედავთ, ბატონო ჩემო, მათ ამოღამებულ თვალებს ცვილისფერ სახეებზე? ეს ალხი შიშით ძრწის. აი, რა იცის ცრურწმენამ. შეხედეთ მათ, არგად დააცქერდით და თუ ჩემი ფილოსოფიის სიმართლე გეევებათ, მეც შემომხედეთ და ჩემს ჯანმრთელ იერსაც დააკვირდთ.

იუპიტერი – ეგეც დიდი რამეა – ჯანმრთელი იერი. რა ბედენაა, რომ შენს ლოყებზე ყაყაჩოები ყვავიან, ჩემო ბერიკაო, იუპიტერის თვალში შენ ისეთივე მძორი ხარ, როგორც ისინი. შენ ყარხარ, მაგრამ ეს არ იცი. ამ სიმყრალით ნესტოებგამოტენილი ხალხი უკეთ იცნობს თავის თავს, ვიდრე შენ.

ბრბო ჩოჩქოლებს

მამაკაცი – (*ტაძრის კიბეებზე ადის და ბრბოს მიმართავს*). – რაო, ჩვენი გაგიუება ხომ არ მოუნდომებიათ? მოდით ხალხო, ერთხმად მოვუხმოთ ეგისთეს. აღარ შეგვიძლია ცერემონიის კიდევ გაჭიანურება.

ბრბო – ეგისთე! ეგისთე! შეგვიბრალე!

ქალი – ეჰ, შეგვიბრალე, შეგვიბრალე; მე ვიღა შემიბრალებს. გამოღადრული ყელით გამომეცხადება ის კაცი, რომ მძულდა, ჩამიკრავს თავის უხილავ კონინა მკლავებში და მთელი ღამე ჩემი საყვარელი იქნება. მთელი ღამე, უჰ!

გული მისდის.

ორესტე – რამ გადარია ეს ხალხი; უნდა უთხრათ...

იუპიტერი – კარგი ერთი ყმაწვილო, განა ღირს ამდენი აურზაური ვიღაც გულწასული ქალის გამო? მოიცა, ჯერ სადა ხარ.

მამაკაცი – (*მუხლებზე ეცემა*) – ვყარვარ, ვყარვარ, მურტალი მძორი ვარ; შეხედეთ როგორც მესევიან ბუზები. დამკბინეთ, დამგესლეთ, დამღრღენით, შურისმაძიებელო ბუზებო, დაგლიჯეთ ჩემი ხორცი, ჩააღწიეთ მურტალ გულამდე. მე შევცოდე, ათი ათასჯერ შევცოდე, მე სიბინძურის ქვევრი ვარ, მე აშმორებული წუმპე ვარ!

იუპიტერი – ყოჩაღ კაცო!

კაცები – (*ფეხზე აყენებენ*) – კარგი ერთი, გეყოფა, მერე წამოიწყე, როცა ისინი მოვლენ.

გაოგნებული კაცი მძიმედ ქშინავს; თვალები გადმოცვენაზე აქვს.

ბრბო – ეგისთე, ეგისთე, შეგვიბრალე, ბრძანე, რომ დაიწყონ;

ძალა აღარა გვაქვს.

ტაძრის საფეხურებზე გამოჩნდება ეგისთე, უკან მოჰყვებიან კლიტემნესტრა, უზენაესი ქურუმი და მცველები.

სურათი მეორე

იგივენი, ეგისთე, კლიტემნესტრა, უზენაესი ქურუმი, მცველები.

ეგისთე – ძაღლებო! ჩივილსაც რომ ბედავთ! დაივიწყეთ თქვენი სიბილწე? იუპიტერს ვფიცავ, გაგახსენებთ. (*კლიტემნესტრასაკენ ბრუნდება*). სხვა გზა არ არის, უიმისოდ უნდა დავიწყოთ. მაგრამ მიფრთხილდეს. სასტიკად დავსჯი.

კლიტემნესტრა – მორჩილებას დამპირდა. დარწმუნებული ვარ, რომ ემზადება. ალბათ სარკის წინ ტრიალებს.

ეგისთე – (*მცველებს*) – გასწით სასახლისაკენ და, ძალით იქნება თუ ნებით ელექტრა მომგვარეთ. (*მცველები გადიან. ბრბოს.*). აბა, ყველანი თავთავის ადგილზე. მამაკაცები მარჯვნივ დადექით, ქალები და ბავშვები კი ხელმარცხნივ. კარგია.

სიჩუმე. ეგისთე იცდის.

უზენაესი ქურუმი – ამ ხალხს მეტი ლოდინი აღარ ძალუძს.

ეგისთე – ვიცი, თუ ჩემი მცველები...

მცველები ბრუნდებიან.

ერთი მცველი – ხელმწიფეო, მთელი სასახლე გადავაბრუნეთ. მეფის ასული არსად ჩანს.

ეგისთე – კარგი. მაგას ხვალ მივხედავთ. (*უზენაეს ქურუმს*). დაიწყე!

ბრბო – უჰ!

მცველები გადააგორებენ ლოდს. უზენაესი ქურუმი მიიწევს სასახლის შესასვლელისაკენ.

უზენაესი ქურუმი – ჰოი თქვენ, მიტოვებულნო, სასონარკვეთილნო, მიწაზე გართხმულნო და უკუნით მოსილნო, კვამლივით მხრჩოლავი ვულკანის ნაპრალიდან ამოხეთქილნო; ბოღმის გარდა არას მქონებელნო, თქვენ მიცვალებულნო, აღსდექით – დღეს თქვენი დღესასწაულია! მოდით, ამოიჭერით მიწიდან ქარის მიერ ატაცებული გოგირდის ოხშივარივით, ამოცვივდით სამყაროს საშოდან,

ო, მიცვალებულნო, ასგზის მიცვალებულნო, თქვენ, რომელთაც ჩვენ-ნი გულის ყოველი ფეთქვა ხელმეორედ მოგაკვდინებთ, რისხვის, სიმწრისა და შურისძიების ძალით მოგიხმობთ, მოდით და მოიკალით სიძულვილი ცოცხალთა მიმართ. მოდით, ხშირ ნისლად მოეფინენით ჩვენს ქუჩებს, გათიშეთ დედა და შვილი, ერთმანეთს დააცილეთ შეყვარებულნი, თავს დაგვატეხეთ სინანული, გვაფიქრებინეთ, ნეტა ჩვენც მიცვალებულნი ვიყოთო. აღსდექით, ჯოჯოებო, ბატლებო, მოჩვენებებო, ჯადოქრებო, ჩვენი ღამეების ავნო-ზმანებანო. აღსდექით, ჯარისკაცებო, წყევლა-კრულვით დაღუპულნო, აღსდექით ბედშავნო, უპოვარნო, აღსდექით შიმშილით სულამომხდარნო, სიცოცხლის უკანასკნელ წამს წყევლა რომ დასცდა თქვენს ბაგეებს. აი, ისინი! ცოცხლები აქ არიან, მსუქანი საკბილო ნადავლი. აღსდექით, დამეხეთ ისინი და ძვლებამდე დაღრღნენით. აღსდექით, აღსდექით, აღსდექით!

დოლის ხმები. ქურუმი გამოქვაბულის შესასვლელთან ცეკვავს, ჯერ ნელა, შემდეგ უფრო და უფრო ჩქარა და ბოლოს ქანცმილეული ძირს ეცემა.

ეგისთე – აი, ისინი გამოჩდნენ!

ბრბო – საშინელებაა.

ორესტე – მეტისმეტია, მე...

იუპიტერი – შემომხედე ჭაბუკო, თვალებში შემომხედე. მიხვდი? ახლა კი ჩუმად იყავი.

ორესტე – ვინა ხართ?

იუპიტერი – ამას მოგვიანებით შეიტყობ.

ეგისთე ნელა ჩამოდის სასახლის საფეხურებზე.

ეგისთე – ისინი აქ არიან. (*სიჩუმე*). არისია, აქ არის შენი მეუღლე, რქებს რომ ადგამდი. აქ არის, გეხუტება და გკოცნის. როგორ გიკრავს გულში, როგორ უყვარხარ, როგორ სძულხარ. ნისია, დედაშენიც აქ არის, უპატრონოდ რომ მოკვდა. სეგეს, საზიზღარო მევახშევ, ისინი აქ არიან, ყველა შენი საცოდავი მევალეები, რომელთაც სიღატაკეში ამოხდათ სული; აქ არიან ისინიც, ვინც გააკოტრე და თავი ჩამოახრჩობინე. ისინი აქ მოსულან და დღეს შენი კრედიტორები არიან. თქვენ კი მშობლებო, გულჩვილო მშობლებო, დახარეთ თვალები, მუხლი მოიდრიკეთ, მინას დაეცქერდით. მკვდარი ბავშვები აქ არიან და თქვენკენ იწვიდიან პანია ხელებს. ყველა ის სიხარული, რომელიც დააკელით, ყველა ის ტანჯვა, რაც მიაყენეთ, ტყვიასავით აწევთ მათ ღვარძლიან და მჭმუნვარე პატარა სულებს.

ბრბო – შეგვიწყალეთ!

ეგისთე – დიახაც, შეგვიწყალეთ! განა არ იცით, რომ მიცვალებულებმა შეწყალება არ იციან? მათი ბრჭყალების დაღი სამუდამოამოა და თქვენს შორის მორიგება შეუძლებელია. ნისია, განა შენი ქველი საქმენი გამოისყიდის იმ ბოროტებას, დედაშენს რომ მიაყენე? რომელი კეთილი საქმით მოიგებ მის სულს? მისი სული მცხუნვარე შუადღეა და იქ, იმ სულში ნიავიც არ ქრის, არაფერი იცვლება, სიცოცხლის ნატამალიც არ არის; ვეება, უძრავი, ყოვლის გადამბუგველი მზე კი შთანთქავს ყველაფერს. მიცვალებულნი – აღარ არიან, და სწორედ ამიტომ თქვენს დანაშაულს მოუსყიდავ დარაჯებად დასდგომიან.

ბრბო – შეგვიბრალეთ!

ეგისთე – შეგვიბრალეთ! ოჰ, საცოდავო მსახიობებო, დღეს მაყურებელი არ გაკლიათ. თუ გრძნობთ თქვენს სახეებზე, თქვენს ხელებზე ათასობით გაშეშებული თვალის უიმედო მზერას? ისინი ჩვენ გვხედავენ, ცხადად გვხედავენ? შიშველ-ტიტველნი გამოვცხადებულვართ მათ სამსჯავროზე. ჰე, ჰე, გაებით მახეში? თქვენ გწვავთ მათი უხილავი და გამჭვირვალე მზერა, უფრო მწველი, ვიდრე ხსოვნა ამ მზერისა.

ბრბო – მოგვიტევეთ ჩვენი ცოდვა, მოგვიტევეთ, რომ ცოცხლები ვართ, თქვენ კი მიცვალებულნი ბრძანდებით.

ქალები – გარს გვახვევია თქვენი სახეები და თქვენი ნაქონი ნივთები. დღენიადაგ ძაძებში ვართ და ვტირით; და ასე ცვლის დღე ღამეს. ვგოდებთ, მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი ამაოა. თქვენი ხსოვნა ირღვევა და თვალსა და ხელს შუა მიედინება. დღითიდღე ეს ხსოვნა ნელ-ნელა მკრთალდება, ჩვენი დანაშაული კი მძიმდება. თქვენ გვტოვებთ, გვტოვებთ, სისხლივით თქრიალ-თქრიალით გვეცლებით; და თუ ეს თქვენ განრისხებულ სულებს დაგიამებთ, იცოდეთ, ძვირფასო მიცვალებულებო, რომ სიცოცხლე მოგვიშხამეთ.

მამაკაცები – მოგვიტევეთ, რომ ცოცხლები ვართ, თქვენ კი მიცვალებულნი.

ბავშვები – შეგვიბრალეთ. ბრალი არ მიგვიძღვის ჩვენს გაჩენაში. გვრცხვენია, რომ ვიზრდებით. როგორ შევძლებდით თქვენს შეურაცხყოფას? შემოგვხედეთ, სული კბილით გვიჭირავს. გასუსულები ვართ, გამხდრები, ფერმკრთალნი და ტანმორჩილნი. მიწაზე ისე დავდივართ, რომ ჰაერი არ შეირხეს ჩვენ გარშემო და თქვენი კი გვეშინია, ოჰ, რარიგ გვეშინია!

მამაკაცები – მოგვიტევეთ, რომ ცოცხლები ვართ, თქვენ კი მიცვალებულნი.

ეგისთე – იყუჩეთ, იყუჩეთ! თქვენ თუ ასე გოდებთ, მე რაღა

მეთქმის, თქვენს ხელმწიფეს? ჩემი წამების ჟამიც დადგა; მიწა შეიძრა და წყვდიადი ჩამოწვა. მიცვალებულთა შორის უდიდესი მიცვალებული უნდა გამოჩნდეს, ის, ვისაც საკუთარი ხელით მოვუსწრაფე სიცოცხლე. აგამემნონი უნდა გამოჩნდეს.

ორესტე – (*მახვილს იშიშვლებს*). – არამზადა? როგორ ბედავ მამაჩემის ხსენებას ამ მაიმუნურ წარმოდგენაში?

იუპიტერი – (*ხელს ჩაავლებს და აჩერებს*). – შეჩერდით ქაბუკო, შეჩერდით!

ეგსითე – (*შემოტრიალდება*). – ვინ გაბედა?

ტაძრის საფეხურებზე ელექტრა გამოჩნდება. ეგისთე შენიშნავს.

ეგისთე – ელექტრა!

ბრბო – ელექტრა!

სურათი მესამე

იგივენი, ელექტრა

ეგისთე – ელექტრა, რას ნიშნავს ეგ მორთულობა?

ელექტრა – ჩემი ყველაზე ლამაზი კაბა ჩავიცვი – დღეს განა დღესასწაული არ არის?

უზენაესი ქურუმი – რაო, მიცვალებულების აბუჩად ასაგდებად მოხვედი? შენ კარგად იცი, რომ ეს მათი დღესასწაულია და ძაძები უნდა ჩაგეცვა.

ელექტრა – ძაძები? ვითომ რათაო? მე ჩემი მიცვლებულების არ მეშინია, თქვენები კი რაში მეკითხება?

ეგისთე – მართალს ამბობ. შენი მიცვლებულები სხვანი არიან და ჩვენი სხვანი. დამიხედეთ ერთი, ეს რა კახპის კაბაში გამოპრანჭულა ატრეესის შვილიშვილი. იმ ატრეესისა, მზაკვრულად რომ გამოსჭრა ყელი თავის ძმისწულებს. შენ ხომ დაწყევლილი მოდგმის უკანასკნელი ნაშიერი ხარ. სიბრალულის გამო გიტანდი ჩემს სასახლეში, მაგრამ დღეს ვაღიარებ ჩემს შეცდომას. შენს ძარღვებში ძველისძველი ობმოკიდებული სისხლია. ყველას ჭირს შეგვყრი, თუ არაფერი ვიღონე. დამაცადე ცოტა ხანს, ძუკნა ძალლო, მე შენ გიჩვენებ, როგორი დასჯა ვიცი. ცრემლი არ გეყოფა, შენი უბედურება რომ გამოიტირო.

ბრბო – ეგ მკრეხელობაა!

ეგისთე – გესმის, ბედშავო, როგორ ბობოქრობს შენგან შეურაცხყოფილი ხალხი? გესმის რა დაგაბრალეს? მე მიმადლოდე, რომ აქა ვარ და მათ მრისხანებას ვაოკებ, თორემ აქვე ჩაგქოლავდნენ.

ბრბო – მკრეხელობაა!

ელექტრა – ჩემი მხიარულება განა მკრეხელობაა? ეგენი რატომღა არ მხიარულობენ? ხელს ვინ უშლით?

ეგისთე – ამას ეცინება, მისი მკვდარი მამა კი აქაა, სახეზე სისხლშემხმარი.

ელექტრა – როგორ ბედავთ აგამემნონის ხსენებას? თქვენ რა იცით, რომ ღამ-ღამობით ის ჩემთან არ მოდის და ყურში არ მიჩურჩულებს? თქვენ რა იცით, სიყვარულის და სინანულის რა სიტყვებს ჩამჩურჩულებს მისი ხრინწიანი და ჩახლეჩილი ხმა. მე ვიცინი, მართალია, პირველად ვიცინი ჩემს სიცოცხლეში, რადგან ბედნიერი ვარ. როგორ გგონიათ, ჩემი ბედნიერება სიხარულს არ ჰგვრის მამაჩემის გულს? ოჰ, ის თუ მართლა აქ არის, თუ ხედავს თეთრად მოსილ თავის ქალიშვილს, რომელიც თქვენ მდაბიო მონად აქციეთ, თუკი ხედავს, რომ მის ქალიშვილს ამაყად უჭირავს თავი და რომ უბედურებამ ვერ შელახა მისი სიამაყე, დარწმუნებული ვარ, ფიქრადაც არ გაიტარებს ჩემს დაწყევლას. გაწამებულ სახეზე თვალები უბრწყინავს, დასისხლიანებული ბაგეები კი გაღიმებას ცდილობენ.

ახალგაზრდა ქალი – ვაითუ მართალს ამბობს?

ხმები – არა, არა, ეგ ტყუის, ეგ შეშლილია. ელექტრა, ღვთის გულისათვის გაგვეცალე, თორემ ეგ მკრეხელობა ჩვენ დაგვაწვება ცოდვად.

ელექტრა – რიღასი გეშინიათ? შემოგცქერით და თქვენი ჩრდილების მეტს ვერაფერს ვხედავ. მისმინეთ, მოგიყვებით ამბავს, რომელიც ეს-ესაა შევიტყვე და თქვენ ალბათ არ იცით: საბერძნეთში თურმე ბედნიერი ქალაქები ყოფილა. თეთრი და წყნარი ქალაქები, რომლებიც ხვლიკებივით მზეს ეფიცხებიან. ახლაც კი, ამავე ცის ქვეშ, კორინთოს მოედანზე ბავშვები თამაშობენ. მათი დედები პატიებას არ ითხოვენ და არ ამბობენ, რატომ გაგაჩინეთო. დედები ღიმილით უმზერენ პატარებს, ეამაყებათ შვილები. ო, არგოსელო დედებო, გესმით ეს თქვენ? გესმით, იქაური ქალები შვილებს სიამაყით უყურებენ და ამბობენ, ესენი ჩემი ნაშობნი არიანო.

ეგისთე – ხმა გაკმინდე, თორემ მაგ სიტყვებს უკან ჩაგჩრი

პირში.

ხმები ბრბოდან – გაჩუმდეს, გვეყო!

სხვა ხმები – არა, ალაპარაკეთ, აცალეთ ილაპარაკოს. ეტყობა, აგამემნონმა შთააგონა.

ელექტრა – რა მშვენიერი დარია. ყველგან, ბარად და მთაში, ადამიანი თავაწეული დადის და ამბობს: რა მშვენიერი დარიაო და უხარია. ჰოი, საკუთარი თავის ჯალათებო, რად დაივიწყეთ ის უბრალო ბედნიერება გლეხკაცისა, რომელიც მიწაზე დადის და ამბობს: კარგი დარიაო, თქვენ კი, ხელჩამოყრილნო, თავჩაღუნულნო, სუნთქვა შეგკვრიათ. თქვენი მკვდრები ჩაგკრობიათ, განძრევისა გეშინიათ, ხელი რომ არ წაჰკრათ. განა საზარელი არ იქნება, უცებ თქვენი ხელები ნოტიო ორთქლს, მამათქვენის ან რომელიმე წინაპრის სულს რომ წაანყდეს? აბა შემომხედეთ! ხელებს ვშლი; ხელებს მაღლა ვწევ, ახლად გაღვიძებული ვიზმორები. მზის ქვეშ ჩემს ადგილს თამამად ვიკავებ. განა ცა თავზე მექცევა? მე ვცეკვავ, მხედავთ, როგორ ვცეკვავ და თმაში ქარის ქროლვას ვგრძნობ მხოლოდ. მკვდრები სადღა არიან? ხომ არ გგოგნიათ, რომ ცეკვაში ამყვებიან?

უზენაესი ქურუმი – არგოსის მკვიდრნო! მე გეუბნებით, რომ ამ ქალის საქციელი მკრეხელობაა. წყეულიმც იყოს იგი და ყველა სხვაც, ვინც ყურს უგდებს.

ელექტრა – ოჰ, ჩემო ძვირფასო მიცვალებულნო, იფიგენიავ, ჩემო უფროსო დაო, აგამემნონ, მამაჩემო და ჩემო ერთადერთო ხელმწიფევ, ისმინეთ ჩემი ვედრება. თუ ჩემი საქციელი მკრეხელობაა, თუ შეურაცხყოფ თქვენს ტანჯულ ღვთიურ სულებს, მანიშნეთ ჩქარა; ხოლო თუ საქციელს მიწონებთ, ჩემო ძვირფასებო, გევედრებით ისე გაყუჩდეთ, რომ არც ერთი ფოთოლიც არ შეირხეს და ვერავითარმა ხმაურმა ვერ შეაკრთოს ჩემი წმინდა ცეკვა. მე ხომ სიხარულის სადიდებლად ვცეკვავ, ადამიანების მშვიდობისათვის ვცეკვავ, ბედნიერებისა და სიცოცხლისათვის ვცეკვავ. ოჰ, ჩემო მიცვალებულნო, მე თქვენ სიჩუმეს შეგთხოვთ, რათა ჩემს გარშემო მყოფმა ადამიანებმა ინიშნონ, რომ თქვენი გული ჩემთანაა.

ცეკვავს.

ხმები ბრბოდან – ცეკვავს! შეხედეთ! ცეცხლის ალივით მსუბუქია; მზეზე ცეკვავს და დროშასავით დაფრიალებს, მიცვალებულნი კი ხმას არ იღებენ.

ახალგაზრდა ქალი – შეხედეთ მის აღტკინებულ იერს. არა, მაგას მკრეხელის სახე არა აქვს. ჰეი, ეგისთე, რად დუმხარ, რა-

ტომ არ უპასუხებ?

ეგისთე – ვინ ეკამათება ძუნგლიან მხეცს. უნდა მოსპო და მეტი არაფერი. შევცდი, რომ ოდესღაც დავინდე, მაგრამ ამ შეცდომას გამოვასწორებ: ნურას შიშობთ, ჭიასავით გავსრეს და მისი მოდგმის სახსენებელსაც გავაქრობ.

ბრბო – მუქარა რა პასუხია, ეგისთე. სხვას ვერაფერს იტყვი?

ახალგაზრდა ქალი – იგი ცეკვავს, იღიმის, ბედნიერია და თითქოს მიცვალებულები მფარველობენო. ოჰ, როგორ მშურს შენი, ელექტრა; აბა შემომხედე, მეც ვშლი ხელებს და მზეს ვუშვერ ჩემს გულმკერდს.

ხმები ბრბოდან – მკვდრები დუმან. ეგისთე, შენ მოგვატყუე.

ორესტე – ელექტრა, ძვირფასო!

იუპიტერი – წყეულიმც იყოს! ხმა უნდა ჩავაწყვეტინო ამ გომბიოს (*მკლავებს შლის*). პოზიდორ, კარიბუ, კარიბუ, ლულაბუ...

ლოდი, რომელიც მჭიდროდ ხურავდა გამოქვაბულის შესასვლელს, გრუხუნით გორდება ტაძრის საფეხურებისაკენ. ელექტრა ჩერდება.

ბრბო – ჰოი საშინელებავ!

უზენაესი ქურუმი – ხალხო, მხდალო და მალემრწმენო: მკვდრები შურისძიებად აღდგნენ! ხედავთ, რა სქელი ღრუბელივით დაგვაცხრნენ თავს ბუზები. თქვენს მკრეხელურ ხმას ვუსმენდით და წყევლა დაგვატყდა თავს.

ბრბო – ჩვენ არაფერი ჩაგვიდენია. ბრალი არ მიგვიძღვის. ეგ მოვიდა და შეგვაცდინა შხამნარევი სიტყვებით. წყალში ისროლეთ ეგ კუდიანი, მდინარეში, კოცონზე!

მოხუცი ქალი – (*ახალგაზრდაზე მიუთითებს*). ეგეც მიაყოლეთ; თაფლვით რომ სვამდა მის თითოეულ სიტყვას, ტანზე შემოახიეთ, გააშიშვლეთ და იმდენი ურტყით, სანამ სისხლი არ დაედინება.

ახალგაზრდა ქალს შეიპყრობენ, მამაკაცები კიბის საფეხურებზე ადიან და ელექტრასაკენ მიიწევენ.

ეგისთე – (*გონს მოდის*). გაჩუმდით, ძაღლებო. გასწით თქვენს ადგილებზე და დასჯა მე მომანდეთ. (*სიჩუმე*). ხედავთ რა ძვირი დაგიჯდათ ჩემი ურჩობა? ამიერიდან კიდევ შეხედავთ ეჭვის თვალით თქვენს მეუფეს? შინ გასწით, მკვდრები თან გამოგყვებიან. ეს ერთი დღე-ღამე თქვენი სტუმრები იქნებიან, ადგილი მიუჩინეთ სუფრასთან, კერასთან, თქვენს ლოგინში და ეცადეთ ჩინებული საქციელით დაავიწყოთ, რაც მოხდა. მე კი, მართალია,

თქვენმა ეჭვებმა გული მატკინა, მაინც მოგიტევებთ. შენ კი, ელექტრა...

ელექტრა – რას იზამ, კოვზი ნაცარში ჩამივარდა. მომავალში ვეცდები აღარ მომეცაროს ხელი.

ეგისთე – ეგ აღარ იქნება. ქალაქის კანონი მიკრძალავს დღესასწაულზე დასჯას. შენ ეგ იცოდი და ამით ისარგებლე კიდევაც, მაგრამ დღეიდან აღარა ხარ ჩვენი მოქალაქე. მოკვეთილ იყავ. ამ ბილწ სამოსელში გამოწყობილი, ფეხშიშველი და ხელცარიელი განგვშორდები სამუდამოდ და თუ ხვალ განთიადისას კიდევ ამ კედლებში იქნები, ვბრძანებ, პირველივე შემხვედრმა, ტილიანი ცხვარივით წაგაკლას.

გადის; მცველები უკან მიჰყვებიან. მუშტმოღერებული ბრბო ელექტრას ჩაუვლის.

იუპიტერი – (*ორესტეს*) რას იტყვით, ჩემო ბატონო? შეიგნეთ რაიმე? კაცმა რომ მკითხოს, ჭკუის სასწავლი ამბავია: ბოროტს ბოროტი მიეგო, კეთილს კეთილი (*ელექტრაზე მიუთითებს*). ეს ქალი...

ორესტე – ეს ქალი ჩემი დაა. გაგვეცალე, ბერიკაცო, მასთან ლაპარაკი მსურს.

იუპიტერი – (*ერთხანს ორესტეს უყურებს. შემდეგ მხრებს აიჩეჩს*). ნება შენია!

გადის. პედაგოგი მიჰყვება.

სცენა მეოთხე

ელექტრა, ტაძრის კიბეზე, ორესტე.

ორესტე – ელექტრა!

ელექტრა – (*თავს წევს და უყურებს*). აა, ეს შენა ხარ, ფილებ?

ორესტე – ამ ქალაქში ველარ დარჩები, ელექტრა. საფრთხე მოგელის.

ელექტრა – საფრთხე? ჰო, მართალია. ნახე, როგორ ჩავფლავდი? იცი, ცოტა შენი ბრალიცაა, მაგრამ არ გიწყრები.

ორესტე – მე რა შუაში ვარ?

ელექტრა – მომატყუე (*მისკენ ჩადის*). აბა, მიჩვენებ შენი სახე. დიახ, ასეა, შენს თვალებს მივენდე.

ორესტე – დრო არ იცდის, ელექტრა; მისმინე, ერთად გავიქცეთ. ცხენების შოვნას დამპირდნენ და თან წაგიყვან.

ელექტრა – არა!

ორესტე – ჩემთან ერთად გაქცევა არ გინდა?

ელექტრა – გაქცევა არ მსურს.

ორესტე – კორინთოში წაგიყვან.

ელექტრა – (*იცინის*) აჰ, კორინთო... იცი, შენდა უნებურად ისევ მატყუებ. აბა, რა მინდა კორინთოში? არა, ჭკუით მოქცევა მმართებს. ჯერ კიდევ გუშინ მოკრძალებულად მეჭირა თავი. სუფრას თავდახრილი ვემსახურებოდი და ნამწამთა შუა გამომკრთალი მზერით მხოლოდ მეუფე ცოლ-ქმარს ვხედავდი. ვხედავდი ოდესღაც ლამაზ და აწ ბებერი დედოფლის მკვდარ სახეს, მსუქან და ფერმკრთალ მეფეს, მის უსიცოცხლო ბაგეებს და ყურიდან ყურამდე გაბმულ წვერს. ვოცნებობდი ერთ მშვენიერ დღეს მენახა მათი გაფატრული მუცლებიდან ამოსული ოხშივარი, ისეთი, სუსხიან დილას რომ ამოისუნთქავს ხოლმე ადამიანი. გეფიცები, ფილებ, სხვა სურვილი არ მქონია. არ ვიცი, რა განგიზრახავს, მაგრამ გული მეუბნება, არ დაგიჯერო. შენს თვალებზე კრძალვა არ გაწერია. სანამ გაგიცნობდი, იცი რას ვფიქრობდი ხოლმე? ბრძენმა მხოლოდ ერთი რამ უნდა ინატროს-მეთქი: სამაგირო მიუზღას ყველა ბოროტებას, რაც კი თავს დაატყდება.

ორესტე – ელექტრა, თუ გამომყვები, ნახავ, რომ შეიძლება ბევრი სხვა რამეც ინატრო და ისევ ბრძენი დარჩე.

ელექტრა – შენი მოსმენა აღარ მსურს. დიდი ბოროტება დამატეხე თავს. უეცრად გამომეცხადე, დავინახე დამშეული თვალები, ქალწულივით სათნო სახე და ჩემი სიძულვილი გადამავიწყდა. ხელები გავშალე და ჩემი ერთადერთი განძი ფეხებთან დამივარდა. მე ვირწმუნე, რომ აქაურ ხალხს სიტყვებით განვკურნავდი. ხომ ნახე, რაც მოხდა: მათ საკუთარი ბოროტება ურჩევნიათ; ჩვეული იარა ესაჭიროებათ, იარა, რომელსაც მზრუნველობით ეკცევიან და ჭუჭყიანი ფრჩხილებით მოიფხანენ. მათი მორჩენა მხოლოდ ძალადობით შეიძლება; ბოროტება მხოლოდ სხვა ბოროტებით თუ დაითრგუნება. მშვიდობით, ფილებ, წადი და დამტოვე ჩემი ბოროტი ზმანების ანაბარა.

ორესტე – მოგკლავენ.

ელექტრა – აქ ერთი სალოცავია, აპოლონის ტაძარი. დამნაშავეები ხანდახან იქ აფარებენ ხოლმე თავს. სანამ იქა ხარ, თითსაც ვერავინ დაგაკარებს. იქ დავიმალები.

ორესტე – რატომ არ გინდა დაგეხმარო?

ელექტრა – არა, შენი დახმარება არ მინდა. სხვამ უნდა მიხსნას (*მცირე ხანს ფიქრობს*). ჩემი ძმა არ მომკვდარა, მე ეს ვიცი და ველოდები.

ორესტე – რომ არ მოვიდეს?

ელექტრა – მოვა, როგორ იქნება, რომ არ მოვიდეს... ჩვენი მოდგმისაა. ჩემსავით სისხლში აქვს უბედურება და დანაშაული. მამაჩემივით თვალსისხლიანი, ახოვანი მეომარი უნდა იყოს, ფიცხი და მუდამ შემართული. ისეა ჩახლართული ბედისწერაში, თითქოს მუცელგამოფატრული ცხენი იყოს, ფეხებით საკუთარ ნაწლავებში რომ ჩახვეულა და შიშით ვერ ინძრევა, წელები არ დამაწყდესო. დარწმუნებული ვარ, ეს ქალაქი მოიზიდავს, რადგან მხოლოდ აქ ძალუძს ჩაიდინოს ყველაზე დიდი ბოროტება და თავის თავსაც ყველაზე დიდი უბედურება მოუტანოს. ის მოვა პირქუში, გატანჯული და სულწასული, ერთ ადგილს დაუწყებს ცხენივით ტორვას; მეშინია მისი, ყოველ ღამეს მესიზმრება და კივილით ვიღვიძებ. მაგრამ ვუცდი და მიყვარს იგი. მე აქ უნდა დავრჩე და მის რისხვას წინ წარვუძღვე; უნდა მოვითმინო, რათა დამნაშავეები ვაჩვენო და ვუთხრა: დაჰკარ, ორესტე, დაჰკარ, აი ისინი!

ორესტე – ისეთი რომ არ იყოს, შენ რომ წარმოგიდგენია?

ელექტრა – აბა, მაშ როგორი უნდა იყოს აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟი?

ორესტე – იქნებ, ბედნიერ ქალაქში გაზრდილს მობეზრდა ამდენი სისხლის ღვრა?

ელექტრა – მაშინ სახეში შევაფურთხებ და ვეტყვი: „გაეთრიე, ძაღლო, დიაცებს მიაშურე, რადგან თვითონაც დიაცი ყოფილხარ. მაგრამ იცოდე, წაგებას იქნები. შენ ხომ ატრევსის შვილიშვილი ხარ და ატრიდების ბედისწერას ვერ გაექცევი. შერცხვენა ამჯობინე დანაშაულს, ნება შენია, მაგრამ ბედისწერა საწოლშიც მოგაგნებს: ჯერ სირცხვილს ჭამ, შემდეგ კი, ნებით თუ უნებურად, დანაშაულს ჩაიდენ“.

ორესტე – ელექტრა, მე ორესტე ვარ!

ელექტრა – (*ყვირილით*). ტყუი!

ორესტე – მამაჩემის აგამემნონის ღვთიურ სულს გეფიცები, ორესტე ვარ. (*მცირე ხანს სიჩუმე*). – აბა, რაღას უცდი, რატომ არ მაფურთხებ სახეში?

ელექტრა – არ შემიძლია. (*ორესტეს უყურებს*). ეს დიდებული შუბლი ჩემი ძმის შუბლია. ეს სხივოსანი თვალები ჩემი ძმის თვალებია. ეჰ, ორესტე, მერჩივნა, ფილებად დარჩენილიყავი, ჩემი ძმა კი ცოცხალი არ ყოფილიყო. (*მორცხვად*). მართალია, რომ

კორინთოში ცხოვრობდი წინათ?

ორესტე – არა, ათენელებმა გამზარდეს.

ელექტრა – რა ახალგაზრდა ხარ. გიბრძოლია როდისმე? ეგ მახვილი, წელზე რომ გარტყია, ამოგიღია როდისმე ქარქაშიდან?

ორესტე – არასდროს.

ელექტრა – სანამ გაგიცნობდი, ეულად ვგრძნობდი თავს. მე სხვას ვუცდიდი. მხოლოდ მის ძლიერებაზე ვფიქრობდი და ჩემს სიძაბუნეს არად ვაგდებდი. ახლა კი ჩემთან ხარ. ორესტე შენ ყოფილხარ. გიყურებ და ვხედავ, რომ ჩვენ ორი ობოლი ვართ (*პაუზა*). მაგრამ მიყვარხარ, რომ იცოდე უფრო ძლიერად, ვიდრე ის მეყვარებოდა.

ორესტე – წამოდი, თუ გიყვარვარ, ერთად გავიქცეთ.

ელექტრა – გავიქცეთ? შენთან ერთად? არა. აქ უნდა გადაწყდეს ატრიდების ბედი და მე ატრიდების მოდგმას ვეკუთვნი. არაფერს გთხოვ. არ მინდა ფილებს რაიმე ვთხოვო. მე აქ დავრჩები.

სცენის სიღრმეში იუპიტერი გამოჩნდება. იმალება. ყურს უგდებს.

ორესტე – ელექტრა, მე ორესტე ვარ... შენი ძმა. მეც ატრიდი ვარ და შენი ადგილი ჩემს გვერდზეა.

ელექტრა – არა, შენ ჩემი ძმა არა ხარ და მე არ გიცნობ. ორესტე მოკვდა, მით უკეთესი მისთვის. ამიერიდან თაყვანს ვცემ მის წმინდა სულს, მამისა და დის სულებთან ერთად. შენ კი მოდიხარ და ატრიდების სახელს ჩემულობ; ვინა ხარ, რომ ჩემთან მიგიღო? გიცხოვრია კი მკვლელობის გარემოში? ეტყობა, მშვიდი ბიჭი იყავი, ნაზი და საზრიანი მზერით, მამობილის სიამაყე, კარგად დაბანილ-დავარცხნილი, ნდობით გაბრწყინებული თვალებით. ენდობოდი შენს ხალხს, რადგან ისინი გულღიად გიღიმოდნენ, ენდობოდი მაგიდებსა და საწოლებს, კიბის საფეხურებს, ისინი ხომ ადამიანებს ერთგულად ემსახურებიან. ცხოვრებისა გწამდა, რადგან მდიდარი იყავი და ბევრი გასართობიც გქონდა. ხანდახან ალბათ ფიქრობდი კიდეც, ქვეყანა არც ისე ურიგოდ არისო მოწყობილი და ისევე სასიამოვნოა ცხოვრების ზღვაში გადაშვება, როგორც აბაზანაში ნებივრობაო. მე კი ექვსი წლისა უკვე მოახლე ვიყავი და სულით უნდო (*პაუზა*). წადი, მშვენიერო სულო, არ მინდიხარ! მე თანამზრახველი მჭირდება.

ორესტე – როგორ გგონია, მარტო მიგატოვებ? რაღა გაჩერებს აქ, თუკი უკანასკნელი იმედიც დაგეკარგა?

ელექტრა – ეგ ჩემი საქმეა. მშვიდობით, ფილებ.

ორესტე – მაშ მაგდებ? (*რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და*

ჩერდება). რა ჩემი ბრალია, თუ იმ განრისხებულ მეომარს არ ვგავარ, შენ რომ ელოდი? ხელს რომ მოჰკიდებდი და ეტყოდი: „დაჰკარიო“, მე კი არაფერს მთხოვ. ვინღა ვარ მე, ღმერთო ჩემო, თუკი საკუთარი და ისე მიშორებს თავიდან, რომ არც კი სურს გამომცადოს.

ელექტრა – ოჰ, ფილებ, ვერასოდეს დაგაკისრებდი ამოდენა ტვირთს. შენმა გულმა ხომ არ იცის რა არის სიძულვილი.

ორესტე – (*გულჩაკლული*). რა კარგად ამბობ, არ იციო რა არის სიძულვილი. მაგრამ იცი, მან სიყვარულიც რომ არ იცის? შენს შეყვარებას კი შევძლებდი, მაგრამ როგორ? ...იმისათვის რომ გიყვარდეს, გძულდეს, გრძნობებს უნდა აჰყვე. რა მშვენიერია სისხლჭარბი ადამიანი, მყარად რომ დაჰყრდნობია თავის ავლადიდებას; მას ძალუძს ერთ მშვენიერ დღეს თავდავიწყებით მიეცეს სიყვარულს, სიძულვილს, და უხვად გასცეს თავისი მიწა-წყალი, თავისი სახლ-კარი და თავისი მოგონებებიც. ვინა ვარ მე და რა მაქვს გასაცემი? ძლივსღა ვარსებობ. ამ ქალაქში მოლასლასე მოჩვენებებზე უფრო მოჩვენება ვარ. მე გამომიცდია მოჩვენებითი სიყვარული, ნარმავალი და ნისლივით გაფანტული, მაგრამ არ ვიცი ცოცხალი ადამიანების მხურვალე ვნება რა არის. ვაი, სირცხვილო! მშობლიურ ქალაქს დავუბრუნდი, საკუთარ დას კი ჩემი ცნობა არ უნდა. სადღა წავიდე? რომელ ქალაქს შევაფარო თავი?

ელექტრა – ქალაქი არ გეგულება, სადაც პირმშვენიერი ასული გელის?

ორესტე – არავინ მელის. ქალაქ-ქალაქ დავეხეტები უცხო სხვათათვის და უცხო საკუთარი თავისთვისაც. სადღაც მივდივარ და წყალივით აუმღვრეველი და მშვიდი ქალაქები უკან მრჩებიან. არგოსიდანაც ისე წავალ, რომ არავითარ კვალს არ დავტოვებ, მხოლოდ შენს გულს დააჩნდება იმედგაცრუების სიმწარე.

ელექტრა – შენ ბედნიერი ქალაქების ამბავს მიყვებოდი.

ორესტე – რას ვაქნევ ბედნიერ ქალაქებს. მე მინდა ჩემი მოგონებანი მქონდეს, ჩემი სამკვიდრო, ჩემი ადგილი არგოსის მკვიდრთა შორის. არა, ელექტრა, აქედან წამსვლელი არა ვარ.

ელექტრა – წადი, ფილებ, გემუდარები. მებრალები, წადი თუ გიყვარვარ. ბოროტების გარდა ვერაფერს მოიმკი და შენი უცოდველობა მხოლოდ ხელს შემიშლის.

ორესტე – არ წავალ.

ელექტრა – ნუთუ გგონია ნებას დაგრთავ აქ დარჩე, რათა შენი უღიმღამო სინმინდით თავი მომაბეზრო, ჩემი საქციელის ხე-

ლისშემშლელ მსაჯულად დამადგე თავს. რატომ ჯიუტობ? შენ აქ არავის უნდიხარ.

ორესტე – სხვა გზა არა მაქვს. ელექტრა, ნუთუ ამასაც მისპობ? გამიგონე, მე მინდა კაცი ვიყო, ფესვგადგმული, კაცი კაცთა შორის. მონა რომ მონაა, სახედაღრეჯილი და მოღუშული, რომელსაც მძიმე ტვირთი აუკიდია და ძლივს მილასლასებს, ისიც კი თავის ქალაქშია, როგორც ფოთოლი ტოტზე, როგორც ხე ტყეში. მის ირგვლივ მთელი არგოსია, მძიმე და მხურვალე, თავის თავის კმაყოფილი. მე მინდა ის მონა ვიყო, ელექტრა, ეს ქალაქი ჩემკენ მოვიზიდო და შიგ გავეხვიო, როგორც ზენარში. არა, არ წავალ.

ელექტრა – ასი წელიც რომ იცხოვრო ჩვენს შორის, მაინც უცხო დარჩები. მარტოობა უფრო მოგეძალება, ვიდრე დიდ შარაგზისეულ მგზავრს. თავდახრილი ხალხი ალმაცერად შემოგხედავს და გვერდზე რომ ჩაუვლი, ხმას დაუწევენ.

ორესტე – ნუთუ ასე ძნელია თქვენი სამსახური? ჩემს მარჯვენას ქალაქის დაცვა შეუძლია, ოქროსაც არ დავიშურებ, რომ ღატაკებს ხვედრი შევუმსუბუქო.

ელექტრა – ჩვენ არც მხედართმთავარი გვჭირდება და არც ღვთისმოშიში ქველმოქმედი.

ორესტე – მაშინ...

თავდახრილი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს. გამოჩნდება იუპიტერი, რომელიც ხელებს ისრესს და ორესტეს უყურებს.

ორესტე – (*მაღლა წევს თავს*). ნეტავი გამაგებინა რა ხდება! ჰოი ზევს, ზევს, ცათა მეუფევ, შენთვის იშვიათად მომიმართავს, არც შენ მიყურებდი წყალობის თვალით, მაგრამ მოწმე ხარ, რომ მხოლოდ სიკეთეს ვესწრაფოდი. უკვე მოვიღალე, კეთილსა და ბოროტს ველარ ვარჩევ. გზის გამკვლევი მჭირდება. ზევს, ნუთუ მშობლიური ქალაქიდან გაძევებული მეფისწული თავჩაღუნული ძაღლივით უნდა გაიძურწოს? ასეთია შენი ნება? ვერ დავიჯერებ. თუმცაღა... თუმცა შენ კი აკრძალე სისხლისღვრა, ოჰ, რამ მათქმევინა სისხლისღვრა. გემუდარები, ზევს, თუ მორჩილება და ულირსად თავის დამცირება შენს მიერ თავსმოხვეული კანონია, მანიშნე როგორმე შენი ნება-სურვილი, თორემ თავგზა ამებნა.

იუპიტერი – (*თავისთვის*). ადვილი საქმეა. მზად ვართ გემსახუროთ. აბრახას, აბრახას, ცე, ცე!

ელექტრა – (*იცინის*). ჰე, ჰე, დღეს სასწაულების წვიმაა. ხედავ, ფილებ, ღვთისმოშიშო ფილებ, რა მოიგე, ღმერთებს რომ

მიმართე რჩევისათვის. (*გიჟური სიცილი აუტყდება*). კეთილო ჭაბუკო... ღვთისმოშიშო ფილებ, „მანიშნე ზევს“, „მანიშნე“ და, აჰა, რა ნათელი მოეფინა წმინდა ქვას. მოგვშორდი, კორინთოს გზას დაადექი! გაგვეცალე!

ორესტე – (*ქვას უყურებს*). მაშ, ეს არის სიკეთე! (*პაუზა. ისევ ქვას უყურებს*). ჩუმად გავეცალო აქაურობას, უხმოდ, უჩუმრად. იმეორო დღენიადაგ „მომიტევეთ“, „გმადლობთ“. ესაა, მაშ. (*პაუზა. ქვას უყურებს*). სიკეთე, მათი სიკეთე. (*პაუზა*). ელექტრა!

ელექტრა – გასწი, ჩქარა წადი. იმედი არ გაუცრუო ბრძენ ძიძას, ოლიმპოს მწვერვალიდან რომ გადმოხრილა შენსკენ. (*შემკრთალი ჩერდება*). რა მოგივიდა?

ორესტე – (*შეცვლილი ხმით*). სხვა გზაც არსებობს!

ელექტრა – (*შემკრთალი*). ბოროტმოქმედად ნუ მოგაქვს თავი, ფილებ. შენ ნიშანი შესთხოვე ღმერთს, ჰოდა ახლა ხომ ინიშნე მისი ნება?

ორესტე – ნიშანი? ჰო, მართლა; რაზე ამბობ, ამ დიდ ქვას გარშემო ნათელი რომ მოეფინა? ეს ნათელი ჩემთვის არ არის და ამიერიდან ვეღარავინ მიბრძანებს, როგორ მოვიქცე.

ელექტრა – რა გამოცანებით ლაპარაკობ!

ორესტე – როგორ დამშორდი უცებ... როგორ შეიცვალა ყვეელაფერი! ჩემს გარშემო რაღაც ცოცხალი და თბილი იყო. რაღაც მოკვდა... რა სიცარიელეა, თვალს ვერ გაუწვდენ. (*რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს*). ღამდება... არ გეჩვენება, რომ აცივდა? ნეტა რა მოხდა? რა მომივიდა, რა მოკვდა ჩემში?

ელექტრა – ფილებ...

ორესტე – გეუბნები, რომ სხვა გზაც არის... ჩემი გზა. ნუთუ ვერ ხედავ: ის აქედან მიემართება და ქვევით ქალაქისკენ ეშვება. იქაა ჩასვლა საჭირო, თქვენამდე ჩამოსვლა: თქვენ ხომ ორმოს ფსკერზე ხართ, სულ ძირში. (*ელექტრასკენ მიიწევს*). შენ ჩემი და ხარ, ელექტრა; ეს ქალაქი ჩემი ქალაქია, დაო ჩემო!

ხელს ჰკიდებს.

ელექტრა – ხელი გამიშვი, მტკენ, მაშინებ, მე შენ არ გეკუთვნი.

ორესტე – ვიცი, ჯერ არ მეკუთვნი! მე ძალზე მსუბუქი ვარ; მძიმე დანაშაული უნდა ჩავიდინო, რომ არგოსის ძირამდე დავეშვა.

ელექტრა – რას აპირებ?

ორესტე – მოიცადე, მაცალე გამოვემშვიდობო ამ მსუბუქ სინმინდეს. მაცალე გამოვემშვიდობო ჩემს სიჭაბუკეს. კორინთოსა და ათენში სურნელებითა და სიმღერებით გაჟღენთილი საღამოები

იცის. ამიერიდან მათ სამუდამოდ უნდა დავემშვიდობო. იმედით აღსავსე განთიადებსაც. მშვიდობით! მშვიდობით! (*ელექტრასკენ მიდის*). წამო, ელექტრა, ჩვენს ქალაქს შეხედე. ის იქ არის, თაკარა მზეზე, კაცთა და ბუზთა ბზუილით გაყრუებული, ზაფხულის ნაშუადღევის ხვატში გათანგული. მისი ყოველი კედელი, სახურავი, ყოველი დახშული კარები უარს მეუბნება. მაგრამ მათ უნდა დავეუფლო. ამას დილიდანვე ვგრძნობდი. და შენც უნდა დაგეუფლო, ელექტრა. ყველას უნდა დავეუფლო. ნაჯახად ვიქცევი და ორად გავაპობ ამ ჯიუტ კედლებს, მუცლებს დავუფატრავ ამ ფარისეველ სახლებსა და მათი გაფატრული მუცლებიდან საჭმლისა და საკმევლის სუნი ამოვა. ცულად ვიქცევი და ამ ქალაქის გულს ისე ჩავესობი, როგორც მუხის ტანს ცული ესობა ხოლმე.

ელექტრა – როგორ შეიცვალე: შენი თვალები აღარ ბრწყინავენ. ისინი ჩაქრნენ და ჩამუქდნენ. ვაგლახ, შენ ისეთი სათნო იყავი, ფილებ, ახლა კი ისე მელაპარაკები, როგორც ის, მეორე მელაპარაკებოდა ხოლმე სიზმარში.

ორესტე – ყური დამიგდე. აქაურები თავიანთი მკვდრებით გარშემორტყმულნი ჩაბნელებულ ოთახებში კანკალებენ. წარმოიდგინე, ჩემს თავზე ავიღო ყველა მათი დანაშაული. წარმოიდგინე, რომ მინდა დავიმსახურო სახელი „სინანულის ქურდისა“ და დავიჩემო ყველა მათი სინანული. იმ ქალისა, ქმარს რომ ღალატობდა, ვაჭრისა, დედას რომ არ მიხედა და მოუვლელი მოუკვდა, მევახშისა, სიკვდილის კარს რომ მიიყვანა მევალეები. როცა არგოსის ბუზებზე უფრო დიდი სინანული დამეუფლება, მითხარი, მაშინაც არ მექნება უფლება თქვენთან ვიცხოვრო? მაშინ ხომ ჩემს სახლში ვიქნები სისხლით მოთხვრილ კედლებს შორის? ხომ დავემსგავსები დახლში მდგომ წინსაფარგასისხლიანებულ ყასაბს, ახლადგამოფატრულ ხარებს შორის რომ დგას ხოლმე?

ელექტრა – ჩვენს მაგივრად გინდა მოინანიო?

ორესტე – მოვინანიო? მე გითხარი, მთელ თქვენს სინანულს ჩემს თავზე ავიღებ-მეთქი, მაგრამ არ მითქვამს, რას ვუზამ ამ მოკაკანე ქათმებს, იქნებ კისრებიც მოვუგრიხო.

ელექტრა – როგორ შეძლებ თავზე აიღო ჩვენი ტკივილი?

ორესტე – თქვენ გინდათ თავიდან მოიცილოთ ტკივილი, მაგრამ ხელმწიფე და დედოფალი ძალას გატანენ და გულში გიტოვებენ მაგ ტვირთს.

ელექტრა – ხელმწიფე და დედოფალი... ფილებ.

ორესტე – ღმერთია მოწამე, სისხლის დაღვრა არ მინდოდა.

ხანგრძლივი სიჩუმე.

ელექტრა – შენ ძალიან ნორჩი ხარ, ძალიან სუსტი...

ორესტე – აა, უკვე უკან იხევ? დამმალე სასახლეში, ამ საღამოს გამიძეხ სამეფო სანოლისაკენ და ნახავ, როგორი სუსტიცა ვარ.

ელექტრა – ორესტე!

ორესტე – შენ პირველად დამიძახე ორესტე.

ელექტრა – დიახ, ვირწმუნე, რომ მართლაც შენა ხარ. შენ ორესტე ხარ. ვერ გიცანი, რადგან ასეთს არ გელოდი. მაგრამ ახლაც სიზმარში ათასგზის განცდილი მწარე გემო შევიცანი პირში და გზნების ცეცხლმა დამიარა. მაშ, ორესტე, შენ მოხვედი და გადაწყვეტილება მიიღე. მეც აქა ვარ. მივადექით გარდაუვალი ქმედების ზღურბლს და ისევ ისე მეშინია, როგორც სიზმარში. ო, მოლოდინის წუთო, როგორ გელოდი და როგორ მეშინოდა შენი. დროის დინება აჩქარდა და ამიერიდან ყოველი წუთი ისე გაედევნება მეორეს, როგორც მექანიზმის ბორბლები; ჩვენთვის კი მანამდე არ იქნება შვება, ვიდრე ორივეს პირაღმა არ დავცემთ და არ დავინახავთ შავი თუთასავით გაჭყლეტილ მათ სახეებს. რა სისხლის გუბე დადგება! ამ სისხლს შენ დაანთხევ, ნაზთვალა ჭაბუკო. ვაგლახ, ვეღარასოდეს ვიხილავ ამ სინაზეს, ვეღარასოდეს ვიხილავ ფილებს. ორესტე, შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ და ოჯახის უფროსიც, მომხვიე მკლავი, დამიცავი, რადგან ჩვენ დიდი ტანჯვის გზას დავადექით.

ორესტე მოეხვევა, იუპიტერი სამალავიდან გამოდის და უხმოდ ტოვებს იქაურობას.

ფარდა

სურათი მეორე

სატახტო დარბაზი სასახლეში. იუპიტერის სისხლიანი და შემზარავი ქანდაკება. საღამოვდება.

სცენა პირველი

პირველი შემოდის ელექტრა და ორესტეს ანიშნებს, შემოვიდეს.

ორესტე – მოდიან!

ხელს მახვილზე იტაცებს.

ელექტრა – ჯარისკაცები შემოვლაზე არიან. აქ დავიმალოთ.

იმალებიან ტახტის უკან.

სცენა მეორე

იგივენი (დამალულები), ორი ჯარისკაცი.

I ჯარისკაცი – არ მესმის, რა დაემართათ დღეს ბუზებს. ცოფიანებივით იკბინებიან.

(ბუზების ბზუილი).

II ჯარისკაცი – მკვდრების სუნი სცემთ და უხარიათ. დამთქნარებას ველარ ვბედავ იმის შიშით, რომ გაღებულ პირში არ შემომიფრინდნენ და ხახაში ტარაბუასავით არ დატრიალდნენ.

ერთი წამით ელექტრა გამოჩნდება და ისევ იმალება. თითქოს რაღაცამ გაიჭრიალაო.

I ჯარისკაცი – ეტყობა, აგამემნონი ჯდება თავის ტახტზე.

II ჯარისკაცი – ვითომ? მისი ფართო საჯდომი აჭრიალებს ტახტის ფიცრებს? შეუძლებელია, კოლეგა, მკვდრებს ხომ წონა არა აქვთ.

I ჯარისკაცი – ნონა უბრალო ხალხს არა აქვს. მაგრამ აგამემნონი, სანამ სიკვდილის გზას დაადგებოდა კაი პირის გემოს მოყვარული მეფე იყო, რომელსაც სიცოცხლეში თავისი 125 კილოგრამისათვის ერთი გრამიც არ დაუკლია. შეუძლებელია, რამდენიმე კილოგრამი მაინც არ შერჩენოდა.

II ჯარისკაცი – მაშ... შენ ფიქრობ აქ არის?

I ჯარისკაცი – აბა სად უნდა იყოს? მაგ მკვდარი მეფის ადგილას, ყოველ წელს 24 საათის ნება რომ მოეცათ, ცხადია მოვბრუნდებოდი, მთელი დღე ჩემს ტახტზე ვიჯდებოდი და კარგ მოგონებებს მივეცემოდი, ისე, რომ არავის არაფერს დავუშავებდი.

II ჯარისკაცი – ცოცხალი ხარ და იმიტომ ამბობ მაგას. აბა მკვდარი იყო. შენც კაი აშარი იქნებოდი. (*I ჯარისკაცი სილას განნის*) – რას შვრები?

I ჯარისკაცი – შენს საქმეს ვაკეთებ! ხედავ ერთი დაკვრით შვიდი მოვკალი, მთელი გუნდი გავჟლიტე.

II ჯარისკაცი – მკვდრები?

I ჯარისკაცი – არა, ბუზები. ხელები სულ სისხლში მაქვს ამოთხვრილი. (ხელებს შარვალზე იწმენდს). მურტალი ბუზები.

II ჯარისკაცი – ნეტავი ღმერთებს ენებათ და მკვდრად დაბადებულიყვნენ. შეხედე მიცვალებულებს: ხმას არ იღებენ, ისე იქცევიან, რომ არც კი გვაწუხებენ. ნეტავ ეგ ოხერი ბუზებიც ასევე იყვნენ.

I ჯარისკაცი – ხმა გაიკმინდე, მკვდარი ბუზების შემოსევაღა გვაკლია აქ.

II ჯარისკაცი – რატომაც არა?

I ჯარისკაცი – აზრზე ხარ, ეგენი ყოველდღე მილიონობით იხოცებიან. რაც შარშანდელს აქეთ დაიხოცა, ყველა რომ ქალაქში შემოეშვათ, ერთ ცოცხალზე 365 მკვდარი ბუზი მოვიდოდა და ბზუილით გაგვაყრუებდნენ. უჰ, ჰაერი ბუზებით იქნებოდა დაშაქრული, ბუზებს ჩავყლაპავდით, ბუზებით ვისუნთქებდით, კოწიწა სითხესავით ჩაედინებოდნენ ჩვენს ბრონქებსა და ნაწლავებში... იქნებ ამიტომ არის ამ ოთახში ასეთი მყრალი სუნი.

II ჯარისკაცი – უჰ, ამხელა დარბაზს ნეტა რამდენი მკვდარი ეყოფა, აქაურობა რომ აამყრალოს, თანაც ამბობენ, ჩვენს მკვდრებს პირიდან ცუდი სუნი ამოსდითო.

I ჯარისკაცი – კარგი ერთი, ეს ხალხი სისხლს ტყუილად იმღვრევს.

II ჯარისკაცი – დაიჯერე, რაღაც ხდება: იატაკი ქრიალებს.

ისინი ტახტის უკან მიემართებიან მარჯვნიდან, ორესტე და ელექტრა მარცხნიდან გამოდიან, გაივლიან ტახტის საფეხურების წინ და მარჯვნიდან მიაშურებენ ისევ სამალავს იმ დროს, როდესაც ჯარისკაცები მარცხნიდან გამოდიან.

I ჯარისკაცი – ხომ ხედავ, არავინ არის. ეს აგამემნონია, ხომ გეუბნები, წყეული აგამემნონი! ის ეტყობა თავის ბალიშებზე ნებივრობს და გვიყურებს, სხვა რა საქმე აქვს.

II ჯარისკაცი – მოდი, სარგადაყლაპულებივით დავდგეთ, მეტი რა გზაა, გვიღიტინონ ბუზებმა ნესტოებში.

I ჯარისკაცი – რა კარგი იქნებოდა, მცველთა რაზმში რომ ვყოფილიყავი, ერთ ლაზათიან ქაღალდის თამაშს გავახურებდი. იქაური მკვდრები კაი ძმაკაცები არიან; ჩვენნაირი უბრალო ხალხია. მაგრამ როცა მახსენდება, რომ მკვდარი ხელმწიფე აქ არის და მითვლის, რამდენი ღილი აკლია ჩემს მუნდირს, სიმწრის ოფლი მასხამს; ისე მითვალთვალებს, თითქოს გენერალი იყოს.

შემოდის ეგისთე, კლიტემნესტრა, მსახურებს ლამფები მოაქვთ.

ეგისთე – დაგვტოვეთ მარტო.

სცენა მესამე

ეგისთე, კლიტემნესტრა, ორესტე და ელექტრა (დამალულები).

კლიტემნესტრა – რა დაგემართათ?

ეგისთე – ნახეთ? ხალხი რომ არ დამეშინებინა, ერთი ხელის მოსმით იშორებდა სინანულს.

კლიტემნესტრა – რატომ ღელავთ? როცა კი მოისურვებთ, ყოველთვის შესძლებთ მათ მოდრეკას.

ეგისთე – შევძლებ. ძალზე მოხერხებულად ვთამაშობ ამ კომედიას. (*პაუზა*). ვნანობ, მაგრამ ელექტრა მაინც უნდა დავსაჯო.

კლიტემნესტრა – ჩემი ასული რომაა, იმიტომ? რაკი მისი დასჯა მოისურვეთ, ალბათ ასეა საჭირო. ვფიქრობ, ყველაფერს მართებულად სჩადიხართ.

ეგისთე – დედაკაცო, ჩემი სინანულის წყარო შენ კი არა

ხარ.

კლიტემნესტრა – მაშ რატომ ნანობთ? თქვენ ხომ არ გიყვართ ელექტრა?

ეგისთე – დავიღალე. უკვე 15 წელიწადია საფრთხობელასავით ვიმოსები, ჩემს სულსაც მოედო ჩემი სამოსელის შავი ფერი.

კლიტემნესტრა – კი მაგრამ, ხელმწიფევ, მე თვითონ...

ეგისთე – ვიცი, დედაკაცო, შენ სინანულზე დამიწყებ ლაპარაკს. მშურს შენი, რადგან შენ სინანული ცხოვრებას გივსებს. მე სინანული არ გამაჩნია, მაგრამ არგოსში ჩემსავით ნაღვლიანი კაცი არ არის.

კლიტემნესტრა – ჩემო ძვირფასო ხელმწიფევ!

უახლოვდება.

ეგისთე – თავი დამანებე კახპავ, მის წინ მაინც არ გრცხვენია?

კლიტემნესტრა – ვის წინ, ვინა გვხედავს?

ეგისთე – ვინა და ხელმწიფე. დღეს დილით ხომ მკვდრები გამოუშვეს.

კლიტემნესტრა – გემუდარებით... მკვდრები მიწის ქვეშ არიან და კარგა ხანი არ შეგვაწუხებენ კიდევ. დაგავიწყდათ, რომ თვითონ შეუთხზეთ ეს არაკები ხალხს?

ეგისთე – მართალი ხარ, დედაკაცო. მაგრამ ხედავ, როგორ დავიღალე? დამტოვე ცოტა ხანს, აზრი მინდა მოვიკრიბო!

სცენა მეოთხე

ეგისთე, ორესტე და ელექტრა (დამალულები).

ეგისთე – რაო, იუპიტერ, ასეთი ხელმწიფე გჭირდებოდა არგოსისათვის? მივდი-მოვდივარ, ხმამაღლა ვღრიალებ, ჩემს დიდ, საშინელ გარეგნობას ვაჩვენებ ხალხს და ვინც კი შემომხედავს, თავიდან ფეხებამდე დამნაშავედ გრძნობს თავს. მე კი ცარიელი ნაჭუჭის გარდა არაფერი ვარ. თითქოს რომელიღაც ცხოველმა ისე ამომიჭამა გულ-მუცელი, რომ ვერც კი შევამჩნიე. ჩემს თვალებში ვიხედები და ვამჩნევ, რომ აგამემნონზე უფრო მკვდარი ვარ. მე ვთქვი, ნაღვლიანი ვარ-მეთქი. ვიცრუე, არც ნაღვლიანი ვარ და არც მხიარული, ჩემს გარშემო უსაზღვრო არარაა მხოლოდ, რომელსაც ნათელი ცის არარა დაჰყურებს და ეს სიცარი-

ელე შემზარავი და თავზარდამცემია.

შემოდის იუპიტერი.

სცენა მეხუთე

იგივენი, იუპიტერი

იუპიტერი – ინუწუნე. შენც სხვა ხელმწიფეებს ჰგვანებიხარ.

ეგისთე – ვინა ხარ, აქ რას აკეთებ?

იუპიტერი – ვერა მცნობ?

ეგისთე – გადი, თორემ ჩემს მცველებს ვუბრძანებ გაგაგდონ.

იუპიტერი – მართლა ვერა მცნობ? ხომ გინახივარ, თუმცა ეს სიზმრად იყო და მაშინ საშინელი შესახედი ვიყავი. (ელვა, ქუხილი, იუპიტერი შემზარავი ხდება). ახლაც ვერა მცნობ?

ეგისთე – იუპიტერ!

იუპიტერი – როგორც იქნა მიცანი. (*ილიმის და ქანდაკებას უახლოვდება*). ეს მე ვარ? ასეთი ვარ არგოსელთა თვალში, როცა ლოცულობენ? ღმერთმანი იშვიათად მომხდარა, რომ ღმერთი თავის გამოსახულებას პირისპირ უყურებდეს. (*პაუზა*). რა მახინჯი ვარ, ალბათ გულზე არ ვეხატები არგოსელებს.

ეგისთე – ეშინიათ თქვენი.

იუპიტერი – კარგი და კეთილი. ნეტა რაში მჭირდება მათი სიყვარული. შენ გიყვარვარ?

ეგისთე – რა გინდათ ჩემგან, განა საკმარისი არ გავიღე?

იუპიტერი – საკმარისი არ არსებობს.

ეგისთე – ამ სიმძიმილმა ლამის წელში გამწყვიტოს.

იუპიტერი – ნუ აჭარბებ. შენ ჯანმრთელი ხარ და მსუქანიც. არ გეგონოს, რომ გსაყვედურობ. კაი მეფური ქონი, სანთლის ნაღვენთივით ყვითელი, აუცილებელია. ისეთი ჩამოსხმისა ხარ, კიდევ 20 წელს იცოცხლებ.

ეგისთე – კიდევ ოც წელს?

იუპიტერი – რა, სიკვდილი გინდა?

ეგისთე – დიახ!

იუპიტერი – ვინმე ხმალამოწვდილი რომ შემოვიდეს, მკერდს დაუხვედრებდი?

ეგისთე – არ ვიცი.

იუპიტერი – კარგი, მისმინე; თუ ნებას დართავ ყელი ხბოსავით გამოგღადრონ, მკაცრად დაისჯები. ჯოჯოხეთში სამუდამო

ხელმწიფედ იქცევი. აი, რის სათქმელად მოვედი შენთან.

ეგისთე – ვიღაცას ჩემი მოკვლა უნდა?

იუპიტერი – ასე ამბობენ.

ეგისთე – ელექტრას?

იუპიტერი – სხვასაც.

ეგისთე – ვის?

იუპიტერი – ორესტეს.

ეგისთე – აჰ! (*პაუზა*). სრულიად ბუნებრივია; აბა, მე რა შემიძლია.

იუპიტერი – „რა შემიძლია". (*ტონს იცვლის*). ბრძანე, ახლავე დააკავონ ახალგაზრდა უცხოელი, რომელიც ფილებად ასაღებს თავს. ელექტრასთან ერთად ჩააგდე სადმე ჯურღმულში; მე ნებას მოგცემ ისინი მთლად დაივიწყო. აბა, რას უცდი, უხმე მცველებს.

ეგისთე – არა.

იუპიტერი – დამდე პატივი და მითხარი შენი უარის მიზეზი.

ეგისთე – დავიღალე.

იუპიტერი – მინას რას დასჩერებიხარ. მე მომაპყარი შენი დიდი, ჩასისხლიანებული თვალები. ასე, ასე! შენ ცხენივით ჯიშიანი და სულელი ხარ. რომ არ მეპუები, ამაზე არ ვბრაზობ. ეს პილპილმოყრილი და ამიტომ უფრო სასიამოვნო მორჩილება იქნება. ხომ ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს დამითმობ.

ეგისთე – გეუბნებით, აღარ მინდა თქვენი თანამზრახველი ვიყო, მეყო, რაც გავაკეთე, მეყო!

იუპიტერი – აბა ყოჩაღად, იბრძოლე, ფარ-ხმალი არ დაყარო. ოჰ, როგორ მიყვარს შენნაირი სულებით პირის ჩატკბარუნება. შენი თვალები ელვისდარია, ხელებს მუშტავ და იუპიტერს პირში ახლი უარს. თუმცა კი, პატარა თავო, პატარა ცხენო, ცუდო პატარა ცხენო, უკვე დიდი ხანია შენი გული თანახმაა. დარწმუნებული ვარ, დამიჯერებ. როგორ ფიქრობ, ოლიმპოს უმიზეზოდ დავტოვებდი? მსურდა გამეფრთხილებინე, რომ დანაშაული მზადდება; ამ დანაშაულს ხელი უნდა შეუშალო.

ეგისთე – ხელი შევუშალო... უცნაურია.

იუპიტერი – პირიქით, რა არის ამაზე ბუნებრივი. საფრთხე მინდა აგარიდო.

ეგისთე – ვინ გთხოვათ? მაშინ აგამემნონი რატომ არ გააფრთხილეთ? მას ხომ სიცოცხლე სწყუროდა.

იუპიტერი – უმადური ბუნებისა და საშინელი ხასიათის კაცო. ჩემთვის შენ უფრო ძვირფასი ხარ, ვიდრე აგამემნონი; ამას საქმით გიმტკიცებ, შენ კი წუწუნებ.

ეგისთე – აგამემნონზე მეტად გიყვარვართ? ყველაზე მეტად ორესტე გიყვართ. თქვენ ხელი შეუწყვეთ ჩემს თავდავიწყებას, საშუალება მომეცით, პირდაპირ მეფის აბაზანისკენ გავქცეულიყავი ნაჯახით ხელში. თქვენ კი ტუჩებს ილოკავდით და ფიქრობდით, რა ტკბილიაო ცოდვილის სული. დღეს კი ორესტე გინდათ დაიცვათ ორესტესაგან. მე კი, მე, მიბიძგეთ და მამამისი მომაკვლევინეთ, ახლა კი ჩემი მეშვეობით მისი ვაჟის მარჯვენა გინდათ შეაჩეროთ. მე თითქოს იმისათვის გავჩნდი, რომ მკვლელი გავმხდარიყავი, ორესტესათვის კი, ნურას უკაცრავად, ეტყობა სხვა განგიზრახავთ.

იუპიტერი – რა უცნაური ეჭვიანობაა. დამშვიდდი. ის შენზე მეტად არ მიყვარს. მე საერთოდ არავინ მიყვარს.

ეგისთე – მაშ ნახეთ რა დამაწიეთ, უსამართლო ღმერთო, და მიპასუხეთ: თქვენ ხელს უშლით დანაშაულს, რომელიც ჩაფიქრებული აქვს ორესტეს, მე რატომღა მომეცით ნება დანაშაული ჩამედინა.

იუპიტერი – ყველა დანაშაულს ერთი თვალით როდი ვუყურებ. ეგისთე, ორივენი მეფეები ვართ და, ჩვენს შორის დარჩეს, ერთ რაიმეს გეტყვი: პირველი დანაშაული თვითონ ჩავიდინე, ადამიანები მოკვდავებად რომ შევქმენი. ამის შემდეგ რაღა დაგრჩენოდათ მკვლელებს? თქვენი მსხვერპლნი მოგეკლათ? დიდი ამბავი! ისინი უთქვენოდაც სიკვდილის შვილები არიან. თქვენ მხოლოდ დღეს უმოკლებთ და ეგაა. შენ რომ არ მოგეკლა აგამემნონი, იცი რა ბედი ელოდა? სამი თვეც და იგი აპოპლექსიისაგან კვდებოდა მშვენიერი მონა ქალის მკერდზე; შენი დანაშაული კი მაშინ ჩემთვის ხელსაყრელი იყო.

ეგისთე – ხელსაყრელი? 15 წელია, რაც ამ ცოდვას ვინანიებ და ეს თქვენთვის ხელსაყრელი იყო? ჰოი, უბედურებავ!

იუპიტერი – ვითომ რაო! სწორედაც იმიტომ, რომ შენ ინანიებ. მიყვარს ისეთი დანაშაული, რომელიც საზღაურს მოითხოვს. შენი დანაშაული შემიყვარდა, რადგან იგი ბრმა და ყრუ მკვლელობა იყო, გაუთვითცნობიერებელი და ძველისძველი, რომელიც კატაკლიზმს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანურ ქმედებას. შენ მე არ გამომიწვევიხარ. შენ სიშმაგითა და შიშით შეპყრობილმა დაარტყი. შემდეგ კი, როცა სიშმაგე დაცხრა, შენივე მოქმედებამ შეგზარა და მისი აღიარება არ ისურვე. იცი, რა სარგებელი ვნახე? ერთი მოკლულისათვის 20000 მიეცა სინანულს. აი, ჩემი ბალანსი. მშვენივრად მოვაგვარე საქმე.

ეგისთე – ვხედავ, რაც იმალება ამ სიტყვების უკან: ორეს-

ტეს, ეტყობა, სინანული არ ექნება.

იუპიტერი – არავითარი. ამ წუთას ცივი გონების კარნახით, დინჯად და აუჩქარებლად აწყობს თავის გეგმებს. რაში მჭირდება უსინანულო მკვლელობა, თავხედური, მშვიდი, მკვლელობა ბურუსივით მსუბუქი მკვლელისა... ხელი უნდა შევუშალო; მძაგს ახალი თაობის დანაშაული – სარეველა ბალახივით უნაყოფო და უმაქნისი. ის ნაზი ჭაბუკი წინწილასავით დაგკლავს და ხელებგასისხლიანებული, სუფთა სინდისით თავის გზას გაუყვება. შენს ადგილას შეურაცხყოფილი ვიქნებოდი. აბა, უხმე მცველებს.

ეგისთე – უკვე გითხარი, არ დავუძახებ-მეთქი. დანაშაული, რომელიც მზადდება, იმდენად არ მოგწონთ, რომ იგი მე უკვე მომწონს.

იუპიტერი – (*ტონს იცვლის*). ეგისთე, შენ მეფე ხარ და შენს მეფურ სინდისს მივმართავ. მეფობა ხომ გიყვარს?

ეგისთე – მერე რა?

იუპიტერი – ვიცი, რომ გძულვარ. მაგრამ ჩვენ ნათესავები ვართ. მე შეგქმენ ხატად და მსგავსებად ჩემდა. ხელმწიფე – ეს ღმერთია მიწაზე, ღმერთივით კეთილშობილი და ავბედითი.

ეგისთე – თქვენ და ავბედითი?

იუპიტერი – შემომხედე. (*ერთ ხანს სიჩუმე*). უკვე გითხარი, შეგქმენ-მეთქი ხატად და მსგავსებად ჩემდა; ორივენი წესრიგს ვამყარებთ, შენ არგოსში, მე მსოფლიოში. ორივეს ერთი და იმავე საიდუმლოების გამო გვქეჯნის სინდისი.

ეგისთე – საიდუმლოება მე არ გამაჩნია.

იუპიტერი – გაქვს, ერთი და იგივე საიდუმლოება გვაქვს-მეთქი. ღმერთებისა და მეფეების მტკივნეული საიდუმლოება: ის, რომ ადამიანები თავისუფლები არიან. ისინი თავისუფლები არიან, ეგისთე, შენ ეს იცი, იმათ კი არ იციან.

ეგისთე – წყეულიმც იყვნენ; ეს რომ იცოდნენ, ჩემს სასახლეს გადაბუგავდნენ. უკვე 15 წელია კომედიას ვთამაშობ, რომ საკუთარი ძალა ვერ დაინახონ.

იუპიტერი – ხომ ვამბობდი, ერთმანეთს ვგავართ-მეთქი.

ეგისთე – ვგავართ? ამაზე მეტი ირონია გინახავთ, ღმერთი აცხადებდეს, ადამიანის მსგავსი ვარო. მას შემდეგ, რაც ტახტს დავეუფლე, ყოველი ჩემი მოქმედება და სიტყვა იქითკენ იყო გამიზნული, რომ საკუთარი სახე შემექმნა: მინდოდა ის სახე დაუფლებოდა ჩემს ქვეშევრდომებს, რომ ყოველ მათგანს განმარტოების და იდუმალი ფიქრის ჟამსაც კი, ჩემი სასტიკი მზერა ეგრძნო. ჰოდა, მე თვითონ გავხდი ჩემი პირველი მსხვერპლი. ჩემს

თავს მხოლოდ მათი თვალით ვხედავ. ჩავცქერი მათი სულების ფსკერს და ჩემი სახის ანარეკლს ვხედავ. ის მაჯადოებს და თანაც ხელს მკრავს. ყოვლისშემძლეო ღმერთო, სხვა რა ვარ მე, თუ არა ის შიში, რომელიც სხვებს აქვთ ჩემს მიმართ.

იუპიტერი – მე ვინღა ვარ, როგორ გგონია? (*ქანდაკებაზე მიუთითებს*). მეც ჩემი სახე მაქვს. როგორ გგონია, თავბრუს არ მახვევს იგი? ასი ათასი წელი ადამიანების წინ ვცეკვავ, ნელ, ავბედით ცეკვას ვასრულებ, რათა მიყურონ, თვალი არ ჩაიბრუნონ და თავს არ დააკვირდნენ. ერთი წამითაც რომ მოვეშვა, მივცე საშუალება მზერა მომაცილონ...

ეგისთე – რა მოხდება მაშინ?

იუპიტერი – მაგას მოვეშვათ. ეგ მხოლოდ მე მეხება. მართალია, დაიღალე, ეგისთე, მაგრამ ნეტა რა გაწუწუნებს. შენ მოკვდები, მე კი არა. სანამ ადამიანები ამ მიწაზე ივლიან, მე მისჯილი მაქვს მათ წინაშე ვიცეკვო.

ეგისთე – კი მაგრამ, ვინ მოგვისაჯა?

იუპიტერი – ჩვენ თვითონვე, რადგან ერთი ვნება გვამოძრავებს; შენც წესრიგი გიყვარს, ეგისთე.

ეგისთე – წესრიგი. მართალია. წესრიგი იყოს-მეთქი და კლიტემნესტრა მოვხიბლე. წესრიგის დამყარება მინდოდა და საკუთარი ხელით ჩემი ხელმწიფე მოვკალი. უსიყვარულოდ, უიმედოდ და სურვილებისაგან დაცლილმა გავატარე მთელი ჩემი ცხოვრება. წესრიგი კი დავამყარე. ოჰ, შესაზარო და ღვთაებრივო ვნებავ!

იუპიტერი – ჩვენ სხვა ნება ვერ გვექნებოდა. მე ღმერთი ვარ, შენ კი იმისათვის გაჩნდი, რომ ხელმწიფე ყოფილიყავი.

ეგისთე – ვაჰმე!

იუპიტერი – ეგისთე, ჩემო ქმნილებავ, ჩემო მოკვდავო ძმაო, იმ წესრიგის სახელით, ორივენი რომ ვემსახურებით, გიბრძანებ: შეიპყარ ორესტე და მისი და.

ეგისთე – ასე საშიშნი არიან?

იუპიტერი – ორესტემ იცის, რომ იგი თავისუფალია.

ეგისთე – (ცოცხლად). მან იცის, რომ თავისუფალია? მაშ, ბორკილები რაღას უშველის? თავისუფალი ადამიანი ქალაქში ხომ იგივეა, რაც ცხვრის ფარაში ქეციანი ცხვარი. იგი მთელს ჩემს სამეფოს შეჰყრის ავ სნეულებას და ჩემს ნაღვაწს დაღუპავს. ყოვლისშემძლეო ღმერთო, რას უცდი, განგმირე იგი!

იუპიტერი – (*ნელა*) განვგმირო? მე? (*პაუზა. მოღლილი და მოხრილი*). ეგისთე, ღმერთებს კიდევ ერთი საიდუმლოება აქვთ.

ეგისთე – რისი თქმა გინდა?

იუპიტერი – როცა ადამიანის სულში თავისუფლება ამოხეთქს, ღმერთებს აღარ ძალუძთ მისი შეჩერება. ეს უკვე ადამიანების საქმეა და მხოლოდ სხვა ადამიანებმა უნდა განსაჯონ – ცოცხლად დატოვონ თუ მოაშთონ იგი.

ეგისთე – (*უყურებს*). მოაშთონ? კარგი. მაშ დაგიჯერებ. მაგრამ აღარაფერი დაუმატო ნათქვამს და ნუღარ დარჩები, ველარ აგიტანს.

იუპიტერი გადის.

სცენა მეექვსე

მცირე ხანს ეგისთე მარტოა, შემდეგ შემოდიან ელექტრა და ორესტე.

ელექტრა – (*კარებისკენ ისკუპებს*). დაარტყი, ყვირილი არ დაიცალო. კარებს გადავრაზავ.

ეგისთე – მაშ ეს შენა ხარ, ორესტე!

ორესტე – თავი დაიცავი.

ეგისთე – თავს არ დავიცავ. უკვე გვიანაა, რომ ვინმეს მოვუხმო და ბედნიერი ვარ, რომ დროც აღარ მრჩება. თავს არ დავიცავ, მინდა რომ მომკლა.

ორესტე – ნება შენია. ჩემთვის სულერთია, როგორ მოგკლავ. მე მაინც მკვლელი ვიქნები.

მახვილს ჩასცემს.

ეგისთე – (*ბარბაცებს*). არ ააცდინე. (*ორესტეს ეკიდება*). მინდა გიყურო. მართალია, რომ სინანული არა გაქვს?

ორესტე – სინანული? ნეტა რატომ უნდა მქონდეს. მე სამართალის ძალით ვმოქმედებ.

ეგისთე – სამართალი ის არის, რაც იუპიტერს სურს. შენ აქ იყავი დამალული და ყველაფერი მოისმინე.

ორესტე – იუპიტერი რაში მჭირდება. სამართალი კაცთა საქმეა და მის სასწავლებლად ღმერთი არ მჭირდება. სამართლიანია შენი დათრგუნვა, ბილწო არამზადავ, სამართლიანია შეგმუსრო, დავანგრიო შენი ბრძანებლობა არგოსელებზე და დავუბრუნო დაკარგული ღირსების გრძნობა.

ეგისთეს თავიდან იცილებს.

ეგისთე – მტკივა.

ელექტრა – სახე გაუფითრდა, ბარბაცებს; ჰოი, უბედურებავ, რა მახინჯი ყოფილა მომაკვდავი კაცი.

ორესტე – გაჩუმდი. დაე, საფლავში მხოლოდ ჩვენი სიხარულის გრძნობა ჩაჰყვეს.

ეგისთე – წყეულიმც იყავით ორივენი!

ორესტე – აღარა კვდები?

არტყამს. ეგისთე ეცემა.

ეგისთე – ბუზებს ერიდე, ორესტე, ბუზებს. ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა.

კვდება.

ორესტე – (*ფეხს ჰკრავს*). შენთვის ყოველ შემთხვევაში ყველაფერი დამთავრდა. გამიძეხ დედოფლის ოთახისაკენ.

ელექტრა – ორესტე...

ორესტე – რა...

ელექტრა – ის ვეღარაფერს დაგვაკლებს.

ორესტე – მერე რა... ვეღარა გცნობ. ეს წუთია სულ სხვანაირად ლაპარაკობდი.

ელექტრა – ორესტე, მეც ვეღარა გცნობ.

ორესტე – კარგი, მარტო წავალ.

სცენა მეშვიდე

ელექტრა მარტო.

ელექტრა – რას იზამს ნეტა, იყვირებს? (*პაუზა, ყურს მიუგდებს*). ორესტე დერეფანშია; როცა მეორე კარებს გააღებს... ოჰ, მე ეს მინდოდა! მე ეს მინდა, უნდა მინდოდეს. (*ეგისთეს უყურებს*). მოკვდა. მაშ ეს მინდოდა? ანგარიშმიუცემლად მინდოდა. (*უახლოვდება*). ასჯერ მინახავს სიზმარში გაშხლართული, სწორედ ამ ადგილას, მახვილით განგმირული. თვალდახუჭული მძინარეს ჰგავდა. როგორ მძულდა; რა ბედნიერი ვიყავი, რომ ასე მძულდა. ახლა მძინარეს არა ჰგავს, თვალებღია მიყურებს. იგი აღარ არის და მასთან ერთად ჩემი სიძულვილიც მოკვდა. და მე აქა ვარ. ვიცდი, ის კი ჯერ კიდევ ცოცხალია თავის ოთახში და ჩქარა, ძალიან ჩქარა დაიყვირებს, მხეცივით დაიღრიალებს. ოჰ, აღარ შემიძლია ამ მზერის ატანა. (*იჩოქებს და ეგისთეს სახეზე მოსას-*

ხამს აფარებს). მაშ რაღა მინდოდა? (*სიჩუმე. ისმის კლიტემნესტრას ყვირილი*). დაარტყა. იგი დედა იყო ჩვენი და მან დაარტყა. (*ფეხზე დგება*). აჰა, ჩემი მტრები დაიხოცნენ. ვინ იცის, რამდენი წელი ველოდი ამ სიკვდილს და ჩემი მოლოდინი სიხარულს მგვრიდა, ახლა კი ჩემი გული გათანგულია. ნუთუ 15 წელი თავს ვიტყუებდი? ეს არ არის მართალი, არ არის მართალი. ეს არ შეიძლება მართალი იყოს. მხდალი არა ვარ. ეს წამი მინდოდა და მინდა კიდეც. ეს ბილწი ღორი ჩემს ფეხთით მინდოდა მენახა გართხმული. (*მოსასხამს აგლეჯს*). რაში მენაღვლება შენი უსიცოცხლო თვალები? მიყურე, რამდენიც გინდა. მე მსურდა ეს ჩამქრალი მზერა და იგი სიხარულით მავსებს. (*ისმის კლიტემნესტრას სუსტი ხმა*). იყვიროს, დაე, იყვიროს. მინდა გავიგონო მისი შეძრწუნებული ყვირილი, მინდა მისი ტანჯვა დავინახო. (*ყვირილი წყდება*). ოჰ, სიხარულო, სიხარულო, სიხარულის ცრემლი მდის; როგორც იქნა მამაჩემს მტრები დავუხოცე და შური ვიძიე.

შემოდი ორესტე, სისხლიანი მახვილით ხელში. ელექტრა მისკენ გარბის.

სცენა მერვე

ელექტრა, ორესტე

ელექტრა – ორესტე!

ეხვევა.

ორესტე – რისი გეშინია.

ელექტრა – არ მეშნია, მთვრალი ვარ. სიხარულით მთვრალი. რა თქვა? დიდხანს გთხოვდა შეწყალებას?

ორესტე – ელექტრა, არასოდეს მოვინანიებ, რაც ჩავიდინე, მაგრამ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ზოგი მოგონება საზიარო ვერ იქნება. იცოდე მხოლოდ, რომ ის მოკვდა.

ელექტრა – დაგვწყევლა? მხოლოდ ეს მითხარი, დაგვწყევლა?

ორესტე – დიახ, ჩვენს წყევლაში დალია სული.

ელექტრა – მოდი, მომეხვიე, ჩემო სასურველო, მაგრად მომხვიე ხელები. რა უკუნი ღამეა. ჩირაღდნები სინათლეს ძლივს ატანს ბნელში. გიყვარვარ?

ორესტე – ღამე მიიწურა. უკვე თენდება. ელექტრა, ჩვენ თა-

ვისფულები ვართ. მეჩვენება, თითქოს შენ გაგაჩინე და შენთან ერთად მეც დავიბადე. მიყვარხარ და მე მეკუთვნი. ჯერ კიდევ გუშინ მარტო ვიყავი. დღეს კი ჩემი ხარ. სისხლი ორმაგად გვაკავშირებს: ერთი სისხლი ჩქეფს ჩვენს ძარღვებში და ეს სისხლი ჩვენ ერთად დავანთხიეთ.

ელექტრა – გადააგდე ეგ მახვილი და ხელი მომეცი. (*ხელზე ჰკოცნის*). შენ მოკლე და კოტიტა თითები გაქვს. ძვირფასო ხელო! ის ჩემს ხელზე უფრო თეთრია. მამაჩემის მკვლელების დასჯის შემდეგ როგორ დამძიმდნენ. მოიცა (*ჩირაღდნის მოსატანად მიდის და ორესტეს სახეს უნათებს*), შენი სახე უნდა გავანათო, რადგან სიბნელე ჩამოწვა და კარგად ვეღარ გხედავ. შენი დანახვა მჭირდება; როცა ვერ გხედავ, მეშინია შენი; თვალები არ უნდა მოგაცილო. მიყვარხარ. უნდა მიყვარდე; რა უცნაურად იმზირები.

ორესტე – ელექტრა, მე თავისუფალი ვარ; თავისუფლება მეხივით დამატყდა თავს.

ელექტრა – თავისუფალი ხარ? მე კი არა ვგრძნობ თავისუფლებას. შეგიძლია განა ისე მოიქცე, თითქოს არაფერი მომხდარაო? რაღაც მოხდა და ჩვენ თავისუფლები აღარა ვართ, რაკი თავიდან ვეღარ მოვიცილებთ ამას. განა ჩვენი ნებაა, საკუთარი დედის მკვლელობა დაგვავიწყდეს?

ორესტე – შენ ფიქრობ, საამისო ძალა არ მეყოფა? მე ჩემი საქმე შევასრულე, ელექტრა, და ეს საქმე მართებული იყო. მას ჩემი მხრებით ვატარებ, როგორც მებორნე, რომელსაც მგზავრები გაღმა გადაჰყავს. მეც მეორე ნაპირზე გადავალ და პასუხს ვაგებ. რაც უფრო მძიმე სატარებელი იქნება, მით უფრო გავიხარებ, რადგან ჩემი თავისუფლება ეგ არის და სხვა არაფერი. ჯერ კიდევ გუშინ ალალბედად დავდიოდი მინაზე, ათასობით გზა ფეხქვეშ გამისხლტა, რადგან ეს გზები ჩემი გზები არ იყო. ყველა გზას მივმართე: გემების მტვირთავთა გზას, მდინარის გასწვრივ რომ მიემართება, მენახირის ბილიკს, და იმ გზასაც გავყევ, ეტლებით რომ დაქრიან ხოლმე ზედ, მაგრამ არცერთი ჩემი არ აღმოჩნდა. სადღეისოდ მხოლოდ ერთი გზა დამრჩა და ღმერთმა უწყის, საით მიდის იგი. მაგრამ ეს ჩემი საკუთარი გზაა. რა დაგემართა?

ელექტრა – ვეღარ გხედავ! ეს ჩირაღდნები აღარ ანათებენ. შენი ხმა მესმის, მაგრამ ცუდად მხდის და დანასავით მესობა. ნუთუ ამიერიდან სულ ასეთი სიბნელე იქნება, დღისითაც? ორესტე, აი ისინი!

ორესტე – ვინ?

ელექტრა – ისინი! საიდან გაჩნდნენ? შავი ყურძნის მტევნებივით ჩამოკიდებულან ჭერში და კედლებსაც მოსდებიან. ისინი სინათლეს მიბნელებენ, მათი ჩრდილები კი შენს სახელს მიფარავენ.

ორესტე – ბუზები...

ელექტრა – უსმინე, უსმინე მათ ზუზუნს, სამჭედლოს გრდემლის გუგუნს რომ მიაგავს. ისინი გარს გვეხვევიან, გვითვალთვალებენ. რამდენიმე წუთიც და თავს დაგვატყდებიან და ჩვენს სხეულებზე ათას კოტიტა თათს ვიგრძნობთ. სად გავიქცეთ, ორესტე? ისინი იბერებიან, სივდებიან, ჩქარა ფუტკრებს დაემსგავსებიან და ხშირ-ხშირ გუნდებად ყველგან გამოგვყვებიან. ოჰ, საშინელებავ! მე ვხედავ მათ თვალებს, ჩვენკენ მოპყრობილ მილიონ თვალს.

ორესტე – ბუზები რაღაში გვესაქმება.

ელექტრა – ისინი ხომ ერინიები არიან, ორესტე, სინანულის ქალღმერთნი.

ხმები – (*კარების უკან*). გააღეთ, კარები გააღეთ, გააღეთ, თორემ შემოვამტვრევთ.

კარებზე ყრუ დარტყმები ისმის.

ორესტე – კლიტემნესტრას ყვირილმა მცველები მოიზიდა. წამოდი, გამიძეღ აპოლონის ტაძრისკენ. ღამე იქ გავატაროთ. იქ დავემალოთ ადამიანებსა და ბუზებს. ხვალ კი მე ჩემს ხალხს უნდა ველაპარაკო.

ფარდა

მესამე მოქმედება

სცენა პირველი

ბინდში გახვეული აპოლონის ტაძარი. სცენის შუაგულში აპოლონის ქანდაკება დგას. ელექტრას და ორესტეს ხელები მოუხვევიათ კვარცხლბეკისათვის და სძინავთ. ერინიებს ალყა შემოურტყამთ მათთვის და ყანჩებივით ზეზეურად სძინავთ.

I ერინია – (*იზმორება*). ااا! სარივით გაჭიმულს ფეხზე მძინებია და მთელი ღამე საშინელ სიზმრებს ვხედავდი. ო, მრისხანების ლამაზო ყვავილო, ჩემი გულის წითელო ყვავილო (*ელექტრას და ორესტეს დასტრიალებს*). სძინავთ. რა თეთრები არიან, რა ნაზები! ისე დავასკდები მათ მუცელსა და გულმკერდს, როგორც ნიაღვარი რიყის ქვებს. გულდაგულ გავუპრიალებ ნაზ კანს, დავფხაჭნი, ძვლებამდე დავჯიჯგნი (*რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს*). ოჰ, სიძულვილის წმინდა დილაო! რა ბრწყინვალე გამოღვიძებაა! მათ სძინავთ, ოფლში იწურებიან, ოხშივარი ასდით ტანიდან; მე კი ვფხიზლობ, მაგარი და ქორფა, სპილენძის სული მაქვს და თავი წმინდანი მგონია.

ელექტრა – ვაგლახ!

I ერინია – კვნესის, სულ ცოტაც და შენ იგემებ ჩვენს კბენას. ჩვენი ალერსი აგაღრიალებს. მე მამრივით ვიუფლებ შენზე, რადგან ჩემი მეუღლე იქნები და იგრძნობ ჩემი სიყვარულის მძიმე ტვირთს. მშვენიერი ხარ ელექტრა, ჩემზე უფრო მშვენიერი, მაგრამ ნახავ, როგორ დაგაბერებს ჩემი ამბორი. ექვს თვეში დედაბერივით მოიხრები, მე კი ისევ ახალგაზრდა დავრჩები (*მათკენ იხრება*). რა მშვენიერი ნადავლია და რა გემრიელი იქნება. მათ ვუმზერ, მათ სუნთქვას ვგრძნობ და სიბრაზე მახრჩობს. რა ბედნიერებაა, მძულვარების აისად გრძნობდე თავს. რა ბედნიერებაა, რომ მთლად კბილები და ბრჭყალები ვარ, ძარღვებში კი სისხლის ნაცვლად ცეცხლი მინთია. სიძულვილი მავსებს და მახრ-

ჩობს, თითქოს ძუძუები რძით მევსებაო. გაიღვიძეთ, ჩემო დებო, გაიღვიძეთ, გათენდა.

II ერინია – სიზმარი ვნახე, თითქოს ვიკბინებოდი.

I ერინია – მოთმინება იქონიე. დღეს მათ ღმერთი მფარველობს, მაგრამ ჩქარა შიმშილი და წყურვილი აიძულებს დატოვონ ეს თავშესაფარი. აი, მაშინ ნახეთ, როგორ დავძიძგნი.

III ერინია – ოჰ, მე კი დავფხაჭნი.

I ერინია – მოიცა ცოტა; მალე შენი რკინის ბრჭყალები ათას კვალს გაატარებს დამნაშავეთა ხორცზე. მოახლოვდით, ჩემო დებო, მოდით, შეხედეთ!

ერთ-ერთი ერინია – რა ახალგაზრდები არიან!

სხვა ერინია – რა მშვენიერები არიან!

I ერინია – გაიხარეთ, როგორც წესი, დამნაშავეები მოხუცები და უშნოები არიან ხოლმე. რა იშვიათად გვრგებია სილამაზის ნგრევის ასეთი დახვეწილი სიამოვნება.

ერინიები – ეიაა! ეიაა!

III ერინია – ორესტე თითქმის ბავშვია. ჩემი სიძულვილი დედასავით ნაზი იქნება. მუხლებზე დავიდებ ორესტეს ფერმკრთალ სახეს და მის თმებს მივუალერსებ.

I ერინია – შემდეგ რას იზამ:?

III ერინია – მერე კი... უცებ ამ ორ თითს თვალებში ჩავუსობ.

ყველანი იცინიან.

I ერინია – ღრმად ამოიოხრეს, შეიშმუშნენ; საცაა გაიღვიძებენ. აბა, ჩემო დებო, ჩემო ძვირფასო ბუზებო, სიმღერა წამოვიწყოთ და დამნაშავენი გამოიღვიძებენ.

ერინიების ხორო – ბზზ, ბზზ...

შენს დამპალ გულს ისე შევესევით, როგორ ბუზები ნამცხვარს ესევიან ხოლმე.

დამპალო გულო, სისხლიანო გულო, გემრიელო გულო, ფუტკრებივით ამოვწოვთ ჩირქსა და წალას შენი გულისას და თაფლს გავაკეთებთ, აი ნახავ რა გემრიელ, მწვანე თაფლს,

ნეტა რა სიყვარული აგვავსებს ისე, როგორც სიძულვილი გვავსებს.

ბზზ, ბზზ...

ჩვენ სახლების მეთვალყურეებად გადავიქცევით,

მეცხვარის ძაღლის ღმუილად, ბასრ კბილებს რომ გააშიშვლებს შენი გამოჩენისას,

ბზუილად, რომელიც თავზე გადაგივლის,

ტყის ხმაურად, სტვენად, ღმუილად, ტკაცანად, ტლაშუნად,
გადავიქცევით წყვდიადად, წყვდიადად შენი სულისად,
ბზზ, ბზზ, ეიაა, ეიაა!
ჩვენ ჩირქისმწოველი ბუზები ვართ,
შენთან ყველაფერი საზიარო გვექნება,
საკვებს შენს პირში მოვძებნით და სინათლის სხივებს
შენი თვალების სიღრმეში,
საფლავში ესკორტით გაგყვებით და მხოლოდ ჭიებს დავუთ-
მობთ ადგილს.
ბზზ, ბზზ.

ერინიები ცეკვავენ.

ელექტრა – (*იღვიძებს*). ვინ ლაპარაკობს? თქვენ ვინა ხართ?
ერინიები – ბზზ, ბზზ.
ელექტრა – აა, აი თქვენც, მაშ მართლა მოგვიკლავს!
ორესტე – (*იღვიძებს*). ელექტრა!
ელექტრა – შენ ვინა ხარ? აა, ორესტე, შენა ხარ? მომშორდი.
ორესტე – რა დაგემართა?
ელექტრა – მაშინებ. დამესიზმრა, რომ დედა გულაღმა დაე-
ცა, სისხლი სჩქეფდა და ღვარად მოედინებოდა სასახლის ყველა
კარებიდან. ნახე, რა ცივი ხელები მაქვს. დამანებე თავი. ხელი
არ მახლო. დიდხანს სდიოდა სისხლი?
ორესტე – გაჩუმდი.
ელექტრა – (*სულ გამოფხიზლდა*). – მაცალე, შემოგხედო. შენ
ისინი დახოცე. შენ მოულე მათ ბოლო. ახლა აქა ხარ, ეს-ესაა
გაიღვიძე. შენი სახე არაფერს გამოხატავს, თუმცა კი ისინი და-
ხოცე.
ორესტე – მერე რა? დიახაც, მე მოვკალი. (*პაუზა*). მართალი
რომ გითხრა, მაშინებ. გუშინ ისეთი მშვენიერი იყავი. დღეს კი თით-
ქოს რაღაც ნადირმა დაგისახიჩრაო სახე თავისი კლანჭებით.
ელექტრა – ნადირმა? არა, შენმა დანაშაულმა დამაგლიჯა
ლოყები და ქუთუთოები. მეჩვენება, რომ ჩემი თვალები და კბი-
ლები გაშიშვლდნენ. ესენი ვიღა არიან?
ორესტე – მაგათზე ნუ ფიქრობ. ეგენი ვერაფერს გავნებენ.
I ერინია – აბა ერთი გაბედოს და შუაში ჩაგვიდგეს: ნახავთ
რას გიზამთ.
ორესტე – ჩუმად ძაღლებო, უკან დაიწიეთ... (*ერინიები იღ-
რინებიან*). ნუთუ ეს შენ იყავ, ტაძრის კიბეებზე რომ ცეკვავდი
გუშინ?
ელექტრა – ერთ ღამეში დავბერდი.

ორესტე – შენ ჯერ მშვენიერი ხარ, ელექტრა, მაგრამ ნეტა სად მინახავს ეს უსიცოცხლო თვალები? ელექტრა... შენ მას ჰგავხარ. კლიტემნესტრას ჰგავხარ. ღირდა კი მისი მოკვლა? ამ თვალებში ჩემს დანაშაულს ვხედავ და თავზარი მეცემა.

I ერინია – ელექტრასაც თავზარსა სცემ.

ორესტე – მართლა? მართლა თავზარსა გცემ?

ელექტრა – თავი დამანებე.

I ერინია – ხედავ? კიდევ გაქვს ეჭვი? ანდა რატომ არ უნდა ეჯავრებოდე? თავის ოცნებებში ჩაფლული ეგ წყნარად ცხოვრობდა; შენ კი მოხვედი, თან ხოცვა-ჟლეტა და მკრეხელობა მოიტანე. და აი, ისიც აქ არის, შენი დანაშაულის მოზიარე, ამ კვარცხლბეკს მიჯაჭვული, რადგან მიწის ამ პატარა ნაგლეჯის გარდა, არა დარჩენია რა.

ორესტე – ნუ უსმენ.

I ერინია – უკან დაიხიე, უკან; გააგდე ეგ; ნება არ მისცე ხელით შეგეხოს. ეგ ხომ ყასაბია. კანზე ახალი სისხლის მტკნარი სუნი ასდის. რომ იცოდე რა მოუხერხებლად მოკლა დედაბერი, ერთი დარტყმითაც ვერ გაათავა.

ელექტრა – მართალს ამბობ?

I ერინია – დამიჯერე იქ ვიყავი, მათ ირგლივ ვფრინავდი და ვბზუოდი.

ელექტრა – რამდენჯერმე დაარტყა?

I ერინია – ათჯერ მაინც! და ყოველ დარტყმაზე მახვილი ჭრილობას ხვდებოდა. ის სახეს და მუცელს ხელებით იფარავდა და ამან კი ხელები სულ გადაუსერა.

ელექტრა – ბევრი იტანჯა? მაშინვე არ მოკვდა?

ორესტე – ყურები დაიცე და, რაც მთავარია, ნურაფერს ეკითხები. დაიღუპები, რამეს თუ ჰკითხავ.

I ერინია – ტანჯვაში დალია სული.

ელექტრა – (*სახეს ხელებით იფარავს*). აააა!

ორესტე – მას სურს ჩვენ განგვაშოროს და მარტოობის კედელი შემოგარტყას გარს და როცა მარტო დარჩები, სრულიად მარტო და უმწეო, სწორედ მაშინ დაგატყდებიან თავს. ელექტრა, ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ ეს მკვლელობა და სამაგიეროც ერთად უნდა ვზღოთ.

ელექტრა – შენ ფიქრობ, მე ეს მინდოდა?

ორესტე – ვითომ არა?

ელექტრა – არა, ეს არ არის მართალი... მოიცადე... კი მინდოდა... ოჰ, აღარ ვიცი, რა მინდოდა; სულ ეს დანაშაული მესიზ-

მრეგოდა, მაგრამ შენ, შენ ჩაიდინე ის. საკუთარი დედის ჯალათო!

ერინიები – (*სიცილითა და ყვირილით*). ჯალათო, ჯალათო, ყასაბო.

ორესტე – ელექტრა, ამ კარის უკან მთელი სამყაროა; სამყარო და აისი. მზემ თავისი სხივები უკვე მოჰფინა გზებს. ჩვენ ჩქარა გავალთ. გავუყვებით მზიან გზებს, ესენი კი – წყვდიადის ასულები თავის ძალას დაკარგავენ. მზის სხივები მახვილივით გახვრეტენ მათ.

ელექტრა – მზე...

ერინია – მზეს ვეღარასოდეს იხილავ, ელექტრა; ჩვენ ჩავდგებით შენსა და მზეს შორის, როგორც კალიათა გუნდი, და შენ ირგვლივ წყვიდიადი დაისადგურებს.

ელექტრა – დამანებეთ თავი, გეყოთ ამდენი წამება.

ორესტე – შენი სისუსტე მათ ძალას მატებს. ხედავ, მე ვერაფერს მაკლებენ. მისმინე: გამოუთქმელმა საშინელებამ შეგიპყრო და ერთმანეთს გვაცილებს. მაგრამ მითხარი ერთი, რა უნდა განგეცადა ისეთი, რაც მე არ განვიცადე. როგორ გგონია, დედაჩემის კვნესა, ეს ხმა როდისმე დამეხსნება? ან ოდესმე დამავიწყდება მისი უშვლებელი თვალები – ნაპირებს გადმოსული ორი დიდი ოკეანე ცარცისფერ სახეზე. კაეშანი გლრღნის? ან მე ოდესმე მომასვენებს? მაგრამ აღარაფერი მეკითხება: მე თავისუფალი ვარ, კაეშნისა და მოგონებების მიღმა. თავისუფალი ვარ და ჩემს თავთან მართალი. საკუთარი თავი არ უნდა გეჯავრებოდეს, ელექტრა. მომეცი ხელი, არ მიგატოვებ.

ელექტრა – ხელი გამიშვი. ჩემს გარშემო შეგროვილი ამ შავი ძალებისა ძალიან მეშინია, მაგრამ შენი უფრო მეშინია.

I ერინია – ხედავ, ხედავ, თოჯინავ, ჩვენი ხომ ნაკლებად გეშინია? არა? ჩვენ გვჭირდები, ელექტრა, შენ ჩვენი ბავშვი ხარ. შენ ჩვენი ბრჭყალები გჭირდება ხორცის გვემისათვის, ჩვენი კბილები გჭირდება, რომ მკერდი დაიკბინო. ჩვენი კანიბალური სიყვარული გჭირდება, რომ ის სიძულვილი მოიცილო, საკუთარი თავისადმი რომ გაქვს; სხეულის გვემა გჭირდება, სულის ტანჯვა რომ დაივიწყო. მოდი ჩვენთან, მოდი! მხოლოდ ორი საფეხური უნდა ჩამოხვიდე და გულში ჩაგიკრავთ; ჩვენი ამბორი შენს ხორცს დაგლეჯს და დადგება თავდავიწყება, თავდავიწყება – ტკივილის წმინდა ცეცხლით მოსილი.

ერინიები – წამოდი, წამოდი. (*ისინი ძალიან ნელა ცეკვავენ, თითქოს მისი მოჯადოება სურთ. ელექტრა დგება.*).

ორესტე – (*ხელს წაავლებს*). ნუ მიდიხარ, გემუდარები, თავს დაიღუპავ.

ელექტრა – (*ხელს ძალით ითავისუფლებს*). აა! მძულხარ!

საფეხურებზე ჩადის. ერინიები თავს დაატყდებიან.

ელექტრა – მიშველეთ!

შემოდის იუპიტერი.

სცენა მეორე

იგივენი, იუპიტერი

იუპიტერი – შესდექით!

I ერინია – ჩვენი ბატონ-პატრონი მობრძანდა!

ერინიები სინანულით შორდებიან ელექტრას, რომელიც მიწაზეა გართხმული.

იუპიტერი – საბრალო ბაავშვებო (*ელექტრასაკენ მიიწევს*). ეს გინდოდათ? ლამის გული გამისკდეს სიბრაზისა და სინანულისაგან. წამოდექი, ელექტრა, სანამ აქა ვარ, ჩემი ძაღლები ვერაფერს დაგაკლებენ. (*წამოაყენებს*). რა საშინელი სახე გაქვს. ნუთუ ეს ყველაფერი ერთი ღამის ამბავია, ერთი ღამისა! რა იქნა შენი სინორჩე, ერთმა ღამემ, მხოლოდ ერთმა ღამემ ღვიძლი, ნაღველა და ფილტვები გაგიცვითა, სხეული დაგიუძლურა. ოჰ, თავის მოიმედე და შეშლილო ახალგაზრდობავ, რამდენი ბოროტება მიაყენეთ საკუთარ თავს.

ორესტე – ტონი შეიცვალე, ბერიკაცო. იგი არ შეშვენის ღმერთების გამგებელს.

იუპიტერი – შენ კი მაგ ამაყ ტონს მოეშვი. დანაშაულის მომნანიეს ეგ ტონი არ უხდება.

ორესტე – დამნაშავე არა ვარ და ვერც მაიძულებ მოვინანიო საქციელი, რომელიც დანაშაულად არ მიმაჩნია.

იუპიტერი – იქნებ ცდები, მაგრამ მოთმინება იქონიე: ჩქარა აგიხელ თვალებს.

ორესტე – რაგინდ მაწამო, სინანულის გზას არ დავადგები.

იუპიტერი – არც იმას ნანობ, რა საშინელ დღეში ჩააგდე შენი და?

ორესტე – არც მაგას ვნანობ.

იუპიტერი – გესმის ელექტრა? აკი ამტკიცებდი, ვუყვარვარო.

ორესტე – ჩემს თავზე მეტად მიყვარს. მაგრამ მისი ტანჯვა მას ეკუთვნის და მხოლოდ თვითონ შეუძლია იხსნას თავი. ელექტრა თავისუფალია.

იუპიტერი – შენ? იქნებ შენც თავისუფალი ხარ?

ორესტე – თვითონაც მშვენივრად იცი, რომ ეგრეა.

იუპიტერი – ერთი შენ თავს შეხედე, თავხედო და სულელო არსებავ. თავი მედიდურად გიჭირავს, მაგრამ სინამდვილეში მფარველი ღმერთის ფერხთით ხარ გართხმული და მისი დამშეული ძაღლები გარს გეხვევიან. თუ გაკადნიერდები და დაიჩემებ, თავისუფალი ვარო, მაშინ სადღაც მიწისქვეშა საკანში მიგდებული ტუსაღის თუ ჯვარცმული მონის თავისუფლებაც სადიდებელი ყოფილა.

ორესტე – რატომაც არა.

იუპიტერი – ფრთხილად იყავი. დიდგულზე ხარ, რადგან აპოლონი გფარველობს. მაგრამ იცოდე, აპოლონი ჩემი ძალზე დამჯერი მსახურია. თითი რომ ავწიო, მაშინვე მიგატოვებს.

ორესტე – მაშ რატომ არ წევ თითს? ხელიც ასწიე, თუ გინდა.

იუპიტერი – არ მინდა. ხომ გითხარი, ყელში ამომივიდა-მეთქი ამდენი დასჯა. თქვენ გადასარჩენად მოვედი.

ელექტრა – გადასარჩენად? ნუ დაგვცინი, შურისგებისა და სიკვდილის მეუფეო. არც ღმერთებს აქვთ ნება ტანჯულებს მაცდუნებელი იმედი გაულვიძონ.

იუპიტერი – შეგიძლია, თხუთმეტ წუთში აქედან ძალიან შორს იყო.

ელექტრა – ცოცხალი და ჯანმრთელი?

იუპიტერი – სიტყვას გაძლევ.

ელექტრა – სამაგიეროს რას ითხოვ?

იუპიტერი – არაფერს, შვილო ჩემო.

ელექტრა – არაფერს? ნუთუ სწორედ გავიგონე, კეთილო ღმერთო, სათაყვანებელო ღმერთო?

იუპიტერი – თითქმის არაფერს. სულ ბეწვის ოდენა სამაგიეროს, რომლის მოცემა ყველაზე მეტად გაგიადვილდება. სულ ცოტა სინანულს.

ორესტე – ფრთხილად იყავი, ელექტრა, ეგ ბეწვის ოდენა სინანული შენს სულს მთასავით დააწვება.

იუპიტერი – (*ელექტრას*). ნუ უსმენ. ჯერ მიპასუხე: რატომ არ უნდა დაგმო ეს დანაშაული, დანაშაული ხომ სხვამ ჩაიდინა. შენ თანამონაწილე არ ყოფილხარ.

ორესტე – ნუთუ, ელექტრა, 15 წლის იმედი და სიძულვილი უნდა უარყო?

იუპიტერი – რომელ უარყოფაზე ლაპარაკობ? მას არასოდეს სდომებია ეს მკრეხელობა.

ელექტრა – ვაგლახ!

იუპიტერი – აბა, აბა, მენდე. განა გულთა მესაიდუმლე არა ვარ?

ელექტრა – (*უნდოდ*). მერე და ჩემს გულში ამოიკითხე, რომ ეს დანაშაული არ მინდოდა? მთელი 15 წელი ხომ შურისძიებაზე ვოცნებობდი.

იუპიტერი – მართალია, სისხლიან ოცნებებში ირწეოდი, მაგრამ ეს ოცნება გულუბრყვილო იყო. ის გიმალავდა, რომ მონა იყავი და სალბუნად ედებოდა შენს ჭრილობებს. მაგრამ განა როდესმე გიფიქრია მისი აღსრულება? არა ვარ სწორი?

ელექტრა – ვაგლახ, ღმერთო ჩემო, სათაყვანებელო ღმერთო, როგორ მინდა, რომ ცდებოდე!

იუპიტერი – შენ სულ პატარა გოგონა ხარ, ელექტრა. სხვა პატარა გოგონები ოცნებობენ გახდნენ ქალთა შორის ულამაზესნი და უმდიდრესნი. შენ კი მონუსხულმა შენი მოდგმის უკუღმართი ბედით, მოისურვე ყველაზე დიდი ტანჯული და ყველაზე დიდი დამნაშავე გამხდარიყავი. შენ არასოდეს გდომებია ბოროტება: მხოლოდ შენი პირადი უბედურება გსურდა. შენი ხნის ბავშვები ჯერ კიდევ დედოფლობანას და კლასობანას თამაშობენ. შენ კი საცოდავო პატარა, არც სათამაშოები გქონდა, არც ამხანაგები გყავდა და მკვლელობა წამოიწყე, რაკი ამის თამაში მარტოკას შეგეძლო.

ელექტრა – ვაგლახ! ვაგლახ! გისმენ და რა ნათლად ვხედავ ჩემს თავს.

ორესტე – ელექტრა, აი ახლა მართლა დამნაშავე ხარ. ის, რაც შენ გინდოდა, შენს გარდა, ვინ უნდა იცოდეს? ნებას რად აძლევ სხვას, შენ მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება? რად ამახინჯებ წარსულს, რომელსაც თავის დაცვა აღარ შეუძლია? რატომ უარყოფ იმ განრისხებულ ელექტრას, მაშინ რომ იყავი, სიძულვილის იმ ქალღმერთს, ასე რომ შემიყვარდა? ნუთუ ვერა ხედავ, როგორ გათამაშებს ეს ულმობელი ღმერთი?

იუპიტერი – ვათამაშებ? აჯობებს ჩემს რჩევას მიუგდოთ ყური: თუ დანაშაულს მოინანიებთ, ორივეს არგოსის ტახტზე დაგსვამთ.

ორესტე – ჩვენს მსხვერპლის ადგილას?

იუპიტერი – რას იზამ.

ორესტე – მე კი მიცვალებული მეფის ჯერ კიდევ თბილი სამოსი ჩავიცვა?

იუპიტერი – დიახ, ან რაიმე სხვა, სულერთია.

ორესტე – დიახ, მთავარია, შავი ფერისა იყოს, არა?

იუპიტერი – განა ისედაც ძაძა არ გაცვია?

ორესტე – ჰო, დედაჩემის გამო მაცვია ძაძა, სულ დამავიწყდა. ჩემს ქვეშევრდომებსაც შავები უნდა ჩავაცვა, არა?

იუპიერი – იმათ, ისედაც შავები აცვიათ.

ორესტე – მართალია, ვაცალოთ, გაცვითონ ძველი სამოსი. მაშ, მიხვდი, ელექტრა? თუ რამდენიმე ცრემლს გადმოაგდებ, კლიტემნესტრას პერანგებსა და ქვედატანებს გპირდებიან – იმ ჭუჭყიან, აყროლებულ პერანგებს, 15 წლის განმავლობაში საკუთარი ხელით რომ რეცხავდი. მისი როლიც გელის, ოღონდაც კი იკისრე. ილუზია სრული იქნება, ხალხს ეგონება, კლიტემნესტრას ვხედავო, იმდენად ემსგავსები. მე კი უფრო დიდი ზიზღის გრძნობა მაქვს: ჩემგან მოკლული მასხარას შარვალს არ ჩავიცვამ.

იუპიტერი – ცხვირს მაღლა ნუ წევ. შენ დაარტყი კაცს, რომელიც თავს არ იცავდა და დედაბერს, შეწყალებას რომ გთხოვდა. მაგრამ ვინც არ გიცნობს, ან შენს საუბარს მოისმენს, შეუძლებელია იფიქროს, რომ მშობლიური ქალაქი გადაარჩინე და მარტოდ მარტო შეებრძოლე 30 კაცს.

ორესტე – ვინ იცის, იქნებ მართლა გადავარჩინე მშობლიური ქალაქი?

იუპიტერი – შენ? იცი ვინ არის ამ კარის იქით? არგოსელები არიან, არგოსის ყველა მკვიდრი. თავის გადამრჩენელს – ქვებით, ფოცხებითა და კეტებით ელიან, მადლიერება რომ დაუმტკიცონ. შენ სულ მარტო ხარ, როგორც კეთროვანი.

ორესტე – დიახ, ასეა.

იუპიტერი – მერე და საამაყო რა გაქვს? მარტოობას და სიძულვილს მიგცეს, ო, მკვლელთა შორის ყველაზე მხდალო მკვლელო!

ორესტე – ყველაზე მხდალი მკვლელი ის არის, ვინც სინანულს განიცდის.

იუპიტერი – ორესტე, მე შეგქმენი შენ და სხვა ყოველივე ჩემი შექმნილია. (*ტაძრის კედლები გადაიხსნება და ვარსკვლავებით მოჭედილი მბრუნავი ცა გამოჩნდება. იუპიტერი სცენის სიღრმეშია. მიკროფონში ისმის მისი გამაყრუებელი ხმა, მაგრამ გაურ-*

კვეველია, რას ამბობს). – შეხედე იმ პლანეტებს; ისინი წესითა და რიგით მოძრაობენ და ერთმანეთს არასოდეს ეჯახებიან. ეს ჩემი სამართლიანი ნახელავია. ისმინე სფეროების ჰარმონია. მინერალების დიადი საგალობელი, რომელიც ცის ოთხივე კუთხით გაისმის. ყოველი თესლი ჩემი წყალობით მრავლდება, მე ვბრძანე, რომ ადამიანმა ყოველთვის ადამიანი შვას, ძაღლის ლეკვი ძაღლი იყოს; ჩემი წყალობითაა, რომ ზღვის მოქცევის ნაზი ენა ქვიშას ლოკავს და ზუსტად დანიშნულ დროს უკუიქცევა; ჩემი ბრძანებით იფურჩქნებიან მცენარეები. ჩემი სუნთქვა ავრცელებს ყვავილთა მტვერის ყვითელ ღრუბლებს დედამიწაზე. აქ შენი ადგილი არ არის, ცრურწმენიავ. შენ ისე ხარ სამყაროში, როგორც ხიჭვი ხორცში, ისე როგორც ბრაკონიერი ფეოდალის ტყეში. სამყარო კეთილია, მე შემიქმნია ის ჩემი ნებით და მე ვარ სიკეთე. შენ კი, შენ ბოროტება ჩაიდინე და ყოველი საგანი ბრალს გდებს ძრწოლანარევი ხმით. სიკეთე ყველგანაა: ხედავ ანწლის სირბილეს, ანკარა წყაროს, კაჟის მარცვლების მძიმე ქვებს. სიკეთეს იპოვი ცეცხლისა და სინათლის არსში. შენი სხეულიც კი გღალატობს, რადგანაც ისიც ჩემს ანგარებას ემორჩილება. სიკეთე შენშია, შენ გარეთაცაა. ის ცელივით გთიბავს, მთასავით გთრგუნავს, ზღვასავით მიჰყავხარ და მიგაგორებს. სიკეთემ მოგიმართა ხელი შენს ცუდ საქმეში, რადგან იგი არის ჩირაღდნების სინათლე, შენი მახვილის სიმაგრე, შენი მკლავის ძალა. შენ ბოროტება ჩაიდინე და გეამაყება, მისი სათავე რომ ხარ. მაგრამ რა არის ეს ბოროტება თუ არა ყოფიერების ცბიერი ანარეკლი და ხრიკი, მაცდუნებელი სურათი. ამ ბოროტების საძირკველიც ხომ სიკეთეა: გონს მოდი, ორესტე. სამყარო გამტყუნებს და შენ ჭია ხარ ამ სამყაროში. კაცთა ბუნებას დაუბრუნდი, ბუნებანაღალატევო შვილო. შეიცან შენი შეცდომა, აღშფოთდი და მოიცილე, როგორც გაფუჭებული, დაჭიანებული კბილი. გაფრთხილდი, ზღვა არ უკუიქცეს, გზაზე მიმავალს არ დაგიშრნენ წყაროები, ქვა-ლოდმა არ ჩაგიხერგოს გზა და მიწამ პირი არ გიყოს.

ორესტე – დაე, მიწამ პირი მიყოს! მერე რა. დაე, კლდეებმა გამომიტანონ განაჩენი და ბალახი გამიხმეს გზაზე. მთელი შენი სამყარო არ გეყოფა, რომ გამამტყუნო. შენ ღმერთების მეუფე ხარ, იუპიტერ, ქვათა და ვარსკვლავთა, ზღვის ტალღების მეუფე. მაგრამ ადამიანების მეუფე არა ხარ!

ტაძრის კედლები ერთმანეთს უახლოვდება, გამოჩნდება დაღლილი და მოხრილი იუპიტერი. ისევ თავისი ბუნებრივი ხმა აქვს.

იუპიტერი – განა შენი მეუფე არა ვარ, უტიფარო მატლო, მაშ ვინ შეგქმნა?

ორესტე – შენ, მაგრამ თავისუფალი არ უნდა შეგექმენი.

იუპიტერი – თავისუფლება იმისათვის მოგეცი, რომ მემსახურო.

ორესტე – შეიძლება ეგრეცაა, მაგრამ თავისუფლება წინ აღგიდგა და ჩვენ აღარაფერი შეგვიძლია, არც შენ, არც მე.

იუპიტერი – როგორც იქნა, მოიძებნა გამართლება.

ორესტე – თავს სრულებითაც არ ვიმართლებ.

იუპიტერი – არა, მართლა? იცი, რომ ეგ თავისუფლება, შენ რომ დაგიმონა, ძალიან ჰგავს თავის მართლებას.

ორესტე – მე არც ბატონი ვარ, და არც მონა, იუპიტერ. მე თავად თავისუფლება ვარ. შემქმენი თუ არა, მე შენ აღარ გეკუთვნი.

ელექტრა – მამის სახელს გაფიცებ, დანაშაულს ღვთის გმობასაც ნუ უმატებ.

იუპიტერი – ყური დაუგდე. იმედი ნუ გაქვს, რომ შენი სჯაბაასით დას დაიბრუნებ. შენი ნათქვამი ელექტრას სმენას ეუცხოება და შეურაცხყოფს მას.

ორესტე – ჩემს სმენასაც ეუცხოება. ჩემს პირსაც, სიტყვებს რომ ისვრის და ენასაც, ყალიბს რომ აძლევს მათ. თვითონ საკუთარი თავის გაგება მიჭირს. ჯერ კიდევ გუშინ ჩემთა თვალთა რიდე იყავი და ყურთა სარქველი. გუშინ თავი უნდა მემართლებინა. შენს წინაშე ჩემი არსებობა უნდა გამემართლებინა, რადგან შენი მიზნების მსახურად გამაჩინე, ხოლო სამყარო კი შუამავლად დამიდგა და გაუთავებლივ შენზე მელაპარაკებოდა. მერე კი მიმატოვე.

იუპიტერი – მიგატოვე? მე?

ორესტე – გუშინ ელექტრას გვერდით ვიდექი. მთელი შენი სამყარო გარს მეხვია. იგი მღეროდა შენს სიკეთეზე, რჩევა-დარიგებებს არ მაკლებდა. გული რომ ამჩუყებოდა, ცხელი დღის პაპანაქებას ნელინელ სინაზე შეერია და დაბინდულ მზერას დაემსგავსა იგი. გულის ტკივილი რომ დამვიწყებოდა, ცა მოლბა, როგორც ყოვლის მიტევება. ჩემი სიჭაბუკე, შენი მორჩილი, ნამოდგა, დამიდგა წინ და უხმოდ შემევედრა, როგორც საცოლე, რომელსაც საცაა მიატოვებენ. მე უკანასკნელად ვხედავდი ჩემს სიჭაბუკეს. უცებ თავისუფლება დამატყდა თავს და სრულად მომიცვა. სამყარომ უკან დაიხია და, როგორც საკუთარი ჩრდილის დამკარგავი კაცი, უასაკო, და მარტოსული აღმოვჩნდი,

შენს პატარა, გულარხეინ სამყაროში. ცაზე აღარაფერი ჩანდა, აღარც სიკეთე, აღარც ბოროტება, აღარც მბრძანებელი ვინმე.

იუპიტერი – რა გინდა? აღტაცებით შევხვდე ქეციან ცხვარს, რომელიც ფარას მოაცილეს, ანდა კეთროვანს, რომელიც ცალკე თავის ლაზარეთშია ჩაკეტილი? გაიხსენე, ორესტე, შენ ჩემი ფარის ნაწილი იყავი, ჩემს ჭალებში ბალახს ძოვდი ჩემს ცხვრებთან ერთად. შენი თავისუფლება მხოლოდ აქავებული ქეცია, ის სხვა არაფერია, თუ არა გარიყვა და მოკვეთა.

ორესტე – მართალს ამბობ: გარიყვა და მოკვეთაა.

იუპიტერი – ეს ბოროტება გუშინდელია და ჯერ ისე ღრმად წასული არ არის. დაგვიბრუნდი. დაბრუნდი. ნახე რა მარტო ხარ, საკუთარმა დამაც მიგატოვა. ფერმკრთალი ხარ და კაეშანმა დაისადგურა შენს თვალებში. რა, გადარჩენის იმედი გაქვს? შენ არაადამიანური ბოროტება გღრღნის, უცხო ჩემი ბუნებისათვის, უცხო შენთვისაც. დაბრუნდი: მე დავიწყება ვარ, მე მოსვენება ვარ.

ორესტე – უცხო რომ ვარ საკუთარი თავისათვის, თავადაც ვიცი. სამყაროს გავნაპირებივარ სრულად და არ ვეპირები მას, არ მაქვს არავითარი გამართლება და არც საყრდენი ჩემი თავის გარდა. მაგრამ შენს კანონებს არ დავუბრუნდები. მე მისჯილი მაქვს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კანონი მქონდეს. არ დავუბრუნდები შენს სამყაროს: ათასი გზაა შენკენ მომავალი, მე კი მხოლოდ ჩემს გზას დავადგები. მე ადამიანი ვარ, იუპიტერ და ყოველმა ადამიანმა თავისი გზა უნდა დასახოს. სამყაროს ეჯავრება ადამიანი და შენც, ღმერთების მეუფეო, შენც გეჯავრება იგი.

იუპიტერი – მართალს ამბობ, როცა შენნაირები გამოერევა, მეჯავრება.

ორესტე – გაფრთხილდი! ამით აღიარებ შენს სისუსტეს. ჩემდა თავად კი, იცოდე, არ მძულხარ. ანდა რა გვაქვს ჩვენ საერთო? ჩვენ ერთმანეთს ისე შეუხებლად დავცილდებით, როგორც გემები შორიშორდებიან ხოლმე ზღვაში. შენ ღმერთი ხარ, მე კი თავისუფალი. ერთნაირად მარტონი ვართ და ორთავეს ერთნაირი ძრწოლვა და კაეშანი გვღრღნის. ვინ გითხრა, რომ ამ გრძელ ღამეში სინანული არ მოვიძიე? სინანული. ძილი. მაგრამ ამიერიდან აღარც სინანულია ჩემთვის და აღარც ძილი.

იუპიტერი – ახლა რას აპირებ?

ორესტე – არგოსის მკვიდრნი ჩემი ხალხია. თვალები უნდა ავუხილო მათ.

იუპიტერი – საბრალო ხალხი. შენ მათ მიანიჭებ მარტოობასა და სირცხვილს. შემოაცლი ტანისამოსს, რომლითაც ისინი დავფარე, უეცრივ გადაუშლი თვალწინ მთელ მათ არსებობას, ბილწ, უნდილ და უმიზნო არსებობას.

ორესტე – რატომ არ უნდა გავუზიარო ჩემი სასოწარკვეთილება, ის ხომ მათი ხვედრიცაა?

იუპიტერი – ნეტავი რაში სჭირდებათ.

ორესტე – რაც უნდათ, ის უქნან. ისინი თავისუფლები არიან და ადამიანური ცხოვრება სასოწარკვეთილების მიღმა იწყება.

სიჩუმე.

იუპიტერი – დაე, ასე იყოს. ყველაფერი წინასწარ იყო დასახული. ერთ დღეს ადამიანი უნდა მოსულიყო და განეცხადებინა ჩემთვის: შენი მწუხრი დგებაო. მაშ ეს შენ ყოფილხარ? აბა, ვინ იფიქრებდა ამას გუშინ, შენი ქალწულებრივი სახის შემხედვარე.

ორესტე – განა თვითონ კი ვიფიქრებდი? განა არ ვგრძნობ, რომ ჩემი ბაგეები ვერ უძლებენ ამ ამაღელვებელ სიტყვებს და პირი მეხევა უკვე; ჩემი სიჭაბუკე ვერ უძლებს ბედის ამ სიმძიმეს და იგი იმსხვრევა.

იუპიტერი – არ მიყვარხარ, მაგრამ მეცოდები.

ორესტე – მეც მეცოდები.

იუპიტერი – მშვიდობით, ორესტე (*რამდენიმე ნაბიჯს გადადგმას*). შენ კი ელექტრა, მოიფიქრე: ჩემი მეფობა ჯერ არ დამთავრებულა. დრო კიდევ მაქვს დარჩენილი და ბრძოლას განვაგრძობ. დაფიქრდი, ჩემი მომხრე იქნები თუ მტერი.

ორესტე – მშვიდობით.

იუპიტერი გადის.

სცენა მესამე

იგივე, იუპიტერის გარდა

ორესტე – სად მიდიხარ?

ელექტრა – თავი დამანებე. აღარაფერი მაქვს შენთან სალაპარაკო.

ორესტე – მხოლოდ გუშინ გაგიცანი, დღეს კი სამუდამოდ გკარგავ?

ელექტრა – ნეტავ ისე ენებათ ღმერთებს, არასოდეს შეგხ-

ვედროდი.

ორესტე – ელექტრა, ჩემო დაო, ჩემო ძვირფასო ელექტრა! ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ერთადერთო სინაზევ ჩემი სიცოცხლისა, მარტო ნუ დამტოვებ, დარჩი ჩემთან.

ელექტრა – ქურდო, არაფერი მებადა, ერთი ბეწო სიმშვიდისა და ერთი-ორი ოცნების გარდა. ყველაფერი წამართვი. მათხოვარი გაქურდე. ჩემი ძმა იყავი, ჩვენი ოჯახის უფროსი; ჩემი მფარველი უნდა ყოფილიყავი. შენ კი სისხლში ამომსვარე, ყელგამოჭრილი ხარივით წითლად შემღებე. ყველა ეს გაუმაძღარი ბუზი მე მეკრობა და ჩემი გულიც შესაზარ სკას დამსგავსებია.

ორესტე – ჩემო სიყვარულო, მართალი ხარ, ყველაფერი წაგართვი და საზღაურს ვერაფერს გაძლევ ჩემი დანაშაულის გარდა. ეს რა, დიდი საჩუქარი არ არის? რა გგონია, იგი ჩემს სულს ტყვიასავით არ აწევს? ჩვენ ძალიან მსუბუქნი ვიყავით. ამიერიდან ჩვენი ფეხები მიწაში ეფლობიან, როგორც ეტლის ბორბლები ნაკვალევში. მოდი, გზას გავუდგეთ, მძიმე ნაბიჯით, ძვირფასი ტვირთით მხრებზე. ხელი მომეცი და წავიდეთ.

ელექტრა – სად?

ორესტე – არ ვიცი. ჩვენი თავისაკენ. მთების და მდინარეების გადაღმა ორესტე და ელექტრა გვიცდიან. მოთმინებით უნდა ვეძიოთ ისინი.

ელექტრა – შენი მოსმენა აღარ მსურს. მხოლოდ უბედურებას და სისაძაგლეს მთავაზობ (*სცენაზე წინ გამორბის. ერინიები ნელ-ნელა უახლოვდებიან*). მიშველეთ! იუპიტერ, ღმერთებისა და ადამიანების ხელმწიფევ, ჩემო ხელმწიფევ, გულში ჩამიკარ, შენი მონა და ნივთი ვიქნები, ფეხებსა და მუხლებს დაგიკოცნი. დამიცავი ბუზებისაგან, ძმისაგან, ჩემი თავისაგან, მარტო არ დამტოვო. მთელ სიცოცხლეს მონანიებას მოვანდომებ. ვინანიებ, იუპიტერ, ვინანიებ!

გარბის.

მესამე მოქმედება

სცენა მეოთხე

ორესტე, ერინიები

ერინიებს სურთ ელექტრას გაჰყვნენ. პირველი ერინია ყველას აჩქარებს.

I ერინია – თავი დაანებეთ, ჩემო დებო, ხელიდან გვისხლტება. მაგრამ ეს კი დიდი ხნით დაგვრჩება, მისი პატარა, მტკიცე სული ტანჯვებს ვერ მოიცილებს.

ერინიები ბზუიან და ორესტეს უახლოვდებიან.

ორესტე – სულ მარტო დავრჩი.

I ერინია – ო, არა, მკვლელებს შორის ყველაზე მოხდენილო მკვლელო, მე შენთან ვრჩები. ნახე, რა თამაშები მოგიგონო და როგორ გაგართო.

ორესტე – სიკვდილამდე მარტო ვიქნები. მერე...

I ერინია – გამაგრდით დებო, ორესტეს სისუსტე ეუფლება. შეხედეთ თვალები უფართოვდება. მალე მისი ნერვები ისეთ ბგერებს გამოსცემენ, ქნარის სიმები რომ გამოსცემს ხოლმე ძრწოლანარევ არპეჯიოს დორს.

II ერინია – სადაცაა შიმშილი აიძულებს თავშესაფარი დატოვოს. დაღამებამდე ჩვენ მის სისხლს ვიგემებთ.

ორესტე – საბრალო ელექტრავ!

შემოდის პედაგოგი.

სცენა მეხუთე

ორესტე, ერინიები, პედაგოგი

პედაგოგი – სადა ხართ, ბატონო ჩემო! რა სიბნელეა. ცოტა საჭმელი მოგიტანეთ. არგოსელებმა ალყა შემოარტყეს ტაძარს და გასვლაზე არც იფიქროთ. ამაღამ გაქცევა უნდა ვცადოთ. მანამდე კი მიირთვით. (*ერინიები გზაზე ელობებიან*). ესენი ვიღა არიან? რომ იცოდეთ, როგორ მენატრება ატიკის ტკბილი მხარე, სადაც ჩემს სიმართლეს გასავალი ჰქონდა.

ორესტე – არ მომიახლოვდე. ცოცხლად დაგგლეჯენ.

პედაგოგი – წყნარად, ჩემო ლამაზმანებო. ოჰ, დაიჭით ხორცის ეს ნაჭრები და ხილი, თუკი ჩემი მსხვერპლთშეწირვა დაგაწყნარებთ.

ორესტე – რა თქვი? არგოსელები ტაძრის წინ შეკრებილანო?

პედაგოგი – და მერე რამდენი! ვერც კი გეტყვით, ვინ უფრო შმაგი და ალესილია თქვენ წინააღმდეგ, ეს მშვენიერი ქალიშვილები თუ თქვენი საყვარელი ქვეშევრდომები.

ორესტე – კარგი, (*პაუზა*). გააღე ეს კარი.

პედაგოგი – გაგიუდით? იარაღასხმული დგანან კარის უკან.

ორესტე – გააკეთე, რასაც გეუბნები.

პედაგოგი – ამჯერად, ნება მომეცით, არ დაგემორჩილოთ. აკი გეუბნებით, ჩაგქოლავენ-მეთქი.

ორესტე – მე შენი ბატონი ვარ, მოხუცო, და გიბრძანებ, ეგ კარი გააღო. (*პედაგოგი კარს გამოაღებს*).

პედაგოგი – უჰ, უჰ.

ორესტე – მთლიანად გააღე. (*პედაგოგი ყურთამდე აღებს კარს. თვითონ ერთ-ერთი საგდულის უკან იმალება. ბრბო ძალით აღებს ორივე საგდულს და შემკრთალი ზღურბლზე ჩერდება. დიდი სინათლე*).

სცენა მეექვსე

ბრბოს ყვირილი – მოჰკალით, მოჰკალით, ჩაქოლეთ, დაგლიჯეთ, მოჰკალით!

ორესტე – (*არაფერი ესმის*) – მზე!

ბრბო – მკრეხელობაა! მკვლელო, ყასაბო, ხელ-ფეხი და თავი უნდა მოგკვეთოთ, გამდნარ ტყვიას ჩაგასხამთ ჭრილობებში.

ქალი – თვალებს დაგთხრი!

კაცი – ღვიძლს ამოგიჭამ!

ორესტე – (*წელში იმართება*) – აი თქვენც, ჩემო ერთგულო ქვეშევრდომნო! მე ორესტე ვარ, თქვენი ხელმწიფე, აგამემნონის ვაჟიშვილი და დღევანდელი დღე ჩემი მეფედ კურთხევის დღეა. (*დაბნეული ბრბო ხმაურობს*). თქვენ აღარ ყვირით? (*ბრბო ჩერდება*). ვიცი. ჩემი გეშიანით. 15 წლის წინათ, ზუსტად ამავე დღეს, თქვენ წინაშე სხვა მკვლელი წარდგა. ხელთათმანები იდაყვამდე განითლებული ჰქონდა. თქვენ მისი არ შეგშინებიათ, რადგან მის თვალებში ამოიკითხეთ, რომ თქვენიანი იყო და თავის მოქმედე-

ბაზე პასუხისგების ვაუკაცობა არ გააჩნდა. ხოლო როცა დანაშაულს თვით დამნაშავე ვერ უმკლავდება, ეს ხომ უკვე არავის დანაშაულია. ასე არაა? ეს თითქმის შემთხვევითი ამბავია. თქვენ მეფედ აღიარეთ დამნაშავე და უძველესმა დანაშაულმა ქალაქის კედლებში დაიწყო ხეტიალი და ჩუმად აკვნესდა, როგორც პატრონდაკარგული ძაღლი. თქვენ მე მიყურებთ, არგოსელებო, ეტყობა მიხვდით, რომ ჩემი დანაშაული მე მეკუთვნის. მზის მადლის შუქმა, ამას მოვითხოვ! ეს არის ჩემი ცხოვრების აზრი და სიამაყე. თქვენ ვერ დამსჯით, ვერც შემიცოდებთ და სწორედ ამიტომ გეშიანიათ ჩემი. ჩემო ხალხო, მე თქვენ მიყვარხართ და სისხლი თქვენთვის დავღვარე. მე იმისათვის მოვედი, ჩემი სამეფო მომეთხოვა, თქვენ კი ხელი მკარით, რადგან უცხო ვიყავი თქვენთვის. ამიერიდან თქვენიანი ვარ, ო, ჩემო ქვეშევრდომნო. სისხლი გვაკავშირებს და მე ღირსი ვარ თქვენი ხელმწიფე ვიყო. თქვენი შეცდომები და სინანული, თქვენი ღამეული ძრწოლვანი და ეგისთეს დანაშაული – ყველაფერი ჩემია, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. თქვენი მკვდრების ნუღა გეშიანით, ისინი ჩემი მკვდრები გახდნენ. ხედავთ: თქვენმა ერთგულმა ბუზებმა მიგატოვეს და მე მომყვებიან. მაგრამ ნუ შიშობთ, არგოსელებო: სისხლით მოსვრილი არ დავჯდები ჩემი მსხვერპლის ტახტზე: ღმერთმა შემომთავაზა, მე კი უარი ვუთხარი. მე ვიქნები უმინაწყლო და უქვეშევრდომო ხელმწიფე. მშვიდობით, ჩემო ხალხო, ეცადეთ როგორმე იცხოვროთ. აქ ყველაფერი ახალია, ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოთ. ჩემთვისაც ახალი ცხოვრება იწყება! მისმინეთ, კიდევ ერთს გეტყვით: ერთ ზაფხულს, სკიროსი ვირთხებით აივსო. ამ საშინელმა ჭირმა ყველაფერი დაღრღნა. ქალაქის მცხოვრებლები სიკვდილს ელოდნენ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა ფლეიტაზე დამკვრელი მამაკაცი. ის შუა ქალაქში დადგა. აი ასე (*სწორედ დგება*). მან ააჟღერა ფლეიტა და ყველა ვირთხა მისკენ გაიქცა და გარს შემოერტყა. შემდეგ დიდი ნაბიჯებით გზას გაუდგა, აი ასე (*ჩამოდის კვარცხლბეკზე*) და სკიროსის ხალხს შესძახა: გამეცალეთო. (*ბრბო განზე დგება*). ვირთხებმა, ამ ბუზებივით, ყოყმანით აწიეს თავები. შეხედეთ! შეხედეთ ბუზებს! და ფლეიტაზე დამკვრელის კვალს დაედევნენ. ფლეიტაზე დამკვრელი და ვირთხები სამუდამოდ გაუჩინარდნენ. აი, ასე.

გადის. ერინიები ბლავილით მისდევენ უკან.